


სიბა მეტონიანი

წმიდა ქსერელ გებათა
„წევება“- „ცხოვრებენი“



საქართველოს საკათოიარქოს მეიდა ადგრია პირველობის
სახელმწის ქართული უნივერსიტეტი



საპა-ფილუზ მეტრეველი

მეიდა ასურელ გამათა „ცამება“ – „ცხოვრებანი“

თბილისი
2010

Saba Metreveli

"THE LIFE" AND "MARTYRDOM" OF THE HOLY SYRIAN FATHERS

წიგნში თავმოყრილია მეცნიერებაში სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები წმ. ასურელ მამათა რაოდნობის, ქართლში მოსვლის დროისა და მიზნის, მათი აღმსარებლობისა და წარმომავლობის შესახებ, განხილულია ასურელ მოღვაწეთა „წამება“-„ცხოვრებანის“ რედაქციები და პროტორედაქციები, საგანგებოდაა გამოკრებილი მათი ღვაწლი და დამსახურება, მათს სახელთან დაკავშირებულ ეკლესია-მონასტერთა დაარსების ისტორია, აგრეთვე შესწავლილია ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების | ტომში გამოქვეყნებული წმ. ასურელ მამათა ტექსტების იკონოგრაფიული სახის-მეტყველება.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლების, სპეციალისტებისა და ქართული საეკლესიო მწერლობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ლაურა გრიგოლაშვილი

რეცენზიენტები: გოჩა კუჭუხიძე

რამაზ ხალვაში

ყდის დიზაინი და დაკაბადონება გიორგი ბაგრატიონისა

© საბა-ფირუზ მეტრეველი, 2010

 გამომცემლობა „ნეკერი“, 2010

ISBN 978-9941-416-61-3

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I

ისტორიულ-ფილოლოგიური ექსპრსი	5
ნმიდა ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო	7
ნმიდა ასურელ მამათა აღმსარებლობა	11
ნმიდა ასურელ მამათა წარმომავლობა	12
ნმიდა ასურელ მამათა „წამება“-„ცხოვრებანის“ რედაქციები	14
ნმიდა ასურელ მამათა ცხოვრების პროტორედაქციები	24
ნმიდა ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლის განვრცობა XI-XVIII საუკუნეებში	29

თავი II

სახელი, წესი და კანონი უცოდოები	
მონაზონებისანი – ნილა ასურელი მამაბი	31
ნდ. იოანე ზედაზნელი	31
ნდ. დავით გარეჯელი	37
ნდ. შიო მღვიმელი	47
ნდ. აბიბოს ნეკრესელი	53
ნდ. ისე წილკნელი	56
ნდ. ანტონ მარტყოფელი	61
ნდ. იოსებ ალავერდელი	65
ნდ. ისიდორე სამთავნელი	71
ნდ. თადეოზ სტეფანწმიდელი	72
ნდ. სტეფანე ხირსელი	75
ნდ. ზენონ იყალთოელი	78
ნდ. პიროს ბრეთელი	81
ნდ. მიქაელ ულუმბოელი	83

თავი III

ერ. ასურელ მამათა „ნამება“ – „ცხოვრებანი“	85
„წმიდა ოთანე ზედაზნელის ცხოვრება“	85
„ცხორებად და მოქალაქობად ღირსისა მამისა ჩუენისა შიომხი და ევაგროსი“	103
„ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაა“	132
„მოქალაქეობად და წამებად აპიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაა“	155
«Мученичество» - «Житие» святых Сирийских Отцов	178
RESUME	187
დამონიტისი	189

თავი I

ისტორიულ-ფილოლოგიური ექსპურსი

წმიდა ასურელი მამები, ათცამეტი ასურელი მამა, ცამეტი სირიელი მოღვაწე, სირიელი მამები ჩვენში VI საუკუნეში სირიოდან (შუამდინარეთიდან) მოსულან. მათს სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბება, ქართლის ეკლესის გაძლიერება კერპთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში, ინტენსიური მისიონერული საქმიანობა, მძლავრი კულტურული კერების შექმნა, ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მწერლობის აღმოცენება, ბერმონაზვნური ცხოვრების მადლის განფენა და განდეგილობის დამკვიდრება. მათ ქართლ-კახეთში დააფუძნეს უძველესი მონასტრები, როგორებიცაა: ზედაზენი, შიომღვიმე, დავითგარეჯა, წერესი, მარტყოფი, ალავერდი, წილკანი, იყალთო, სამთავისი, ულუმბო, ბრეთი, ურბისი, ხირსა, აგრეთვე, ქაშუ-თი და მამადავითი თბილისში, რომელთა დაარსებასაც ტრადიცია დავით გარეჯელს მიანერს. ასურელ მამათა მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა მონასტრული ცხოვრების სამიცე სახე: 1. მარტყოფლური, ანაქორეტული (მაგ.: მარტყოფი, და, როგორც ჩანს, თვით ზედაზენიც); 2. „ძმობა“, ანუ კინოვია (დავითგარეჯა); 3. ლავრა – ანაქორეტული და კინოვიური ბერმონაზვნობის შერწყმა (მაგალითად, შიომღვიმე) (სირა აძე 1992: 34). წმიდა ასურელ მამათა მოღვაწეობამ ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებას წარუშლელი კვალი დააჩნია. ასურეთიდან მათ შემოიტანეს ცოდნა მაცხოვრის ხელთუემნელი ხატის შესახებ, მათს სახელთანაა დაკავშირებული „უდაბნოთა შინა ქალაქთა ყოფა“, რაც ხელს უწყობდა საქართველოს უდაბურ მხარეთა სამეურნეო ათვისებასა და მთა-ბარის ეკონომიკურ დაკავშირებას, მღვდელმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებასა და, შესაბამისად, ქართული სამწერლობო

ენის გავრცელების არეალის გაფართოებას. ასურელმა მამებმა პირველებმა დაუდეს სათავე ქართული ფრესკისა და საეკლესიო ხატნერის დიდ ტრადიციას (ალექსიძე 2003: 120-121).

შუა საუკუნეთა წერილობითი და ზეპირი ტრადიციის თანახმად, სირიიდან მოსულან წმ. იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მონაფე. ძველთაგანვე არსებობს ორი სხვადასხვა ნუსხა სირიელი მამებისა. მათში მოხსენიებულ მოღვაწეთა რიცხვი ცამეტს აჭარბებს. ასურელ მამათა ჩამონათვალი სხვადასხვაგვარია წმ. იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის „ცხოვრებათა“ ტექსტებში. მათ შორის საერთოა რვა სახელი: შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, თათა სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ელია დიაკონი და აბიბოს ნეკრესელი, ხოლო განსხვავებულია ცხრა – თეოდოსიონი, პიმენი, ნათანი, იოანე, სტეფანე ქიზიყელი, ზენონ იყალთოელი, ისე წილკნელი, ისიდორე სამთავრელი და მიქაელ ულუმბოელი. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე დაასკვნიდა, რომ ასურელ მამათა რიცხვი, სულ ცოტა, ჩვიდმეტს მაინც აღწევდა (კეკელიძე 1956: 25). სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის ახლადაღმოჩენილ ხელნაწერთა ქართულ კოლექციაში გამოვლინდა კრებული (N/Sin-50), რომელიც ასურელ მამათა შესახებ არსებულ ყველა რედაქციაზე უფრო ძველია (X ს.-ის | ნახევარი) და შეიცავს ზოგ ცნობას, რომელსაც შეუძლია გარკვეული სიახლე შეიტანოს სადაც საკითხებში. ამ რედაქციის მიხედვით, ცამეტი ასურელი მამა იოანე ზედაზნელის მეთაურობით საქართველოში ჩამოსულა ქ. ურჟადან (ედესიდან). კრებულში იოანე ზედაზნელის მონაფეთა შორის დასახელებული არიან: შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიონ, ეზდერიონ, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ და ნათან. ამგვარად, განსხვავებულ ცხრა სახელს ეს ჩამონათვალი კიდევ ოთხს უმატებს (ესენია: ეზდერიონ // ეზეროზ, სოლომოზ // სომლოზ, პრობოზ, ვათა)¹. სინური

1 საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმ. იოანე ზედაზნელსა და მის თორმეტ მონაფეს 7 (20) მაისს იხსენიებს. ესენი არიან: 1. აბიბოს ნეკრესელი; 2. ანტონ მარტყოფელი; 3. დავით გარეჯელი; 4. ზენონ იყალთოელი; 5. თადეოზ სტეფანწმინდელი; 6. ისე წილკნელი; 7. იოსებ ალა-

რედაქცია სრული სახით დღემდე არ არის გამოქვეყნებული, ზ. ალექსიძის მიერ ციტირებული ფრაგმენტი კი მანამდე ცნობილ რედაქციებთან შედარებით ბევრ სიახლეს შეიცავს: 1. ზენონი დაემკვიდრა მადალოთს; 2. თევდოსიოსი – ქუაბსა რექისა-სა; 3. ეზდერიოსი // ეზეროზ – ჭალაკსა სამთავისისა (შდრ.: ისიდორე სამთავნელი); 4. სოლომოზი // სომლოზ – ქცის; 5. პრობოზი – ბ(ა)რეთს; 6. პიმენი – იყალთოს (შდრ.: ზენონ იყალთოელი); 7. ნათანი- ძეგოს. უცნობია, სად დამკვიდრდნენ თათა და ვათა. აქამდე ცნობილ რედაქციებთან მხოლოდ სამი თანხვედრა გვაქვს: 1. შიო დაემკვიდრა მლვიმეს; 2. დავითი – გარერჩას; 3. იოსები – ალავერდს. გარდა ამისა, სინურ ფრაგ- მენტში საერთოდ არ იხსენიება ანტონ მარტყოფელი, ხოლო ცოდნა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ თან ჩამოი- ტანეს ეზდერიოზ სამთავნელმა და თეოდოსიოს მრეხელმა (ალექსიძე 2000: 12-14).

წმიდა ასურელ მამათა რაოდენობის, ეროვნების, აღმსარე- ბლობის, საქართველოში მათი მოსვლის დროისა და მიზნის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არსე- ბობს.

ცხიდა ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო

ერთი შეხედულების მიხედვით, წმ. იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები 501 წელს მოვიდნენ საქართველოში. არსებობს მეორე ვარაუდიც, რომლის თანახმად, ისინი VI საუკუნეში სხვა- დასხვა დროს ჩამოსულან და მხოლოდ შემდეგში გაერთიანებ- ულან. კერძოდ, 520 წელს პირველი დავით გარეჯელი მოსულა (შესაძლოა, ლუკიანესთან და დოდოსთან ერთად); 543 წელს მეორე ნაკადი შემოვიდა წმ. იოანე ზედაზნელის მეთაურობით – შიო მღვიმელი, ისე წილკუნელი, ისიდორე სამთავნელი, იოსებ

ვერდელი; 8. ისიდორე სამთავნელი; 9. მიქაელ ულუმბოელი; 10. პიროს გრეთელი; 11. სტეფანე ხირსელი; 12. შიო მღვიმელი.

ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ (თათა) სტეფან-წმინდელი; 545 წელს ჩამოსულა ანტონ მარტყოფელი, უკანასკნელად კი, 571 წელს – აბიბოს ნეკრესელი.

მკვლევართა უმრავლესობა წმიდა ასურელ მამათა საქართველოში VI საუკუნის შუა ხანებში ჩამოსვლას უჭერს მხარს. 550 წლით ათარიღებს მათს ქართლში მოსვლას მარი ბროსე (ბროსე 1850:), დ. ჩუბინაშვილის აზრით, წმინდა მამები 553 წელს მოდიან ასურეთიდან (ჩუბინაშვილი 1863: 168), მ. საბინინის მიხედვით – VI საუკუნის 50-იან წლებში (საბინინი 1877: 102), ამავე პოზიციაზეა თ. უორდანიაც, 541-557 წწ. (უორდანია 1892: 54), მ. თამარაშვილი, ძირითადად, მაინც 551-557 წლებს ასახელებს (თამარაშვილი 1995: 256), გ. ჩუბინაშვილის აზრით, ასურელი მამები VI საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსულან (ჩუბინაშვილი 1970: 80), დ. ჯანაშვილი 555-570 წლებს მიიჩნევს (ჯანაშვილი 1914: 20), ივ. ჯავახიშვილი – VI საუკუნის შუა წლებს (ჯავახიშვილი 1979: 409), ს. კაკაბაძე – VI საუკუნის დასაწყისს (კაკაბაძე 1928: 16). სრულიად განსხვავებული აზრი გამოთქვა პლ. იოსელიანმა, მან ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო მეხუთე საუკუნით დაათარიღა (იოსელიანი 1843: 37), ეს შეხედულება გაიზიარეს მ. ცაგარელმა (ცაგარელი 1848: 5) და ა. მურავიოვმა (მურავიოვი 1848: 256), საქართველოში მეხუთე საუკუნეში მოსულებად მიიჩნევს მ. თარხნიშვილიც (თარხნიშვილი 1994: 52), შ. ნუცუბიძის მიხედვით, ასურელი მამები, როგორც სირიის ქართული ნეოპლატონური სკოლის წარმომადგენლები, ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფიის დევნის შედეგად მოდიან 529 წლის შემდეგ (ნუცუბიძე 1956: 134), რ. სირაძე კი სპარსთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, 537 წ. ვარაუდობს მათი მოღვაწეობის დაწყებას (სირაძე 1992: 35), ვ. გოილაძემ ამ მოვლენის თარიღად 534 წელი მიიჩნია (გოილაძე 2002: 153), მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ – VI საუკუნის 40-იანი წლები (ჯაფარიძე 1996: 388), დ. მერკვილაძემ კი – VI საუკუნის 30-იანი წლების დასასრული და 40-იანი წლების დასაწყისი (მერკვილაძე 2006: 73).

მეუდაბნოეთა წინამდლვარი იოანე ზედაზნელი „იყო ქუ-

ეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქიისათა“. მისი ერთ-ერთი მოწაფე, ანტონ მარტყოფელი, კი თავდაპირველად შუამდინარეთის ქალაქ ედესაში მოღვაწეობდა. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ასურელი მამები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილიდან მოვიდნენ ქართლში (კეკელიძე 1956: 25). „მოქცევად ქართლისას“ ქრონიკა ამ ფაქტს ქართლის მოქცევიდან მეორასე წლით ათარიღებს, ქართლის ცხოვრება – 559 წლით (ქართლის ცხოვრება 1955: 207 (სქოლით 5)). ორივე ძეგლი, ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლის მსგავსად, ამ ფაქტს ფარსმანის მეფობისა და ევლავიოსის კათალიკოსობის დროს უკავშირებს.

ამნიშნული მონაცემების დაზუსტება კ. კეკელიძემ იმ ისტორიულ პირთა ქრონოლოგიის გათვალისწინებით სცადა, რომლებიც აგიოგრაფიულ ციკლში არიან ნახსენები: 518 წ. – იერუსალიმის პატრიარქ ელიას (494-516 წწ.) გარდაცვალება, 541 წ. – სვიმეონ საკვირველმოქმედის თონეში ჩაჯდომა, 544 წლის ზაფხული – ხოსრო I-ის მიერ ქალაქ ედესის გარემოცვა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერი დაასკვნის:

1. ქართლში ყველაზე ადრე – 520 წელს დავით გარეჯელი მოვიდა, რადგან მას იერუსალიმი მოუხილავს ელია პატრიარქის დროს (კეკელიძე 1956: 35-36);

2. სირიელ მამათა მეორე ჯგუფი (სულ 6 მამა: შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, ისიდორე სამთავრელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი და თათა იოანე ზედაზნელის მეთაურობით ქართლში 543 წელს მოვიდა, სვიმეონის თონეში ჩაჯდომიდან (541 წ.) ორი წლის შემდეგ (კეკელიძე 1956: 37-38): „ამათ უამთა შინა აღსრულ იყო დიდი მნათობი სვიმეონ საკვირველთმოქმედი მთასა საკვირველსა, გარნა არა და სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და ნეტარმან იოვანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვად მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა“ (აბულაძე 1955: 81);

3. შემდგომ – 545 წელს ქართლში მოსულა ანტონ მარტყოფელი, რომელმაც ქ. ედესა დატოვა ხოსრო I-ის გარემოცვის (544

წლის ზაფხულის) შემდეგ (კეკელიძე 1956: 38): „შემდგომად უკანასკნელთა უამთა, ხუასრო სპარსთა მეფე მოადგა ედესია ქალაქსა და იწყო თხრა ქუეშე ზღუდესა და ენება, რათა ეგრეთ შევიდენ, რომელ ვერ აგრძნან, თუ ბრძავსო“ (ძეგლები 1968: 394);

4. კ. კეკელიძის აზრით, ქართლში ყველაზე გვიან – 571 წელს მოვიდა აბიბოს ნეკრესელი, ის გარდაიცვალა სპარსელების ქართლიდან განდევნის წინ, 590 წელს. აბიბოსი უნდა იყოს მსხვერპლი 571 წლის დევნილობისა და მისი ქართლში მოსვლაც ამ მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (კეკელიძე 1956: 39-40).

როგორც ვ. გოლაძემ გაარკვია, ანტიოქიაში ვერ ვიგულისხმებთ სირიის ზღვისპირეთში, მდინარე ორონტზე მდებარე ქალაქს, რადგან ის მოშორებულია არა მარტო ედესას, არამედ შუამდინარეთსაც. ანტიოქიის სახელით შუამდინარეთში ორი ქალაქი იყო ცნობილი: ერთი ირანში – მდინარე მიგდონზე (იგივე ნისიბინი, ახლანდელი ნუსაიიბინი თურქეთ-სირიის საზღვარზე თურქეთში) და მეორე ბიზანტიაში – ურჰა (იგივე ედესა). ამ ორი ქალაქიდან (ანტიოქია-ნისიბინი და ანტიოქია-ედესა) ასურელი მამების თავდაპირველ სამოღვაწეო ადგილად ვ. გოლაძემ ანტიოქია-ედესა მიიჩნია, რითაც ანტონ მარტყოფელისა და იოანე ზედაზნელის სხვა მონაფეების ცხოვრების პირველი პერიოდი დაუკავშირდა ერთსა და იმავე ქალაქს (გოლაძე 2002: 139-144). მისი აზრით, კ. კეკელიძის დათარიღებაში სარწმუნო მხოლოდ ის არის, რომ ანტონ მარტყოფელი 544 წელს მოვიდა ქართლში. სხვა ასურელი მამები კი, მათ შორის დავითი და აბიბოსი (ანტონის გარდა), დაახლოებით 534 წლის ახლო ხანაში მოვიდნენ ქართლში მეფე ფარსმან სხვაისა (525-535 წე.) და კათალიკოს ევლავიოსის დროს. მათი მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ევლავიოს კათალიკოსმა ისე წილკნის ეპისკოპოსად დაადგინა, ხოლო აბიბოსი – ნეკრესის ეპისკოპოსად. ირანელი მარზაპნის ბრძანებით, აბიბოსი ანამეს 537-555 წლებს შორის (გოლაძე 2002: 158). განსხვავებულ დათარიღებას, VI საუკუნის 60-იან წლებს, გვთავაზობს აგრეთვე დ. მერკვილაძე (მერკვილაძე 2006: 91).

ნეიდა ასურელ მამათა აღმსარებლობა

ქართული აგიოგრაფია ასურელი წმ. მამების ქართლში გამომგზავრების მიზნად ასკეტური, განმარტოებული სულიერი ცხოვრებისაკენ სწრაფვას მიიჩნევს, თანაც საგანგებოდაა აქცენტირებული მათი სულინმიდის წინამძღვრობით ჩამობრძანება: „წინამძღვრებითა სულისა წმიდისათა მოინია ქუეყანასა ქართლისასა“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ქრისტიანობა „ახალნერგი“ იყო და მას განმტკიცება სჭირდებოდა.

როგორც ცნობილია, ასურელ მამათა აღმსარებლობაში პირველად ნ. მარი დაეჭვდა, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია მათი ნესტორიანობა (მარი 1906: 3), მოგვიანებით ამავე პოზიციაზე დადგა პ. ინგოროვაც (ინგოროვა 1939: 163), აკად. კორნელი კეკელიძემ წმიდა ასურელ მამათა გამომგზავრება დაუკავშირა იმ დევნა-შევინროებას, რომელსაც მონოფიზიტები განიცდიდნენ VI საუკუნის სირიაში, ამიტომ, მეცნიერის აზრით, მათი ჩამოსვლის მიზანი იყო თავის გადარჩენა მონოფიზიტთა სასტიკი დევნისაგან, რადგან ასურელი მამები თავადაც მონოფიზიტები იყვნენ და სირიაში აღარ გაეძლებოდათო (კეკელიძე 1956: 41). ასურელ მამათა მონოფიზიტობას, კ. კეკელიძის გარდა, ვარაუდობდნენ ს. კავაბაძე (კავაბაძე 1928: 17), ლ. მენაბდე (მენაბდე 1949: 46), ლ. მელიქესეთ-ბეგი (მელიქესეთ-ბეგი 1959: 211), შ. ამირანაშვილი (ამირანაშვილი 1944: 126). მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ასურელი მამები დიოფიზიტები უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ ქალკედონელთა პოზიციების განსამტკიცებლად გამოემგზავრნენ ქართლში ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1979: 411), გრ. ფერაძე (ფერაძე 1927: 38), მ. ჯანაშვილი (ჯანაშვილი 1990: 49), თ. უორდანია (უორდანია 1892: 54), ზ. ალექსიძე (ალექსიძე 2003: 121), რ. სირაძე (სირაძე 1992: 33), ვ. გოილაძე (გოილაძე 1992: 198), დ. მერკვილაძე (მერკვილაძე 2006: 155), ს. მეტრეველი (მეტრეველი 2008: 239-240). შ. ნუცუბიძე ასურელ მამებს წმ. პეტრე იბერის მიერ სირიაში დაფუძნებულ ქართულ კოლონიას უკავშირებდა

და, მისი აზრით, „ქრისტოლოგი-ნეოპლატონიკოსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც დიოფიზიტი, არც მონოფიზიტი“ (ნუცუბიძე 1956: 132), თ. მგალობლიშვილი ასურელ მამებს მართლმადიდებლობისაკენ გადახრილ ნესტორიანელებად თვლის და აღნიშნავს, რომ ამგვარი იდეოლოგიური მიმართულების მიმდევრები იმავე პერიოდში მივიდნენ სომხეთსა და ალბანეთშიც. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები მრავალად ყოფილან ანტიოქია-ნიზიბინის სკოლაში, რომელთა წინამძღვარი ყოფილა ჰერან ადიაბენელი (მგალობლიშვილი 2003: 339). საქართველოს ეკლესიას კი ასურელ მამების მართლმადიდებლობაში ეჭვი არასდროს შეუტანია. ეკლესიის პოზიციას კარგად გამოხატავს ა. ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: „თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლისას იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრძმუნდებით, რომ ისინი მონოფიზიტურ მიმდინარეობას ებრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდეც მასზე“ (ჯაფარიძე 1998: 218-219).

ნეიდა ასურელ მამათა ნარმომავლობა

იყვნენ თუ არა სირიელი მამები ეროვნებით ქართველები? ამ საკითხის ირგვლივაც არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს. დ. ჩუბინიშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, შ. ნუცუბიძე, ვ. გოილაძე, რ. თვარაძე... ფიქრობენ, რომ სირიიდან მოსული მოღვაწენი ეროვნებით ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. უფრო კონკრეტულად, დ. ჩუბინაშვილის აზრით ასურელი მამები „არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ – კაპადოკიელნი“ (ჩუბინაშვილი 1877: 9), მათი ქართველობა უეჭველ ფაქტად მიაჩნდა მ. ჯანაშვილსაც (ჯანაშვილი 1990: 44), კალისტრატე ცინცაძემ ისინი აღმოსავლეთის ქართული დასახლებების მკვიდრ ქართველებად

ჩათვალა (მერკვილაძე 2006: 161), კირიონ ეპისკოპოსი უფრო შორს წავიდა და საკითხი ასე დააყენა: მართებულია, სირიელ მოღვაწებს კაპადოკიელი მამები ეწოდოს და არა ასურელები (იქვე: 161), იაკობ გოგებაშვილიც კაბადოკიელებად მიიჩნევს მათ (გოგებაშვილი 1901: 55), ა. ხახანაშვილი პირდაპირ აცხა-დებს, რომ სირიად შემდგომში იწოდა კაპადოკიაო (მერკვილაძე 2006: 162), ი. ფერაძის აზრით, კაპადოკიას ბერძნები ასურეთს უწოდებდნენ, კაპადოკიაში კი მეგრელები და ჭანები ცხოვრობდნენ (ფერაძე 1903: 117), დ. ჯანაშვილის შეხედულებით, ასურელი მამები, ყველანი, ქართველები – ლაზები იყვნენ (ჯანაშვილი 1914: 19), შ. ნუცუბიძე კი მათ უწოდებს ქართველებს სირიიდან, პეტრე იბერის მიერ სირიაში დაარსებული რელიგიურ-ფილოსი-ფიური სკოლის წარმომადგენლებს (ნუცუბიძე 1956: 126), ვ. გოლილაძე ქალაქ ედესიდან წამოსულ ქართველ მონაზვნებად მიიჩნევს (გოლილაძე 1992: 199). კ. კეკელიძეს ასურელ მამათა ქართველობის დასადასტურებლად შემდეგი ფაქტები მოჰყავდა:

1. „ცხოვრების“ მიხედვით, იოანემ ქართლში მოსვლისთანავე კათალიკოს ევლავიოსს ქართულად დაუწყო საუპარი, რითაც, მეცნიერის თქმით, „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ქართველი ქართულად გამოელაპარაკა ქართველს“;
2. სირიიდან მოსული მამები იმიტომ გაითანხმენ ქართლისა და კახეთის სხვა-დასხვა მხარეში, რომ წარმოშობითაც იქაური იყვნენ (კეკელიძე 1956: 42).

კ. კეკელიძეს სრულიად ეთანხმება ღ. მენაბდე (მენა-ბდე 1949: 64).

ასურელ მამათა ქართველობაში ეჭვი პირველად მ. კელენ-ჯერიძემ შეიტანა: „მამების ასურელობას მეტი საბუთი აქვს, ვიდრე მათ ქართველობას“ (კელენჯერიძე 1918: 43), ხოლო ივ. ჯავახიშვილი ასურელ მამათა ქართველობას უსაფუძვლო ჰიპოთეზას უწოდებდა (ჯავახიშვილი 1979: 415). კ. კეკელიძის პოზიცია გააკრიტიკა გ. ფერაძემ (ფერაძე 1927: 40). მ. თარხნიშვილს (მერკვილაძე 2006: 167), შ. ამირანაშვილსა (ამირანაშვილი 1944: 158) და ს. კაკაბაძეს (კაკაბაძე 1928: 16) შესაძლებლად მიაჩნდათ ზოგიერთი მათგანის ქართველობა, მიტროპოლიტ ა. ჯაფარიძეს კი ეჭვი ეპარქება და დასძნს:

„ქართული ენის წინა პლანზე წამოწევა და მისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა ეროვნული, არამედ სარწმუნოებრივი მოსაზრებით“ (ჯაფარიძე 1996: 391), დ. მერკვილაძე ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხს და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ასურელ მამათა“ სახელით ცნობილი ეს სასულიერო მოღვაწენი, მართლაც, სირიელები ყოფილან“ (მერკვილაძე 2006: 181).

ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აგიოგრაფიული ლიტერატურის ტრადიცია, რომ საეკლესიო მწერლობის ეს დარგი არ არის მხატვრული გამონაგონი, მითი თუ ლეგენდა, რომ აგიოგრაფია „ჭეშმარიტ და უტყუელ“ ფაქტებს ასახავს. ალბათ, გასაზიარებელია ასურელ მამათა ქართველობაც, რადგან ისინი თარჯიმნის გარეშე ამყარებენ ურთიერთობას კათალიკოსთან, ერთმანეთთან, ადგილობრივ მცხოვრებლებთან, გარდა ამისა, ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება-განმტკიცება, მისიონერული მოღვაწეობის უცხო ენაზე წარმართვა წარმოუდგენელია, თანაც, წმ. შიო მღვიმელის სახელს უკავშირდება ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დასაწყისი და, რ. თვარაძის თქმისა არ იყოს, დიდად საეჭვოა, რომ უცხოელს, არაქართველს ქართულად ჰიმნთა შეთხზვა დაეწყო (თვარაძე 2001: 62).

ნეიდა ასურელ მამათა „წამეპა“-„ცხოვრებანის“ რედაქციები

არსებობს ასურელ მამათა ცხოვრების აღმნერელი თხზულებები: მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ზოგიერთი მათგანი VII ს.-ის დამლევამდე შეიქმნა, ზოგი გვიანდელ თარიღს ასახელებს. ამ საკითხში საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები არსებობს (კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. გაბიძაშვილი, გ. კუჭუხიძე, მ. ჩხარტიშვილი, რ. ხალვაში...).

ჩვენამდე მოღწეულია წმიდა ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველი ოთხი ძველი ტექსტი რამდენიმე რედაქციით. ესენია:

1. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“ – არსებობს სამი რედაქტულია: 1. ვრცელი რედაქცია, მოღწეულია ერთადერთი XVII.-ის ბოლონაკლული ხელნაწერით – ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეული ნუსხით. ამ რედაქციის შესავლიდან ცხადი ხდება, რომ ის დაწერილია ზედაზნის წინამძღვრის, მიქელის, შეკვეთით. ცნობილია, რომ ავტორი ტექსტის შედგენისას იყენებდა ზეპირ გადმოცემებსა და მიქელისაგან მიღებულ ქარტას, რომელშიც მოკლედ იყო აღნერილი ომანეს საქმენი; დაბეჭდილია:
 - აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ., 2-58, ა რედაქცია;
 - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, V-X სს., დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 191-216, ა რედაქცია;
2. მოკლე რედაქცია, ერთადერთი ხელნაწერით შემონახული. დაბეჭდილია:
 - კაკაბაძე ს., ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, თბ., 1928, გვ. 19-26;
 - ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 157-159;
 - აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 2-67, ბ რედაქცია;
 - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, V-X სს., დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 191-216, ბ რედაქცია.
3. ე. წ. მეტაფრასული რედაქცია, მრავალი ხელნაწერით დაცული. დაბეჭდილია:

- ა) საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 193-208;
- ბ) აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 3-68, გ რედაქცია;
- გ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 83-107.

არსებობს აგრეთვე წმ. იოანეს ცხოვრების გვიანდელი **სვინძასარული** რედაქცია (მოღწეულია ერთადერთი 1726 წლის ხელნაწერით), რომელიც XVIII ს.-ის I ნახევარში შექმნილად მიიჩნევა. გარდა ზემოხსენებული სამი ძველი რედაქციისა, უკანასკნელ ხანებში სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში მიაკვლიეს წმ. იოანე ზედაზნელის კიდევ ერთ, უცნობ „ცხოვრებას“, რომელიც დაცულია X ს.-ის I ნახევარში გადაწერილ ხელნაწერში. ეს ტექსტი არ განეკუთვნება თხზულების აქამდე ცნობილ არცერთ რედაქციისა და მისმა საფუძვლიანმა შესწავლამ შესაძლოა, არსებულ რედაქციათა ურთიერთმიმართებისა და დათარიღების საკითხის გადახედვა გამოიწვიოს. ს. კაკაბაძე მოკლე რედაქციას ათარიღებს VII ს.-ის დასასრულით (კაკაბაძე 1928: 1-18), კ. კეკელიძე – X ს. – ით (კეკელიძე 1956: 22), ილ. აბულაძე X ს.-ის შემდგომი დროით (აბულაძე 1955: XXIII); ხოლო ვრცელ რედაქციას ათარიღებენ XI ს.-ის დასაწყისით ს. კაკაბაძე; X ს.-ის შუა წლებით – ივ. ჯავახიშვილი, X ს.-ის II ნახევრით – ილ. აბულაძე; XI საუკუნით – კ. კეკელიძე.

2. „**შიო მლვიმელის ცხოვრება**“ – ორი ძველი რედაქცია – კიმენური (მოკლე, სათაურში ავტორად დასახელებულია არსენ ქართლის კათალიკოსი) და მეტაფრასული (მეტაფრასული რედაქციის სათაურში ნათქვამია, რომ იგი დაწერა ლირსმან მარტვირი, იოანე ყოფილმან, იოანე ზედაზნელის მონაფემ კონსტანტინეპოლიდან, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს (ცნობა ფსევდოპიგრაფულად მიიჩნევა). **მოკლე რედაქცია** დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:

ა) კაკაბაძე ს., ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, თბ., 1928, გვ. 26-36;

- ბ) ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრეს-ტომათია, I, თბ., 1946, გვ. 159-163;
- გ) აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 92-141, ბ რედაქცია;
- დ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, V-X სს., დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯალამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 217-229, ბ რედაქცია;

ვრცელი რედაქცია დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:

- ა) საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, თბ, 1882, გვ. 219-252;
- ბ) აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 69-143, ბ რედაქცია;
- გ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 107-170.

ამ რედაქციათა ავტორთა ვინაობის, მათი შექმნის დროისა და მათი ურთიერთმიმართების თაობაზეც არსებობს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება:

- 1) ს. კაკაბაძის აზრით, პირველადი არის მოკლე რედაქცია, რომლის ავტორია არსენ კათალიკოსი, დაწერილია 687-700 წლებში. აქედან მომდინარეობს მეტაფრასული რედაქცია, რომელიც დაიწერა 905 წლის ახლო ხანს. ეს ნაწარმოები გადაბმულია „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაზე (კაკაბაძე 1928: 6).
- 2) მეორე შეხედულება ეკუთვნის აკად. კ. კეკელიძეს, რომლის აზრით, უძველესი არის მოკლე რედაქცია, ოღონდ ეს დამოუკიდებელი ნაწარმოები კი არ არის, „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მოკლე რედაქციის ორგანული ნაწილია, მისი უშუალო გაგრძელებაა და დაწერილია კათალიკოს არსენ მეორის მიერ. ვრცელი მეტაფრასული რედაქცია კი, მეცნიერის აზრით, შექმნილია მოკლე რედაქციის გადამუშავების შედეგად უცნობი ავტორის მიერ XII ს.-ის

პირველ ნახევარში (კეკელიძე 1956: 19-50).

- 3) ი. აბულაძის აზრით კი, მოკლე რედაქცია, მართლაც, პირველადია და ორგანული ნაწილია „ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მოკლე რედაქციისა, ამიტომაც მას ვერ დაწერდა კათალიკოსი არსენ II, რადგან „ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მოკლე რედაქცია არსენ II-ს არ ეკუთვნის; ვრცელი, მეტაფრასული რედაქცია მოკლეს გადაკეთების შედეგად უნდა იყოს შექმნილი XII ს.-ის პირველ ნახევარში (აბულაძე 1955: XXV).
- 4) ასურელ მოღვაწეთა „ცხოვრებათა“ ციკლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია იოანე მარტვირთან, ვინაიდან მისი სახელი ფიგურირებს ნმ. შიო მღვიმელის ვრცელი ცხოვრების სათაურში, როგორც „ცხოვრების“ აღმწერი და, ამავდროულად, ნმ. იოანეს მოწაფე. მართალია, იოანე მარტვირის შექმნილი ნანარმოები „თხზულების გვიანდელი მოდიფიკაციაა, მაგრამ იგი მაინც უკეთ ინახავს დედანს“ (ჩხარტიშვილი 1997: 21-24).
- 5) X ს.-ის II ნახევრით ათარიღებს ე. გაბიძაშვილი (გაბიძაშვილი 1982: 62-67), იგი ამ რედაქციას მიიჩნევს არსენ კათალიკოსის მიერ დაწერილ არქეტიპად, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ერთიანი თხზულების – ნმ. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ნაწილს.
- მეტაფრასულ რედაქციას მკვლევართა უმრავლესობა კი-მენური რედაქციის საფუძველზე XII ს.-ში შექმნილ ძეგლად მიიჩნევს, გ. ფერაძე კი მის ავტორად დავით ალმაშენებლის სულიერ მოძღვარს, არსენ ბერს, მიიჩნევდა, თუმცა ეს მოსაზრებები გაზიარებული არ ყოფილა. გარდა ამისა, მოღწეულია უცნობი ავტორის მიერ XVII – XVIII სს.-ში შედგენილი ნმ. შიოს მეტაფრასული „ცხოვრების“ ახალი რედაქცია (ცნობილია ერთადერთი ხელნაწერით) და ორის სვინაქსარული რედაქცია – ერთი ძველი, XIII ს.-ის ხელნაწერით მოღწეული (შექმნილია მეტაფრასტული რედაქციის საფუძველზე), ხოლო მეორე გვიანდელი (სავარაუდოდ XVII – XVIII საუკუნეებისა, შემონახულია ერთადერთ, 1726 წლის ხელნაწერში, აგრეთვე შექმნილი

უნდა იყოს მეტაფრასული ცხოვრების საფუძველზე). ცხოვრებათა ტექსტების გარდა, მოღწეულია აგრეთვე “თხრობად სასწაულთათვის მამისა შიომესთად” შეკრებილი ბასილი კათალიკოსის (1090-1110 წწ.) მიერ (ცნობილია მხოლოდ XVIII ს.-ის ხელნაწერებით). ტექსტის შესავალი ნაწილის თანახმად, ავტორს შეუკრებია სხვადასხვა წყაროში გაფანტული სასწაულების აღნირა. ცალკეული ცნობები წმ. შიოს შესახებ შემონახულია აგრეთვე იოანე ზედაზნელისა და აბიბოს ნეკრესლის ცხოვრებებში;

3. „**მმ. დავით გარეჯელის ცხოვრება**“ – მოკლე და მეტაფრასული. მოკლე რედაქცია დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:

- ა) კაკაბაძე ს., ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, თბ., 1928, გვ. 36-42;
- ბ) ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 163-167;
- გ) აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 151-187, ა რედაქცია;
- დ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, V-X სს., დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 229-240).

ვრცელი რედაქცია დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:

- ა) საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 265-286;
- ბ) აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 145-187, ბ რედაქცია;
- გ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 170-207.

ორი ძველი რედაქცია – კიმენური და მეტაფრასული (დაწერილია ონოფრეს შეკვეთით, რომელიც, სავარაუდოდ, გარეჯის წინამდღვარი იყო). ამ რედაციათა ავტორის, შექმნის თარიღისა და ურთიერთმიმართების შესახებაც განსხვავებულია.

ლი მოსაზრებები არსებობს. კიმენურ რედაქციას ს. კაკაბაძე ათარიღებს VII ს.-ის დასასრულით (კაკაბაძე 1928: 36-42), X ს.-ის I ნახევრით – კ. კეკელიძე (კეკელიძე 1956: 19-50), X ს.-ის II ნახევრით ე. გაბიძაშვილი (გაბიძაშვილი 1982: 62-67), იგი ამ რედაქციას მიიჩნევს არსენ კათალიკოსის მიერ დაწერილ არ-ქეტიპად, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ერთიანი თხზულებ-ის – წმ. ოთანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ნაწილს. აღნიშნული მოსაზრება დღესდღეობით, ძირითადად, გაზიარებულია.

მეტაფრასულ რედაქციას მკვლევართა უმრავლესობა კი-მენურის საფუძველზე XII ს.-ში შექმნილად მიიჩნევს, კ. კეკელიძე კი პეტრიონულ სალიტერატურო სკოლაში დაწერილად აცხადებდა, თუმცა ეს მოსაზრება შემდგომში უარყოფილ იქნა (ილ. აბულაძე, ე. გაბიძაშვილი და სხვები). ივ. ჯავახიშვილი ამ რედაქციის შექმნის თარიღად XVIII საუკუნეს ვარაუდობს, ხოლო ს. კაკაბაძე – X ს.-ის დასაწყისს, თუმცა ამ ორმა მოსაზრებამ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოხმაურება ვერ ჰპოვა.

გარდა ამისა, არსებობს 1737-1740 წწ.-ში „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის საფუძველზე რომანოზ მიტროპოლიტის მიერ შექმნილი ახალი მეტაფრასული ცხოვრება და გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრება (მოღწეულია ერთადერთი XVIII ს.-ის ხელნაწერით, შედგენილი უნდა იყოს ადრეული მეტაფრასული ცხოვრების საფუძველზე).

4. „ნმიდა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ ორი რედაქცია არსებობს:

1. ვრცელი რედაქცია, რომელიც დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:

- ა) მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 213–216;
- ბ) ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1953, გვ. 188–196, ა რედაქცია;
- გ) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 240–248, ა რედაქცია.

- 2. მომცრო რედაქცია, რომელიც დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში:**
- ა) მ. ჯანაშვილი, Описание рукописей церковного музея, III, 1908; გვ. 25–28;
 - ბ) ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, თბ., 1928, გვ. 42–46;
 - გ) ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 167–169;
 - დ) ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 188–195. ბ რედაქცია;
 - ე) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 240–247, ბ რედაქცია;
 - ვ) ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე ერევნის „მატენადარანში“ სომხურ ხელნაწერთა შერის შემთხვევით წააწყდა „წმ. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ერთ ფურცელს, რომელიც მან თხზულების აქამდე უცნობ რედაქციად მიიჩნია;
 - ზ) უკანასკნელ ხანებში სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერის X ს.-ის I ნახევარში გადაწერილ ხელნაწერში მიაგნეს წმ. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის კიდევ ერთ უცნობ რედაქციას, რომელიც უფრო მეტ სიახლოვეს „წამების“ ვრცელ რედაქციასთან ავლენს, თუმცა აღნიშნული ტექსტი საფუძლიანად შესწავლილი ჯერ არ არის. ამ რედაქციების ავტორთა ვინაობის, მათი შექმნის დროისადა მათი ურთიერთმიმართების თაობაზე შემდეგი შეხედულებები არსებობს:
- პირველადია მომცრო რედაქცია, რომელიც დაწერილია 690–700 წლებში (კაკაბაძე 1928: 49–55);
- პირველადია ვრცელი რედაქცია, რომლის ავტორია არსენ კათალიკოსი – დაწერილია IX ს.-ში, შესაძლოა, უფრო გვიანაც. ამ რედაქციის წყარო ყოფილა VI საუკუნის დამლევის ან VII საუკუნის დამდეგის უძველესი თხზულება (ჯავახიშვილი 1979: 324–347);
- პირველადი, უძველესი, არქეტიპული იყო კათალიკოს არ-

სენ პირველი დიდი საფარელის (860–887 წწ.) მიერ შექმნილი რედაქცია, რომელიც ჩვენამდე არ შემონახულა. არავითარი უძველესი, VI ან VII საუკუნის, ტექსტი ამ თხზულებას წინ არ უსწრებდა. ამ რედაქციიდან მომდინარეობს ვრცელი, ანუ მეტაფრასული, რედაქცია, რომლის ავტორი უცნობია. იგი შესაძლოა იყოს ნეკრესის რომელიდაც ეპისკოპოსი. მეტაფრასულად გადამუშავების დროს მას ტექსტში ჩაურთავს პროლოგი, ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული დიალოგი თხზულების შუაში და ეპილოგი (კეკელიძე 1956: 19–50);

პირველადია ვრცელი რედაქცია, რომელიც არასგზით არ არის მეტაფრასული, რადგან, როგორც ცნობილია, მეტაფრასული რედაქცია XI საუკუნეზე ადრე ვერ შეიქმნებოდა, ხოლო ვრცელი რედაქციის ავტორი არის კათალიკოსი არსენი – არსენ პირველი ან არსენ მეორე, უფრო არსენ მეორე, იგივე ავტორი, რომელმაც შექმნა „წმ. ოოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. მას წყაროდ მართლაც ჰქონია VI თუ VII საუკუნის ტექსტი. მომცრო რედაქცია მერმინდელია (აბულაძე 1955: XXVI–XXXII).

ე. გაბიძაშვილმა ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დასკვნა, რომ ოოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციები (ე. წ. არქეტიპები) და „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ ვრცელი რედაქცია ერთი მთლიანი აგიოგრაფიული თხზულებაა. მკვლევარს საამისოდ მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: 1. ოოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ სათაური გულისხმობს მისი მონაფეების ცხოვრების აღწერასაც – „ცხოვრებად და მოქალაქებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და მონაფეთა მისთაც, რომელთა განანათლეს ქუეყანაზ ესე ჩრდილოეთისაა“; 2. ადრევე იყო შენიშნული, რომ ოოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის „ცხოვრებანი“ ერთი მთლიანი თხზულების ნაწილებია (კ. კეკელიძე, ი. აბულაძე); 3. წმ. შიოს გარდაცვალებას „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამება“ მოგვითხრობს; 4. წინა ტექსტებთან ორგანულ კავშირზე მიუთითებს ბოლო სამი თხზულების შესავალი სიტყვები (ხოლო...). „ხოლოთი“

აგიოგრაფიული უანრის არც ერთი თხზულება არ შეიძლება დაიწყოს. ამგვარად, ე. გაბიძაშვილი სარწმუნოდ მიუთითებს, რომ „იოვანე ზედაზნელისა და მონაფეთა მისთა ცხოვრება“ ორიგინალური კომპოზიციის ძეგლია და თხრობის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით აერთიანებს ოთხ თხზულებას (გაბიძაშვილი 1982: 61-65);

რ. ხალვაშის აზრით, ამ აგიოგრაფიულ ციკლში შედიოდა „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ არა ვრცელი, არამედ მოკლე რედაქცია, რადგან ვრცელი რედაქციის დასასრულს დუბლირებულია „იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ არსენისეული ვერსიის დაბოლოება. გარდა ამისა, „აბიბოს ნეკრესელის წამების“ ვრცელ რედაქციაში შეტანილია ციტატები გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფიდან“, რომელიც მოგვიანებით თარგმნა არსენ იყალთოელმა. ეს ჩანართი, როგორც კ. კეკელიძემ გაარკვია, შეეხება ოთხი ელემენტის მოძღვრებას (ხალვაში 2008: 55).

ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლი სწორედ ამგვარი შედგენილობით (მოკლე რედაქციებით) არის წარმოდგენილი A-199 ხელნაწერში (XIV-XV სს.), რომელიც გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. სხვა რედაქციების მსგავსად, ამ ხელნაწერშიც თხზულების ავტორად დასახელებულია არსენი, ქართლისა კათალიკოზი. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, აქ იგულისხმება კათალიკოსი არსენ II (955-980 წწ.), რის საფუძველსაც იძლევა მეტაფრასულ რედაქციაზე დართული შენიშვნა: „შემდგომად ოთხას ოცისა (ოთხას ოთხისა – Q-795) წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოსზმან“.

„მოქცევაზ ქართლისას“ ქრონიკიდან ცნობილია, რომ „მოვიდა იოვანე ზედა ზადენელი შუა მდინარით, იგი და თორმეტნი მონაფენი მისნი, ქართლისა მოქცევითგან მეორასესა წელსა“, ე. ი. VI საუკუნის პირველ ნახევარში. არსენ კათალიკოსმა კი ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლი შეადგინა ამ მოვლენიდან 404 – 420 წლის შემდეგ, ანუ X საუკუნის შუა წლებში, რაც, მართლაც, ემთხვევა არსენ II-ის მოღვაწეობის დროს (955-980 წწ.).

რ. ხალვაშის დასკვნით, ერთი მხრივ, არსენ II-ს გადაუმუშავებია ადრე არსებული „წიგნები“ (წერილობითი ძეგლები), ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტში შეუტანია ზეპირი გადმოცემები. ამას პირდაპირ მიუთითებს „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაზე“ დართული შენიშვნა: „რომელნიმე წიგნთაგან აღმოვიყითხეთ და რომელნიმე მამათაგან სმენილ იყო საქმეთაგან მათთა“ (ხალვაში 2008: 56).

აღნიშნულის გარდა, „საქართველოს სამოთხეში“ მოთავსებულია „წმ. ისე წილკნელის ცხოვრება“, „წმ. იოსებ ალავერდელის ცხოვრება“ და „წმ. ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“. ეს არის შემოკლებული, სვინაქსარული რედაქციები. ამათგან, როგორც ფიქრობენ, „წმ. ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“ შედგენილია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ, ხოლო „წმ. ისე წილკნელის ცხოვრების“ არქეტიპად მიჩნეულია „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ მოკლე რედაქციაში დაცული ტექტი.

ნეიდა ასურელ მამათა ცხოვრების პროტორეადაციები

კათალიკოს არსენ II-ის მიერ შედგენილ ჰაგიოგრაფიულ ციკლში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი თხზულებებია გაერთიანებული. სტილისტურად ახლოს დგას იოანე ზედაზნელისა და შიოს „ცხოვრებათა“ არქეტიპები, რომლებსაც კ. კეკელიძე და ო. აბულაძე ერთ მთლიან თხზულებად მიიჩნევდნენ (კეკელიძე 1980: 536); (აბულაძე 1955: XXIV).

სინას მთაზე აღმოჩენილმა ხელნაწერმა (N/Sin-50) დაადასტურა, რომ ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლი არსენ II-მდე ათეული წლით ადრეც არსებობდა. „იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა ცხოვრების“ ამ რედაქციას ზ. ალექსიძე X ს.-ის დასაწყისით ათარიღებს (ალექსიძე 2000: 13).

პროტორეადაციების არსებობას ადასტურებს აგრეთვე

ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული „წმ. იო-ანე ზედაზნელის ცხოვრება“, რომელიც შეიცავს ფრაგმენტს არსენ II-ის წერილიდან თხზულების დამკვეთისადმი, მიქაელ მღვიმელისადმი. ფრაგმენტში იხსენიება „ცხოვრების“ პრო-ტორედაქცია, ე. წ. „ქარტად იგი წულილი“, რომელშიც მოცე-მული ყოფილა „რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩვენისა ზედაძ-ნელისანი“.

„წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ასახელებს ერთ-ერთი პროტორედაქციის ავტორს – წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფეს, მარტვირი კონსტანტინოპოლელს: „ესე აღწერა ლირსმან მარტვირი, პირველ რომელსა ეწოდა იოვანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოვანესთა კოსტანტი-ნეპოვლით“.

დასახელებული ტექსტებისაგან სტილისტურად განსხ-ვავდება „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“. კ. კეკელიძე მას არქაულ ენობრივ მონაცემებზე (მწყერმარხილი, პარეხი, ფა-ჩარი, იმსტუარდეს, ბლუზვა და სხვა) დაყრდნობით X საუკუნის პირველი ნახევრით ათარილებდა (კეკელიძე 1980: 163). აღ-სანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ „ცხოვრების“ ბევრი ადგილი ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ნიშნებით არის აღბეჭდი-ლი. ამგვარია, მაგალითად, ლუკიანეს სახე (მისი სულმოკლეო-ბა, სიმხდალე და სიჯიუტე), ვეშაპის გარეგნული აღწერილო-ბა (გვ. 158-159) და ბუბაქრთან დაკავშირებული ეპიზოდები, ამიტომ მეტაფრასულ რედაქციაში შეცვლილია „ცხოვრების“ მოკლე წიგნის ეს ადგილები (ხალვაში 1998: 32).

„დავით გარეჯელის ცხოვრების“ პროტორედაქციის არსე-ბობას ადასტურებს დავით გარეჯის უდაბნოს მთავარი ეკლე-სიის იკონოგრაფია, რომელშიც წმინდანის ცხოვრების სიუჟე-ტებია ასახული. გ. აბრამიშვილი ეკლესიის მხატვრობაში ორ ფენას გამოყოფს, რომლებიც IX-X საუკუნეებშია შესრულებუ-ლი. მხატვრობის პირველ ფენაზე (IX საუკუნე) დავით გარეჯე-ლი გამოსახულია შარავანდის გარეშე, მისი ცხოვრების ციკლი არ იცნობს არცერთ სასწაულს (აბრამიშვილი 1965: 67).

მეორე ფენა კი, რომელიც 983 წელს არის შესრულებული,

წმინდანის ღვაწლს წარმოგვიდგენს სასწაულებრივ ასპექტში. იკონოგრაფიის სასწაულებრივი პასაუები (ირმების მოწველა ლუკიანეს მიერ, ვეშაპის დაწვა) მისდევენ არსენ II-ის აგიო-გრაფიულ ციკლს (აბრამიშვილი 1965: 68).

ყველაზე ადრეულ ტექსტად ასურელ მამათა ციკლში მი-ჩნეულია „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამება“, რომელიც გადამუ-შავებული სახით არის ჩვენამდე მოღწეული. არსენ კათალი-კოსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თხზულებაში მან არ შეიტანა პროტორედაქციის რამდენიმე ეპიზოდი, მათ შორის, აბიბოსის მიერ კერპთა დალენვა და წინასწარმეტყველება ქართლიდან სპარსთა განდევნის შესახებ: „არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყე, თქვენ, ანუ ვითარ-იგი დალენნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნა-თელსცა მათ სახელითა წმიდისა სამებისათა, ანუ ვითარ დე-დაკაცსაცა მას უწინასწარმეტყველა შემდგომად ხოლო მისა მოსლვად ბერძენთად და დაპყრობად ქვეყანისა ამის ჩვენისად, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე: მო-ვიდეს ბერძენი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსი და დაიპყრეს ქვეყანად ესე ჩვენი. მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა და სხვანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა“. დამოწმებული სიტყვები-დან გამომდინარე, „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ არქეტი-პი უნდა დაწერილიყო ქართლიდან სპარსელების განდევნის შემდეგ ახლო დროში, VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში, რადგან სპარსთა განდევნა, ბერძენთა მოსვლა და ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოხ-და 591 წელს (კეკელიძე 1956: 39). ი. ჯავახიშვილი მიუთითე-ბდა, რომ მარტვილობა VI-VII საუკუნეებში უნდა დაწერილიყო, რის შემდეგაც მომხდარა მისი გადამუშავება, ტექსტისთვის წმინდა მარტვილოლოგიური ხასიათის მინიჭების მიზნით (ჯა-ვახიშვილი 1979: 361-362).

არსენ II-ის თხზულებაში არქაულობით გამოირჩევა „ოთხი ელემენტის მოძღვრება“, რომელსაც ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსებმა მიაპყრეს ყურადღება (ნუცუბიძე 1956: 263-

271). ეს მოძღვრება ბერძენ ფილოსოფოს ემპედოკლეს ეკუთვნის და პოპულარული იყო შუა საუკუნეებშიც. რ. თვარაძე იმასაც შენიშნავს, რომ ბუნების ოთხ ელემენტზე (ჰაერზე, ცეცხლზე, წყალსა და მიწაზე) ამაღლების იდეა გატარებულია „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ერთ ეპიზოდში, რომელიც იოანე ზედაზნელისა და მისი მონაფების (შიო მღვიმელისა და ისე წილკნელის) სასწაულებს შეეხება (თვარაძე 1985: 166-167). სასწაულების ავტორისეული შეფასება ამგვარი დასკვნის საფუძველს მართლაც იძლევა: „ეპა დიდებული საკვირველი! ერთი ჰაერსა წარმოადგინებს მსახურად და მეორე ცეცხლისა ბუნებასა დაშრეტს და წარსდევნის მხურვალებასა მისსა, სხვად წყალსა და მიწისა ბუნებასა დაიმორჩილებს!“. სასწაულებში მართლაც ჩანს ოთხ სტიქიაზე ამაღლების იდეა: იოანე ჭიქას ჰაერში გააჩერებს, შიო ხელზე ნაკვერჩხალს დაიდებს და ზედ საკმეველს დაისხამს, ისე წილკნელი მდინარე ქსნის წყალს კვერთხით მიიყვანს წილკნის ტაძრამდე. ცხადია, ამ სასწაულებში სიმბოლურად ისიც არის მინიშნებული, რომ განდეგილი ბერები თავიანთი ღრმა სულიერობითა და ღვაწლით ამაღლდნენ სხეულსა და ხორციელ ინტერესებზე, იმავე ოთხ ელემენტზე, რადგან ამ ოთხი ელემენტისგან არის აგებული ადამიანის სხეულიც (ხალვაში 2008: 55).

გოჩა კუჭუხიძემ ერთმანეთს შეადარა ასურელი მამების „ცხოვრებათა“ რედაქციები, გაითვალისწინა მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებანი ამა თუ იმ ძეგლში არქაიზმების არსებობისა და სხვა საკითხების შესახებ და გამოთქვა მოსაზრება, რომ თავდაპირველად, კერძოდ, მაზდეანობის აღზევების პერიოდში, შექმნილი უნდა იყოს სამი ნაწარმოები: „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა და მისთა მონაფეთა“, „ცხოვრება და წამება აპიბოს ნეკრესელისა“, „ცხოვრება დავით გარეჯელისა“ (კუჭუხიძე 2005: 53-54); მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომ თავად წმიდა იოანე ზედაზნელისადმი მიძღვნილი ნაწარმოები და „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ ერთი ნაწარმოები იყო, მისი აღნიშვნით, „წმიდა იოანეს ცხოვრებაში“ სხვა მონაფეთა შესახებაც უნდა ყოფილიყო მოთხოვნილი (იქვე 52).

მკვლევარი წერს: „საფიქრებელია, რომ ამ პირველი ნაწარმოების მიხედვით, შემდგომში სხვადასხვა მონასტერი ამა თუ იმ წმიდანისადმი მიძღვნილ საკითხავებს შექმნიდა“ (იქვე, გვ. 53). იგი იზიარებს შეხედულებას, რომ წმიდა მამათა „ცხოვრებანი“ შემდგომში არსენ II-ს გაუერთიანებია. გოჩა კუჭუხიძე წმინდა იოანე ზედაზნელისა და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მონაცემთა ურთიერთშედარების შემდეგ მიიჩნევს, რომ „წმიდა იოანე ზედაზნელისა და მისი მონაფეების საკითხავის ერთ-ერთი ძირითადი პარადიგმა „წმიდა ნინოს ცხოვრება“ ყოფილა, რაც კი-დევ ერთი მიმანიშნებელია ქართველთა მოციქულზე შექმნილი ნაწარმოების სიძველისა“ (იქვე. გვ. 54). მკვლევარს ტექსტების ურთიერთშედარება საშუალებას აძლევს, რომ მიახლოებით აღადგინოს „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ თავდაპირველი სახე. გოჩა კუჭუხიძის თანახმად, „წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ არქეტიპული სახის აღდგენაცა და არსენ II-ის მიერ სხვადასხვა ძეგლის გაერთიანების შედეგად შექმნილი ნაწარმოებიც ცხადად მეტყველებენ, რომ ქართლში პირველად იოანე ზედაზნელი მოსულა და არა წმ. დავით გარეჯელი (იქვე, გვ. 53-54). აქვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ცალკეული ბერები თუ მონაზონი ქალები ქართლში, შესაძლოა, ასურელი მამების ჩამოსვლამდეც ცხოვრობდნენ, კონკრეტულ მონაზვენებზეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ იოანე ზედაზნელი ჩანს პირველი, რომელმაც, შეიძლება ასე ითქვას, ქართლში მონაზვნობის ინსტიტუტი დააარსა, ფართო სამონაზვნო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი“ (იქვე. გვ 53). კონკრეტული მონაზვნების ხსენებისას გოჩა კუჭუხიძე იმოწმებს ასმათ ჯიქიასა და ქეთევან მანიას ნაშრომებს, რომელთაგან პირველს მიაჩნია, რომ „წმიდა შუმანიკის წამებაში“ მოხსენიებული „კაცი ვინმე წმიდა“ განდეგილი ბერი უნდა იყოს, მეორე კი წმიდა ნინოს ქართველთა პირველ მონაზვნად აცხადებს (ჯიქია 2002:); (მანია 2002-2003:). გოჩა კუჭუხიძე არ უარყოფს, რომ წმიდა ნინო პირველ მონაზვნადაც შეიძლება იქნას აღქმული და, რომ, შესაძლოა, „წმიდა შუმანიკის წამებაში“ მართლაც ბერზე იყოს საუბარი, ოღონდ ფართო სამონასტრო ცხოვრების დასაწყისი, მკვლე-

ვარის დასკვნით, ასურელ მამებთან არის დაკავშირებული და, ამასთან, სრულიად უეჭველია, რომ ასურელ მამათა შორის ქართლში პირველ ჩამოსულ ბერად ძველი ქართული ტრადიცია ყოველთვის წმ. იოანე ზედაზნელს მიიჩნევდა.

მეიდა ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლის განვითობა XI-XVIII საუკუნეებში

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ არსენ კათალიკოსისეულ და მეტაფრასულ რედაქციებში, აგრეთვე „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ ვრცელ რედაქციაში მოცემულია აგიოგრაფიული ციკლის განვითობის პროგრამა, რომელიც ორმხრივ არის მნიშვნელოვანი: 1. როგორც ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრების ჩამონათვალი; 2. როგორც მათდამი მიძღვნილი აგიოგრაფიული ციკლის ახალი საკითხავებით შევსების გეგმა.

შემდგომ პერიოდში ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლი, პროგრამაში მოცემული მითითებების მიხედვით, განავრცეს ახალი თხზულებებით, როგორებიცაა:

1. კათალიკოს ბასილ III ვაჩესძის (1090-1100 წწ.) „თხრობად სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიომეს-თაღ“ (აბულაძე 1955: 199-213). როგორც ტექსტიდან ირკვევა, თავდაპირველად მასში შედიოდა 18 სასწაული, ჩვენამდე კი მოაღწია მხოლოდ ექვსმა (კეკელიძე 1980: 270).

„თხრობად“ იწყება პროლოგით და იყოფა თავებად. თითოეული თავი წარმოადგენს დამოუკიდებელ მოთხრობას, რომელშიც შიომ მღვიმელის სასწაულებია აღწერილი;

2. ტბელ აბუსერისძის (1190-1250 წწ.) „სასწაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი“ (აბუსერისძე ტბელი 1998: 58-70), რომელშიც აღწერილია ალავერდის მთავარმონამის მიერ XI-XIII საუკუნეებში აღსრულებული სასწაულები, რომლებიც უკავშირდება შუარტყლის (ფოცხოვი) ეკლესიის ეზოში დაბრძნებულ ჯვარს: „ხოლო ამის ნეტარის იოვანეს მონაფეთაგანმან

(იგულისხმება ითანე ზედაზნელის მოწაფე, იოსებ ალავერდელი – ს. მ.) ალაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე“.

3. ანტონ მარტყოფელის ლიტურგიკული ციკლი (დ). მისი შექმნის იდეა ეკუთვნის ტბელ აბუსერისძეს, საგალობელთა ავტორები კი არიან კათალიკოსი არსენ IV ბულმაისიმისძე და სამეფო კარის ეპისკოპოსი – საბა სვინგელოზი. ამ ჰიმნოგრაფიულ ციკლში შედის სამი საგალობელი: 1. არსენ ბულმაისიმისძეს „უფალო ღალადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი“ (დაწერილი ვარდან აბუსერისძის – ტბელ აბუსერისძის ძმის – თხოვნით); 2. არსენ ბულმაისიმისძეს „თვთძლისპირნი გალობანი წელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ (დაწერილი აბუსერ აბუსერისძის – ტბელისა და ვარდანის უფროსი ძმის – თხოვნით); 3. საბა სვინგელოზის „გალობანი ქრისტეს განგებულებისანი“ (დაწერილი ვარდან აბუსერისძის თხოვნით) (აბუსერისძე ტბელი 1998: 102-152).

4. XVII-XVIII საუკუნეებში ასურელ მამათა აგიოგრაფიული ციკლის განვრცობა ისევ განახლდა და დაიწერა რამდენიმე სვინაქსარული ტექსტი: „წმ. იოსებ ალავერდელის ცხოვრება“ (ძეგლები 1968: 403-406) (ა), „წმ. ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“ (იქვე: 393-398) (დ), „წმ. ისე წილკუნელის ცხოვრება“ (იქვე: 400-403) (ე) და „წმ. დოდო გარეჯელის ცხოვრება“ (იქვე: 415-418). ეს თხზულებები „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს ჩანართების სახით. თითოეული მათგანი სიმბოლიკის, სტილისა და ფრაზეოლოგის მხრივ ენათესავება X-XIII საუკუნეებში არსებულ აგიოგრაფიულ ტექსტებს (ხალვაში 2008: 56-57).

თავი II

სახელი, წესი და კანონი უფორმული მონაზონებისანი – წმიდა ასურელი მამები

ნმ. იოანე ზედაზნელი (ხსენება 7(20) მაისს) – სრულიად გამორჩეულია მისი ღვანწლი საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებაში, ქართლის ეკლესი-ის კერპთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში გაძლიერებაში, განდეგილობის ინსტიტუტის დამკვიდრებასა და, ზოგადად, ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. ღირს იოანე ზედაზნელს სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიუღია, სრულიად ახალგაზრდა აღიკვეცა ბერად და სამოლგანეოდ უდაბნოს მიაშურა. დაუცადებელი ღვანწლითა და ქრისტეს ერთ-გულებით მან სახელი გაითქვა და სასწაულთმოქმედების ნიჭიც მიიღო. ერთხელ წმ. იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, აერჩია თორმეტი ბერი და ქრისტეს რჯულის განსამტკიცებლად საქართველოში წასულიყო.

მართლაც, თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად, წმ. იოანე საქართველოსკენ გამოემართა. მეფესა და კათალიკოსს ანგელოზებისგან ეუწყათ შუამდინარეთიდან აღმობრწყინებულ „ვარსკვლავთა“ მოსვლა. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მიეგებნენ მეფე ფარსმანი და კათალიკოსი ევლავიოსი კრებულითურთ. წმ. მამებმა თაყვანი სცეს მირონმდინარე სვეტსა და უფლის კვართს. ცოტა ხნის შემდეგ, წმ. იოანემ მოწაფეებთან ერთად მოილოცა ყველა ადგილი, სადაც მოციქულთა სწორმა, წმ. ნინომ, იქადაგა. ასურელი მამები ასწავლიდნენ, რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ ხალხს, ღვთის სიტყვას ქადაგებდნენ და ქრისტიანულ სარწმუნოებას განამტკიცებდნენ. ქართლის კათოლიკოს ევლავიოსის კურთხევით იოანე მოწაფეებთან ერ-

თად ზედაზნის მთაზე დასახლდა, სადაც ადრე ზადენის წარმართული კერპი იდგა. ძალიან მალე ზედაზნის მთა განდეგილთა სამყოფელი შეიქმნა. ერთ ღამეს წმ. იოანეს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. მან დაიტოვა ილია დიაკონი და ზედაზნზე ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. მოძღვარმა და მოწაფემ მრავალი წინააღმდეგობა და განსაცდელი დაითმინეს. ზედაზნი უწყლო ადგილი იყო. ილია დიაკონი ყოველ დღე შორი მანძილიდან ეზიდებოდა წყალს, ამიტომ წმ. იოანემ წყარო სთხოვა უფალს. ღმერთმა შეისმინა ბერის ვეძღვება და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოცენდა. ღირსი იოანეს ლოცვით მრავალი სასწაული აღესრულებოდა: წყაროს დათვი შეეჩია, ბერის ლოცვით მხეცი მოთვინიერდა; დიდი ხნის დავარდნილი სწული და ეშმაკისაგან დამუნჯებული ადამიანი განიკურნა.

წმ. იოანე ზოგჯერ დაიბარებდა თავის მოწაფეებს, ხანაც თვითონ მიაკითხავდა და ამონტებდა, თუ სულიერობის რა საზომს იყვნენ მიღწეული.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ წმ. იოანეს უფლისგან გამოეცხადა აღსასრულის მოახლოება. მან იხმო თავისი მოწაფეები, დაარიგა, აკურთხა და ანდერძად დაიბარა, იმ მღვიმეში დაესაფლავებინათ, რომელშიც მოღვაწეობდა. წმ. ზიარების მიღების შემდეგ ბერმა იხილა გახსნილი ცა და ზეციური უხორცო ძალინ წმიდათა თანხლებით. უფალმა თავისთან უხმო ღირს მამას: „ან მოვედ ჩემდა, რათა განგისუენო შრომითა შენთათქს“ და ლოცვით მიაბარა უფალს სული. მოძღვრის განშორებით ფრიად დამწუხრებულმა მოწაფეებმა გადაწყვიტეს, ზედაზნის ძირს მდებარე მონასტერში წაესვენებინათ მოძღვარი, მაგრამ მოულოდნელად მიწა იძრა. ამის შემდეგ ღირსი მამა ანდერძისამებრ დაკრძალეს.

X საუკუნეში, კათოლიკოს კლიმენტის (908-923) დროს, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აშენდა. ღირსი მამის საფლავი მდებარეობს ტაძრის სამკვეთლოსთან. დღესაც წმ. იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს მის საფლავზე სასწაუ-

ლი აღესრულება, ცისკრის უამს წმინდანის საფლავი მირონმ-დინარე ხდება.

* * *

ზედაზნის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მცხეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედზე მდებარეობს.

ადრეულ ეპოქაში აქ აღმართული ყოფილა ზადენის კერპი, რომლის ადგილას VI საუკუნის 40-იან წლებში ასურელ მამას, იოანეს, ქართული მონასტერი დაუარსებია. სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ააშენა კათალიკოსმა კლიმენტიმ VIII საუკუნის დასასრულს (ადრინდელი დარბაზული ეკლესის ადგილას). გეგმით კვადრატული ბაზილიკის შუა ნავი ვიწრო და მაღალია. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. შესასვლელი სამხრეთიდანაა (დასასვლეთი შესასვლელი გვიანდელია). სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავები მთავარ ნავს აგურის თაღლვანი გასასვლელებით უკავშირდება. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესია, რომლის გეგმით სწორკუთხა აფსიდა გადახურილია კონუსურ ტრომპებზე დაყრდნობილი ნალისებრი კონქრით. საკურთხეველი აქ ოთხი საფეხურითაა ამაღლებული. იოანე ზედაზნელის ქვის კუბო (იგი XVII საუკუნეში უნდა იყოს გაკეთებული), „პატიოსანი ლუსკუმა“, ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი.

ჩრდილოეთ ნავის დასასვლეთ ნაწილში წყლის აუზია. სამხრეთ ნავი ორი ნაწილისაგან შედგება, ეკლესიაში შესასვლელი მთავარი ნავიდანაა (ადრე კი დასასვლეთიდან იყო). ძეგლი ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ნაწილობრივ აგურით. გვხვდება შირიმის ქვაც. ფასადები მარტივად და სადად არის გადაწყვეტილი, სარკმლები განლაგებულია ასიმეტრიულად. მთავარი ნავის სარკმელი მორთულია „განედლებული“ ჯვრის რელიეფით. ფასადზე ჯვრის მარტივი გამოსახულებაა.

ეკლესიას სამხრეთით ეკვრის თლილი ქვით მოპირკეთებ-

ული, ცილინდრულ-კამარიანი კვადრატული კარიბჭე, რომლის ორფერდა სახურავზე აგურით ნაგები თაღებით ოთხმხრივ გახ-სნილი რვაწახნაგა სამრეკლო დგას, მის დასავლეთით გამოყოფილია მცირე სენაკი (ორივე XVIII საუკუნეს განეკუთვნება). ზედაზნის მონასტერი რამდენჯერმე შეკეთდა. 1970-1971 წწ. ჩატარდა სარესტავრაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები (ზედაზენი 2010:).

ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი, იოანე, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. მისმა მონაფეებმა იგი ზედაზნის მთის ძირას (ქვემო ზადენი), თაოეს მიერ დაარსებულ ძმათა მონასტერში დაკრძალეს, მაგრამ მალე, ანდერძის მიხედვით, მისი ნეშტი მთის თხემზე გადაასვენეს და აქ მის სახელზე მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია ააგეს.

იოანე ზედაზნელის სამარხის გვიანდელ საბურველში აღმოაჩინეს მონაცრისფრო ტუფის ფილა, რომელზეც რელიეფური გამოსახულებაა. რელიეფის კომპოზიცია შედგება სასულიერო პირების ჯგუფისა და ამაღლების სცენისაგან. ფილა VII საუკუნით დაათარიღეს. მეცნიერთა მოსაზრებით, მასზე გამოხატული არიან ზედაზნის მონასტრის მოძღვრები: მარცხნიდან პირველ რიგში იოანე – მონასტრის დამაარსებელი, შემდეგ – ილია დიაკვანი, იოსები და სტეფანე. ამაღლებულ ნაგებობაზე მდგარ ფიგურათა სახეები გაურკვეველია. რაც შეეხება ფიგურების ზემოთ შემორჩენილ ფრაგმენტულ გამოსახულებას (მანდორლით შემოვლებული ფიგურაახტის ქვედა ნაწილი), ეს ქრისტეს გამოსახულება უნდა იყოს ამაღლების სცენიდან. ზედაზნის მონასტერმა დღემდე შემოგვინახა შესანიშნავი ქვის კანდელი, ისეთი, როგორიც შუამთის მონასტერშია. მის ორ შემორჩენილ ფილაზე ნარმოდგენილია ცამეტ მამათა სულიერი მასწავლებელი წმ. სვიმონ-მესვეტე და ორი ქტიოტორის ფიგურა, კანკელი შესრულებულია განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. ამჟამად კანკელისა და იოანეს საფლავის ქვის ფილები საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება (მენაბდე...2003:).




ნედაზნის მონასტერი






ნმ. დავით გარეჯელი და

ნმ. ლუკიანე



მაღლის ქვა



დავითგარეჯის
ლავრა

ნმ. დავით გარეჯელი (ხსენება ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს) – წმ. დავით გარეჯელის სახელთან უშუალოდაა დაკავშირებული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის, თბილისის ქაშუეთისა და მთაწმინდის (მამადავითის) ისტორია.

წმ. ოთანე ზედაზნელის საყვარელ მოწაფეს სამოღვაწეოდ ახლად დაარსებული ქალაქი, თბილისი, აურჩევია, აქ მოსულა ლუკიანესთან ერთად და უდაბურ ტყეში, უკაცრიელი მთის ფერდობზე, გამოქვაბულისთვის შეუფარებია თავი, შემდგომ კი პატარა სენაკი და სამლოცველო აუგია. მამა დავითი თურმე კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, ქალაქში ჩამოდიოდა და ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, ცეცხლთაყვანისმცემლებს ქრისტეს რჯულზე მოაქცევდა. მეტეხის ძირში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელი ყოფილა გაშენებული. აქ ცხოვრობდენ ქრისტიანები, ებრაელები და სპარსელები. იმხანად სპარს მოგვებში ორი ძმა, ხოსრო და ხოსია, გამოირჩეოდა თურმე. მათი მამა, რაჟდენი, გაქრისტიანებულა, რისთვისაც უნამებიათ. ხოსროს, მაღალი თანამდებობის პირსა და ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს, მამის მემკვიდრეობა მიუღია. მას შეუნიშნავს, რომ ვიღაც უცნობი მოხუცი მთიდან ჩამოდის და ცეცხლთაყვანისმცემლებს შორის ქრისტიანობას ავრცელებს. ხოსრომ გადაწყვიტა მოხუცის მოკვლა თვით ქრისტიანთა ხელით.

ხოსროს შვილს, მუსას, ჰყვარებია ქრისტიანი ქალი, მარიამი, რომელიც მამის დაუინებული რჩევით მუსას შეუცდენია. როდესაც მარიამი დაფეხმდიმდა, ხოსროს მოუთხოვია ბავშვის მამის ვინაობის დადგენა. ხორსოსაგან დაშინებულმა მარიამმა ბავშვის მამად ალიარა მთას შეფარებული დავითი. განრისხებულ ქრისტიანებს დავითის დასჯა გადაუწყვეტიათ. სამსჯავროს წინაშე წარმდგარ მოხუცს, განაჩენის მოსმენის შემდეგ, ხალხისთვის მიუმართავს: „დაე, თვით ყრმამ ამხილოს მამა და მიუთითოს დამნაშავეზე!“.

დავითი მისულა მარიამთან, კვერთხით სამჯერ შეხებია ქალის მუცელს და წარმოუთქვამს: ვინ არის შენი მამა?

ჩვილს უპასუხია – ჩემი მამა მუსა, ხოსროს შვილი.

შეკრების ადგილზე ცილისმწამებელ ქალს ქვა უშვია. (კა-

ლისტრატე ცინცაძე 1994: 9-10)

ხალხსა და მეფეს, რომლებიც განცვიფრებულები შე-ჰყურებდნენ მოხუცს, გადაუწყვეტიათ სასწაულის ადგილზე აეშენებინათ ეკლესია, საძირკველში კი ჩაუტანებიათ მარიამის მიერ შობილი ქვა და ის ქვებიც, რომლითაც დავითი უნდა ჩაექოლათ. ეკლესიას ეწოდა ქვა-შუა>ქვაშუთი>ქაშვეთი.

აკაკი შანიძის აზრით, წმიდა გიორგი ქაშვეთისა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სახელწოდებად გვხვდება „თაგვეთის ქაშვეთი“ ხაშურის რაიონში და „ლენჯერის ქვაშვეთი“ მესტიის რაიონში. რევოლუციამდელ რუსულ რუკაზე ასევე აღნიშნულია ქაშვეთის მთები ზემო ხვედურეთთან გორის რაიონში და თბილისთან ახლოს, პატარა ლილოში. ა. შანიძე „ქაშვეთის წმინდა გიორგის“ უკავშირებს „ქაჯუეთის“ ხახმატის ჯვარს „ქაჯუეთი-ქაჯავეთი“ (შანიძე 1985: 350-352).

ლ. წერეთლის აზრით, „ქაშვეთის“ დაკავშირება „ქვა-შვეთან“ და იმ სასწაულთან, რომელიც ქალის მიერ ქვის შობას აღნიშნავს, ზეპირი ტრადიციის შედეგია. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ამგვარი თხრობა არ არის, ეს პასაჟი სიტყვასიტყვით გადმოტანილია „ეფრემ ასურის ცხოვრებიდან“, რომლის ქართული თარგმანი ცნობილი იყო. როდესაც დაიკარგა ქვაშვეთის ეტიმოლოგიის ხსოვნა, ზეპირი ტრადიციებით ეფრემ ასურის ცხოვრების ეპიზოდი მიენერა დავით გარეჯელს. მეცნიერის დაკვირვებით, უძველესი დროიდან სვეტის სიმბოლიკას ღრმა დატვირთვა აქვს ხალხურ ტრადიციასა და ხუროთმოძღვრებაში. მესვეტეობის ტრადიციით საქართველოში ქვა-სვეტების აღმართვამ სხვა სულიერი ფუნქციაც შეიძინა. ამდენად, ქვაშვეთი უნდა იყოს ქვა-სვეტი (წერეთელი 2007: 55-56).

ქაშვეთის მცირე მოცულობის ეკლესია XVIII ს.-მდე არსებობდა. 1753 წელს თავადმა გივი ამილახვარმა ძველი ეკლესიის გვერდით ახალი გუმბათიანი ტაძარი ააგო, რომელმაც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დიდხანს ვერ გაძლო. დღევანდელი ორსართულიანი ეკლესიის მშენებლობა 1904 წელს დაუწყიათ, პროექტი შეუდგენია არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდს XI

საუკუნის სამთავისის ტაძრის მიხედვით. პირველი სართული, სულიწმიდის სახელობისა, გაიხსნა 1909 წელს, მეორე, ნმიდა გიორგისა, – 1910 წელს.

წმ. დავითმა მიატოვა სენაკი, ქალაქს გაეცალა და, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, გარეჯის უდაბნოს შეაფარა თავი. „გარეჯა“ კომპოზიტია და ორი სიტყვისაგან შედგება: „გარე“ და „სჯა“. „გარე“ ნიშნავს „გარეთა“, „გარეშეს“, „სჯა“ კი – „განსჯას“, „მსჯელობასა“ და „დასჯას“. მაშასადამე, კომპოზიტი „გარეჯა“ ორ რამეს უნდა ნიშნავდეს: ა) ამქვეყნიური ცხოვრებიდან მოშორებით, გარეთ განსჯას, მსჯელობას, რელიგიურ მოღვაწეობას; ბ) ამქვეყნიური ცხოვრებიდან მოშორებით გარეთ დასჯას, რაც ასკეზას გულისხმობს (თვარაძე 2002: 60-61).

ქრისტიანებმა, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, გადაწყვიტეს დავითის სახელზე სენაკის მახლობლად ეკლესია აეგოთ. ასე აშენდა პატარა ეკლესია „მამადავითი“. მთაწმინდა კი ათონის მთაწმინდის მონასტრის პატივსაცემად შეურქმევიათ მისთვის X ს.-ში.

მამადავითის ეკლესია სიონის საკათედრო ტაძრის დაქვემდებარებაში ყოფილა. აქვე ინახებოდა წმ. დავითის ხატიც, რომელიც ამაღლების შემდგომ ხუთმაბათს გადაჰქონდათ სიონიდან მთაწმინდაზე, სადაც მთელი დღე მლოცველთა წინაშე იდგა (ჩორგოლაშვილი 1991: 32-49).

XVI ს.-ში დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებს მთაწმინდაზე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აუშენებიათ. ამ ეკლესიამ 200 წელი იარსება. 1809 წელს იგი დაანგრიეს და ახალი ააშენეს კათალიკოს ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით. 1810 წელს აიგო ახალი ეკლესია ფერისცვალების სახელზე. 1871 წელს ეგზარქოსმა ევსევიმ აკურთხა მამადავითის სახელზე აგებული ახალი ეკლესია, რომელიც თავდაპირველად უგუმბათო იყო, 1877 წელს კი გუმბათიც დაადგეს. დღეს მთაწმინდის ფერდობზე ერთმანეთის გვერდით დგას მამადავითისა და მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესიები.

* * *

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით 60 კმ.-ზე მდებარეობს, მტკვარსა და იორს შორის. წმიდა დავითი გარეჯის მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმიდა დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში მისმა მონაფეხბმა და თანამოღვანეებმა დაარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ – დოდოს რქა, ხოლო ლუკი-ანემ – ნათლისმცემლი.

დავითგარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმიდა მამის – ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმიდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი წმიდა მეფის – დავით აღმაშენებლის ძემ – დემეტრემ (ავტორი საგალობლისა „შენ ხარ ვენახი“). XI საუკუნეში გარეჯის მონასტერს სელვაკები შემოესივნენ, რის გამოც შეფერხდა მისი განვითარება, თუმცა ცხოვრება აქ არ შენელებულა. გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI-XIII საუკუნეებში, დაარსდა ახალი მონასტრები – უდაბნო, ბერთუბანი და ჩიჩინტური, გაფართოვდა და კეთილმოენყოფილი დავითის ლავრა, რომელიც პატარა ხეობის ორივე კალთაზეა გაშენებული. მონასტერში, რომელშიც თავდაპირველად ბინა დაიდო წმიდა დავითმა, მოეწყო ტერასიანი ეზო, აშენდა ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში გაიჭრა წყალშემყვანი არხები და რეზიტრვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კედლის მხატვრობაც ეკლესიებსა და სატრაპეზოებში. უდაბნოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა გარეჯის სამხატვრო სკოლას, რომელმაც თავისი შემოქმედების მწვერვალს ბერთუბნის მოხატულობაში მიაღწია.

გარეჯის ფრესკების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მან შემოგვინახა ბევრი ისტორიული პირის პორტრეტი – წმიდა დავით აღმაშენებლისა – ნათლისმცემლის უდაბნოში, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის – ბერთუბანში, დიმიტრი

თავდადებულისა და სხვა ქტიოტორებისა – უდაბნოში.

XIII საუკუნეში მონღოლებმა გაძარცვეს და გაანადგურეს მონასტრები, ცეცხლს მისცეს ხელნაწერები და სიწმინდეები. შენყდა ცხოვრება ბერთუბანში, აოხრდა ლავრის, დოდოს რქი-სა და ნათლისმცემლის მონასტრები. XIV და XV საუკუნეთა მიჯნაზე თემურ ლენგმა ცეცხლითა და მახვილით დაარბია საქართველო. ქვეყნის დაცემა, ბუნებრივია, დავით გარეჯის მონასტერსაც შეეხო და, როგორც ჩანს, ამ დროს შენყდა მისი სამხატვრო სკოლის არსებობაც. 1615 წელს შაჰ-აბასის ურ-დოებმა აღდგომა ლამეს 6000 ბერი ამონტყვიტეს და მონასტერი გაძარცვეს. XVII საუკუნის ბოლოს მეფე თეიმურაზი და შემდეგ არჩილ მეფე ცდილობდნენ სამონასტრო ცხოვრების აღდგენას დავითგარეჯში. ეს მხოლოდ 1690 წელს მოხერხდა, როცა მო-ნასტრის წინამძღვრად ლირსი ონოფრე გარეჯელი (ერისკაცო-ბაში ოთარ მაჭუტაძე) დაინიშნა. მისი ორმოცი წლის მოღვაწე-ობის შედეგად გარეჯის მონასტერს დაუბრუნდა დაკარგული მიწები, აიგო გალავნები, კარიბჭე და სატრაპეზოები (დავით-გარეჯი 2003:)

დავითგარეჯა სულიერობის, განათლებისა და კულტურის მძღვანი კერა იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ანგონ I და სხვები. გარეჯის სამო-ნასტრო კომპლექსის აღდგენა-აღორძინება XVIII ს.-ის 90-იანი წლებიდან იწყება. 1690 წელს საეკლესიო კრებამ გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე აირჩია, რომელმაც ახალი გალავანი ააშენა, გააძლიერა თავდაცვითი ნაგებობანი, შეადგ-ინა აგიოგრაფიული თხზულებების კრებული, ტიპიკონი, ცხრა გალობისაგან შემდგარი ლიტურგიკული „კანონი“ წმ. დავით გარეჯელისადმი მიძღვნილი. „კანონს“ ახლავს აკროსტიხი, რომლის ანალიზის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ „კანონის“ ავტორი არის სულხან-საბა, უშუალოდ ჩამნერი კი – სხვა პირი, შესაძლოა თვით ონოფრე მაჭუტაძე (ქართული მწერ-ლობა 1984: 153).

მღვდელმონაზონი კალისტრატე 1884 წელს ნაშრომში „წმი-და დავით გარეჯელის უდაბნო“ ასეთ ფაქტებს აღნუსხავს: „ამ

უდაბნოში მოღვაწე ბერებისაგან სხვათა შორის ჩვენ დაგვრჩო-
მია მშვენიერი ძველი ხელთ-ნაწერები, ხუცური და მხედრული,
ქართული სამეცნიერო წიგნები, და სახელდობრ: 1. დოლმატი-
კა; 2. ხნოროლრაფი; 3. გრდემლი; 4. კავშირი; 5. დიალეკტიკა;
6, საზღვარი დავითისი; 7. წიგნი დამარღვეველი ლითონთ სარ-
წმუნოებისა; 8. წინწილი ღაღადებისა; 9. ოთხი თავი სახარების
განმარტება ეტრატზედ; 10. კატეგორია; 11. ოოანე სინელი;
12. დამასკელი გრიგორისა; 13. დიონოსის წინა ბჭე; 14. ეფრემ
ლაფსაიკონი; 15. ლაფსაიკონი მეორე; 16. ნეტართა მამათა ცხ-
ოვრება; 17. ქართველთა წმინდათა ცხოვრება; 18. სვინაქსარი
ეტრატზედ; 19. ცხოვრება გრიგორი ღვთის მეტყველისა; 20.
გამოცხადება ოოანე ღვთისმეტყველისა; 21. დავითნის გან-
მარტება ეტრატზედ; 22. ლაფსაიკონი ოქროპირისა; 23. წინამდ-
ღვარი ოოანე დამასკელისა; 24. უამ გულანი ეტრატზედ; 25.
სწავლა მონაზონთათვის ეტრატზედ; 26. ქართული ლექსიკონი;
27. ქართული ღრამატიკა და სხვა, რომელნიც შენახულ არიან
ამა უდაბნოს ბიბლიოთეკაში. ნუთუ ცოდვა არ არის ამგვარი
სამეცნიერო წიგნები რჩებოდეს დაუბეჭდავი და სხვა ამგვარი
ნაშრომ-ნაღვანი წინაპართა გაუცნობელად შემდგომთა მათთა
შთამომავალთათვის?!

გარდა წმიდა დავითის სხეულისა, აქ განისვენებენ ცნო-
ბილნი კეთილის მოქმედებითა და წმინდა ცხოვრებითა თვისი-
თა: ღირსი მამა დოდო (კახეთის თავადთაგანი, ანდრონიკანი),
მონაფე დავით გარესჯელისა, რომელმაც დააფუძნა დოდოს
მონასტერი, რომელიც პირდაპირ უყურებს ჩრდილოეთიდამ
ამ უდაბნოს, ერთ ვერსტზედ, ერთს დიდს მთაზედ, სადაც
დღესაც არის ეკკლესიები, სხვა-და-სხვა სენაკები და ჭები,
კლდისაგან გამოკვეთილნი, ვიდრე ორასამდის; წმინდა დოდო
აღსრულდა ექვსას-ოც-და-სამ წელში, რომელსაც ქართველთა
ეკკლესია დღესასწაულობს მეშვიდესა ზადიკის ოთხშაბათსა,
ე. ი. ამაღლების შემდეგ, სწორედ წინა დღეს დავით გარესჯე-
ლის დღესასწაულისა; მამა ლუკიანე, მონაფე წმინდა დავითისა;
ღირსი მამა არსენი, წამებული შაჰ-აბაზისაგან ათას-ექვსას-
სამ წელში; გრიგორი ხუცეს-მონაზონი, გარდაცვლილი ათას-

ექვსას-ოცდა-რვა წელში, რომელმაც აღნერა წამება ქეთევან
დედოფლისა.

აქ დასაფლავებულ არიან სხეული საქართველოს მეფე-
თა: 1) ალექსანდრე პირველისა ათას-ოთხას ორმოც-და-ორ
წელში; 2) ბაგრატიონისა, რომელმაც დასტოვა სამეფო ტახტი
და შეიმოსა მონაზონებითი ცხოვრება; 3) დიმიტრი, რომელ-
იც შეუდგა მამის მაგალითს, დაუტევა ქვეყნიური მეფობა და
შევიდა ბერად, იწოდებოდა დამიანედ, მრავალს მოღვაწებაში
აღსრულდა ათას-ხუთას-ორმოც-და-თოთხმეტ წელში და 4)
მეუღლე საქართველოს მეფის გიორგისა ეკატერინე (ქართუ-
ლად) ქეთევანი, ათას შვიდას ოთხმოცდა ორ წელში.

აქვე მარხიან მღვდელთ-მთავარი: 1) იოსებ მიტროპოლი-
ტი ნინო წმიდისა, ათას შვიდას თერთმეტ წელს; 2) ნიკოლოზ
ნინოწმინდელი; 3) იონა ბოდბის მიტროპოლიტი; 4) დომენტი
რუსთავის მიტროპოლიტი; 5) დავით ბოდბის მიტროპოლიტი
და 6) მთავარ ეპისკოპოსი ქართლისა, რომანოზ მონაზონი,
ათას შვიდას წელს და სხვა.“ (მღვდელმონაზონი კალისტრატე
2003:).

XX ს.-ის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის გა-
ძლიერება დაკავშირებულია დავით გარეჯის სახელთან, როცა
მთელი ერი აპროტესტებდა სამხედრო პოლიგონის გარეჯის
ახლომდებარე ტერიტორიაზე არსებობას.

მადლის ქვა

ერთხელ ღირსი მამა დავით გარეჯელი, რამდენიმე მეუ-
დაბნესთან ერთად, იერუსალიმში გაემგზავრა წმინდა ადგ-
ილების მოსალოცად. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მათ
მიაღწიეს „მადლის მწვერვალად“ სახელდებულ ადგილს. მამა
დავითმა მუხლი მოიდრიკა, ღვთის შიშითა და სიხარულით
გულალვსილმა თქვა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო!
შენ, რომელი მოხვედი სოფლად კაცთა მოდგმის ცხოვნები-
სათვის, ინებე ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისაგან უცოდ-
ველად განკაცება, თვისი ნებით დაიტანჯე ჩვენი ცოდვებისა-

თვის ან ჩემ მიერ ხილულ ამ ადგილებში, დაითმინე ჯვარი და სიკვდილი... მეც, უღირსი მონა შენი, ღირსი გამხადე, მეხილა ეს ადგილები, სადაც შენს წმიდა ფერხთ უვლიათ! ან აღარ გავკადნიერდები განვაგძო გზა, რათა შენს წმიდა ფერხთაგან კურთხეული ალაგანი არ შეურაცხვყო ჩემი უწმინდური ფეხებით. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მე, ცოდვილი, ღირსი გავხდი შორიდან მეხილა ეს წმინდა ადგილები.”

ამაოდ ევედრებოდნენ დავითს, განეგრძო გზა. მაშინ სევ-დიანად გამოემშვიდობნენ მას მოღვაწენი და უფლის ქალაქი-საკენ აიღს გეზი.

გულმხურვალე ლოცვისა და სინანულის ცრემლთა დათხევის შემდეგ მამა დავითმა იმ ადგილიდან სამი ქვა აიღო და საქართველოში გამოემართა.

იმავე ლამეს იერუსალიმის პატრიარქ ილიას ეუწყა უფლის ანგელოზისაგან: „ჩემმა საყვარელმა დავითმა იერუსალიმთან მიახლოებისას თან წაიღო მისი მადლი. ან დაუყოვნებლივ გაგზავნე მალემსრბოლნი, რათა წამოენიონ ქალაქის ფარგლებს გარეთ გასულ ბერს, ძონებით მოსილსა და ხელში კალათის მქონეს, მასში ჩადებული სამი ქვით. უბრძანე, გამოართვან მას ორი ქვა, ხოლო მესამე დაუტოვონ და უთხრან: „ ასე გიბრძანებს შენ უფალი, ვინაიდან შენი სიმდაბლის გამო თან წაგილია იერუსალიმიდან ჩემი საფლავის მადლი, მე მნებავს, რომ ორი ნაწილი კვლავ დაუბრუნდეს იერუსალიმს, რათა მთლიანად არ იქნეს იგი მოკლებული მადლს, მესამე ნაწილი კი შენთვის მომინიჭებია უდაბნოში წასაღებად.”

გაოცებულმა პატრიარქმა სასწრაფოდ დაადევნა მალემ-სრბოლნი, რომელთაც ყველაფერი უამბეს წმინდა ბერს. დავითმა უფალს მადლი მოახსენა, მალემსრბოლთ დაუბრუნა ორი ქვა, ხოლო ერთი გარეჯის უდაბნოში წამოილო და ეკლესიაში დაასვენა.

მადლის ქვა (მისი წონა 69 მისხალია) გარეჯის ლავრაში მრავალ მომლოცველს იზიდავდა. დავითის აღსასრულის შემდეგ იგი ესვენა საფლავზე, რომელიც მის მიერვე გამოკვეთილ მღვიმეში მდებარეობდა, რომელშიც მოგვიანებით ბუბაქარმა

უფლის ფერისცვალების ეკლესია მოაწყო.

მადლის ქვის შემდგომი ბედის შესახებ ქვაბთახევის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერი გვაუწყებს: „ამ ეკლესიაში ერთ მცირე ყუთში ასვენია ის მადლის ქვა, რომელიც მოიტანა წმინდა დავითმა ქრისტეს საფლავი-დან. შემდგომ მის გარდაცვალებისა ბევრმა წყალმა გაიარა, არავინ იცოდა, თუ სად იყო იგი შენახული. 1816 წელს, სიძველის გამო, ეს ეკლესია განაახლა ამ უდაბნოს წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ილარიონ (ვაჩინაძე) მეორემ... მოითხოვა საჭიროებამ გაესწორებინა კანკელის ოთხკუთხიანი სვეტი, რომელიც წმინდა დავითის საფლავის ფეხებისაკენ იყო. ნახევარი რომ ჩამოაქციეს, გამოჩნდა კედელი, გაჯით გალესილი და შიგ დახატული ღირსი მამები: დავით და დოდო, იმ დროისა, როდესაც დავითი მოვიდა იერუსალიმიდან და შეეყარა დოდოს მხიარული სახით, ერთმანეთის ხელებზედ ამბორის მყოფელნი; ზედ ეწერა: „ ხატი წმ. დავითისა, იერუსალიმიდამ მოსულისა”. აუცილებელი გახდა ამ კედლის ხატითურთ გასწორება; როდესაც ჩამოქცეულ იქნა, გამოჩნდა სხვა კედელი გაჯით გალესილი და თახჩაში მცირე სორო, რომელშიაც იდო მადლის ქვა.

მადლის ქვა არის „ბატის კვერცხზედ ცოტა ნაკლები, მოგრძო, თავზედ აქვს ხალი ძველი სისხლისფერი, ცალ გვერდზედ მისივე ფერით წვრილად ჩაწრებული თავიდან ბოლომდის, ფერით არის საშუალ თეთრისა და წითლისა, რომელიც ჰკურნავ სარწმუნოებით შემხებელსა მისსა”.

ეს ქვა ბერებს განსაკუთრებულ ადგილას შეუნახავთ. მას გამოასვენებდნენ ხოლმე წმ. დავითის დღესასწაულზე, მაგრამ 1857 წ.-ის 1 ოქტომბერს დავით გარეჯის სავანეს ლეკები დაესხნენ თავს, გაძარცვეს, ბევრი ფასეული ნივთი წაიღს, მათ შორის მადლლის ქვაც. მღვდელმონაზონი მიტროფანე, მონასტრის ძმები და მოსალოცად მისული საერონი ტყვედ წაიყვანეს. გზად სიცოცხლეს გამოასალმეს სავანის დარაჯი მიხილ სერგიაშვილი.

შინ დაბრუნებულებმა ნადავლი გაიყვეს, მადლის ქვას კი, რომლის მნიშვნელობაც არ ესმოდათ, სახლის სხვენში მიუჩინეს

ადგილი. მღვდელმონაზონი მიტროფანე უთვალთვალებდა მათ. ერთი წლის შემდეგ გათავისუფლებულმა მღვდელმა ლეკთაგან უჩუმრად წამოილო მადლის ქვა და გადასცა უდაბნოს წინამძღვარ იოანე ჯორჯაძეს.

1878 წელს ვინმე თათარი მწყემსი მალვით მიეპარა მღვიმეს, სადაც დავითის ლოცვით აღმოცენებული წყარო მოედინებოდა. („დავითის ცრემლებს“ უწოდებდნენ წყაროს), უნმინდურად წაბილწა ეს ადგილი. წყარო დაშრა. დამწუხრებულმა ბერებმა, წინამძღვარ მამა სოფრომის თოსნობით, მოწინებით აიღეს მადლის ქვა, დაშრალ წყაროსთნ მამა დავითს პარაკლისი გადაუხადეს, მადლის ქვა წყლით განბანეს და დაინახეს, რომ წყარომ კვლავ უნინდებურად დაიწყო დენა.

1886 წლის 3-4 თებერვალს თათარი მწყემსები ცხვრებს აძოვებდნენ „დავითის ცრემლების“ წყაროსთან და ყურანის მიერ დაკისრებული წესი აღასრულეს, რის გამოც წყალი უეცრად შეწყდა, მაშინ მღვდელმონაზვნებმა: სვიმონმა (წულუკიძე), როსტომმა და სტეფანემ კრძალვით გამოასვენეს მადლის ქვა, მის წინ პარკლისი გადაიხადეს, ჯვარი გარდასახეს წყაროს და წყალმა დენა დაიწყო.

დღეს ღირსი დავით გარეჯელის სასწაულმოქმედი ქვა საქართველოს საპატრიარქოს საგანძურში ინახება (მადლის ქვა 2003:).

ნმ. შიომ მღვიმელი (ზსენება ყველიერის ხუთშაბათსა და 9(22) მაისს) – ღირსი შიო ანტიოქიიდან იყო. მისმა ღვთისმოსავმა მშობლებმა კარგი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. ოცი წლის შიო ფარულად წავიდა სახლიდან წმ. იოანეს სანახავად, რომელმაც სიხარულით მიიღო, აკურთხა და ურჩია, შინ დაბრუნებულიყო, რათა მშობლებისგან ნებართვა აეღო. გავიდა ხანი, შიოს დედ-მამა მონასტერში წავიდა სამოღვანეოდ, შიომ კი გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მონა-მსახური და ნეტარ იოანეს მიაშურა, რომელმაც სიხარულით მიიღო და ბერადაც აღკვეცა, მერე წმ. იოანე ზედაზნელს საქართველოში გამოჰყავა. ღირსი შიო სარკინეთის კლდეთა შორის მდებარე მღვიმეში მოღვაწეობდა, მტრედი უზიდავდა საზრდოს. ეს ნახა სანადიროდ გამოსულმა მთავარმა, ევაგრემ, და დაემონაფა მას. მალე წმ. შიომ იქ სავანე დააარსა და ორი ათას ბერს მოუყარა თავი. წმ. შიომ აღთქმა დადო, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მღვიმეში გაატარებდა, ამიტომ მღვიმე თავისსავე მონასტერში გათხარა და შიგ ჩავიდა, რომელმიც თხუთმეტი წელი მოღვაწეობდა.

ქრისტეს სიყვარულისთვის ცოცხლად დამარხულ შიოს ეუწყა აღსასრულის შესახებ, მიიღო წმ. ზიარება და მშვიდად განუტევა სული. გადმოცემის თანახმად, სპარსელების ერთ-ერთი შემოსევის დროს შაჳ-აბასის მხედრებმა შიო მღვიმელის წმ. ნაწილები ირანში წაიღეს, მაგრამ იმ წელს ირანში საშინელი ჭირი გაჩნდა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. შეშინებულმა სპარსელებმა ამის მიზეზად წმ. შიოს ნაწილებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება მიიჩნიეს და ძვლები კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

წმ. შიო მღვიმელს ეკუთვნის ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის კრებული „სწავლანი“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ხელნაწერებსა და გადმოცემებს შემოუნახავთ ღვთისმშობლისა და სამებისადმი მიძღვნილი ორი „ოხითავ“. სწორედ წმ. შიოს სახელს უკავშირდება ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის დასაწყისი.

შიოს მარანი – ხატოვან გამოთქმად ქცეული ულევი, უხვი

საზრდოს აღმნიშვნელია. „ღმერთმა ისე აგაშენოთ, როგორც
შიოს მარანიო“ – დალოცვის ტექსტებსა და სადლეგრძელოებ-
ში დამკვიდრებული გამოთქმაა. თ. სახოკიას აზრით, „შიოს მა-
რანი – სიმდიდრე ულეველი, დიდი ქონება, უხვება, სავსებაა“
(სახოკია 1975: 763). წმ. შიო მღვიმელის სახელთან დაკავში-
რებული სასწაული, რომ მარანში დაკლებული ღვინო თავისით
მატულობს და ივსება, ლ. წერეთლის აზრით, მომდინარეობს
სვიმონ მესვეტის (უფროსის) ცხოვრებიდან (წერეთელი 2008:
58-61).

* * *

შიომღვიმის მონასტერი მდებარეობს მტკვრის მარცხენა
სანაპიროზე, სარკინეს (ახალტბის) ქედის სამხრეთ კალთაზე.
მონასტერი დაარსებულია VI საუკუნის შუახანებში, სამონას-
ტრო კომპლექსის უძველესი ნაგებობაა ჯერ კიდევ წმიდა შიოს
სიცოცხლეში, 560-70-იან წლებში აშენებული წმიდა იოანე
ნათლისმცემლის ეკლესია, რომლის ქვედა ნაწილი საგანგებოდ
გაკაფულ კლდეში არის ამოყვანილი. ეკლესია „თავისუფალი
ჯვრის“ ტიპისაა, ნაგებია ნატეხი ქვით. 1010-1033 წლებში
კათალიკოსმა მელქისედეკ I-მა გააკეთებინა კანკელი, რომელ-
იც შედგება ოთხი მოჩუქურთმებული ფილისაგან, რომელზე-
დაც რელიეფური გამოსახულებებია – ძველი აღთქმის სქემა,
ჯვარცმა, წმიდა სიმეონ მესვეტე და მართა, წმიდა შიოსა და
ევაგრეს შეხვედრა (მცხეთელი დიდებული, რომელიც წმიდა
შიომ ბერად აღკვეცა). ეს რელიეფები შუა საუკუნეების ქართუ-
ლი სკულპტურის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება
(ინახება ხელოვნების მუზეუმში).

XI ს.-ის ბოლოს წმიდა შიოს მღვიმის თავზე, ნათლისმცემ-
ლის ეკლესიის დასავლეთით, აშენდა გრძელი უაფსიდო ეგვ-
ტერი, მღვიმე, რომლის ცენტრშიც არის წმიდა შიოს საფლავი,
11 მეტრის სილრმისა. იგი ზემოთკენ ჭასავით ვიწროვდება და
ისხნება ეგვტერის დასავლეთ ნაწილში გაკეთებული ხვრელით.
ჩრდილოეთიდან ეგვტერს აქვს სტოა-კარიბჭე, რომლის ჩრდი-

ლოეთით 1420-30-იან წლებში თაყა ზედგენიძემ ააშენა პატარა ეგვტერი საგვარეული საძვალედ. 1733 წელს გივი ამილახვარმა აღადგინა მლვიმეზე დაშენებული ეგვტერი და დააკავშირა იგი ეკლესიის დასავლეთ მკლავთან, აგრეთვე ააშენა სამრეკლო. XIX ს.-ში კარიბჭეს სამხრეთიდან მიუშენდა პატარა მართვულთხა სათავსო. ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილოეთით ღმრთისმშობლის მიძინების დიდი ტაძარია. ის 1103-23 წლებში ააშენა მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა შიომღვიმის მონასტერზე და დიდძალი ქონებაც შესწირა მას.

ტაძარი მთლიანად აგურით არის ნაშენი. თავიდან ის „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ნაგებობა იყო. 1614-16 წლებს შორის, ირანელთა მიერ მონასტრის დარბევისას, ღმრთისმშობლის ეკლესია დაინგრა. 1678 წელს ის განაახლა გივი იოთამის ძე ამილახვარმა. შენობა აღადგინეს როგორც სამნავიანი ბაზილიკა. 1722-26 წლებში ეკლესია კვლავ დაზიანდა ლეკების შემოსევების შედეგად. 1730-33 წლებში ხელახლა შეაკეთა გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარმა. 1890-იან წლებში ეკლესია განაახლა წმიდა ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ.

იოანე ნათლისმცემლისა და ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიები 1901-1903 წლებში მოხატა რუსმა მხატვარმა, ნ. ანდრევმა, ლეონიდე ეპისკოპოსის დაკვეთით. მხატვრობა ილუზორულ-აკადემიური ყაიდისაა. ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით დგას მონასტრის სატრაპეზო, რომლის ძველი ნაწილი XII საუკუნეს განეკუთვნება. 1730-იან წლებში სატრაპეზოს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. ჩრდილოეთით სატრაპეზო უკავშირდება აფსიდიან სამლოცველოს, რომლიდანაც ბერელი დერეფანი მიდის წმიდა შიოს მლვიმისკენ. მონასტრის ჩრდილოეთით სარკინეს (ახალტბის) ქედის შვეულ კალთებზე ასზე მეტი გამოქვაბულია, რომელსაც ბერები ადრეული შუა საუკუნეებიდან საცხოვრებლად იყენებდნენ.

მონასტრის შემოსასვლელი კარიბჭის მარჯვნივ არის წყარო („ცრემლის წყარო“), რომელიც იხსენიება წმიდა შიოს ცხოვრე-

ბაში. წყაროდან სამასიოდე მეტრის დაშორებით, კონცხზე, დგას პატარა სამლოცველო, რომელიც დაშენებულია წმიდა შიოს პირველი საცხოვრებელი გამოქვაბულის ნაშთზე. შენობა თითქმის მთლიანად ხელახლა არის აგებული XIX საუკუნეში. მონასტრიდან ერთი კილომეტრის დაშორებით სამხრეთ-აღ-მოსავლეთით, მთის წვერზე დგას XII საუკუნეში აშენებული ჯვრის ამაღლების ეკლესია. შენობა აგურისა და დარბაზული ტიპისაა. XVII საუკუნეში ეკლესიაზე მიშენდა ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული კარიბჭის ფუნქციებს ასრულებს.

ეკლესია რამდენჯერმე მოიხატა. დღეისათვის არსებული მხატვრობა XII საუკუნეს განეკუთვნება. იგი უძველესია შიომ-ლვიმის მონასტერში შემორჩენილ მოხატულობათა შორის. (გუნია 2002:).

შიო მღვიმელის ფსევდონიმს ატარებდა ქართველი მწერა-ლი გიორგი ქუჩუკაშვილი (1866-1933).



ნე. შიო მლვიმელი



შიომლვიმის მონასტრის
ნე. ითანე ნათლისმცემლის
ეკლესია



ნე. აბიბოს ნეკრესელი

ნეკრესის მამათა მონასტერი



ნმ. მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი (ხსენება 7 (20) მაისს) – ასურელ წმ. მამათაგან აბიბოსი ერთადერთი წამებულია.

ქართლი სპარსელებს დაეპყრო, რომლებიც ცეცხლის თაყვანისცემის რიტუალს აღასრულებდნენ, ამის გამო „ადგილი მრავალი განპმზადეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვს“, მრავალ ქართველს აცდენდნენ და თავიანთ რწმენას უქადაგებდნენ. ნეტარი აბიბოსი, ნეკრესის ეპისკოპოსი, „აღიძრა შურითა საღმრთოეთა“, მივიდა, ცეცხლს წყალი დაასხა და დაშრიტა. ამის გამო, სპარსელებმა შეიპყრეს, სცემეს და საპყრობილები შეაგდეს, ცოტა ხანში მარზპანთან წარადგინეს. გზაში მას შემოხვდა „მოციქული იგი წმიდისა სკმეონ მესუეტისად სოფელსა, რომელსა ჰრქვან იალდო“, რომელმაც წიგნი, „ევლოგია“ და წმ. სვიმონის კვერთხი მიართვა. გზაში მტარვალებს სთხოვა ნეტარმა აბიბოსმა, ნება დაერთოთ, ღირსი შიო მოენახულებინა. წმ. ბერმა განამტკიცა წამების გზაზე შემდგარი, ერთად ილოცეს... ამის შემდეგ კი თბილისში მარზპანთან წარადგინეს, მასთან საუბარში წმ. აბიბოსმა განაქიქა სპარსელთა ცრუ რწმენა: ღმერთი კი არ მოვკალი, ცეცხლს წყალი დავასხი – უპასუხა მარზპანს – ეგ რომ ღმერთი იყოს, წყალი როგორ მოერეოდაო: „ან მიკვირს თქვენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვილ გიჩნს მისი სახელის-დებად ღმრთად“.

მარზპანის ბრძანებით, ქვებით ჩაქოლეს, წმინდანის გვამი ღია ცის ქვეშ დააგდეს მხეცთა საჯიჯგნად, მაგრამ არ შეხებია არც მხეცი და არც ფრინველი. ნეკრესის წამებული ეპისკოპოსი პატივით დაკრძალეს. ჯუანშერის ცნობით, იგი დაუკრძალავთ მცხეთის საეპისკოპოსო ტაძარში „სამარხავსა ეპისკოპოსთასა“. სხვა ვერსიის მიხედვით, დიდი პატივით დაუსაფლავებიათ სამთავისის მონასტერში, ხოლო ქართლის ერისთავის, სტეფანიოს (591-606) დროს წმიდა მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები მცხეთის სამთავროს მონასტერში გადმოუსვენებიათ და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაუკრძალავთ (წმინდანთა ცხოვრება, I, 2003:359).

* * *

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა ნაგებობისგან შედგება. ზოგი მათგანი IV-V საუკუნითაა დათარიღებული, ზოგიც VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ადრინდელი ეკლესიების რიცხვშია ნეკრესის მონასტრის მცირე ეკლესია. ეს უძველესი ტაძარი წარმოადგენს სრულებით თავისებურ შენობას როგორც ფორმით, ისე ზომით. ის ბაზილიკური ტიპისაა. მისი შუა ნავი დაახლოებით 2-ჯერ მაღალია, ვიდრე განაპირია ნაწილები და, ამასთანავე, მეტად ვიწროა. ერთი შეხედვით, გარედან იგი კოშკს მოგვაგონებს. ტაძარი გადახურულია გაუთლელი ქვის ფილებით. მისი შიდა ფართობი 12 კვ. მეტრია. შესასვლელები გვერდითა ნავებიდან აქვს.

„მოქცევად ქართლისაას“ ცნობით, ეს ეკლესია აშენებულია ბაკურის ძმის მირიანის შვილიშვილის თრდატ მეფისა, და საქართველოს მთავარეპისკოპოს იობის დროს, რომელიც წინათ დიაკვნად ყოფილა სომხეთის კათალიკოს ნერსე | პართელთან (353-373). მეორე მნიშვნელოვანი ნაგებობა – მთავარი ტაძარი დათარიღებულია VI ს.-ით, რომელიც წმიდა აბიბოს ნეკრესელმა ააშენა და აქვე საეპისკოპოსო კათედრაც დააარსა. ეს ტაძარიც ბაზილიკური ტიპისაა, აქვს მომცრო სარკმლები. სამხრეთ მინაშენში სასულიერო პირთა საფლავებია, ხოლო მის გვედრით, სამხრეთის მხარეს, აშენებულია ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე მარანია (იქ დღესაც უამრავი ქვევრია შემორჩენილი), ხოლო მეორე სართულზე – სენაკები. ამ შენობის წინ, დასავლეთის მხარეს, არის სამრეკლო, რომელიც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო.

ტაძრის მოხატულობა ძალიან დაზიანებულია, წარწერების დიდი ნაწილიც განადგურებულია.

ნეკრესის მესამე ტაძარი გუმბათიანი ეკლესიაა, რომელსაც VIII-IX საუკუნეს მიაკუთვნებენ. ტაძარი აგებულია მაღალი არქიტექტურული გემოვნებით და გამოირჩევა ფორმების თავისებურებით. ეკლესიის სამრეკლო, როგორც ჩანს, სათვალთ-

ვალო კოშკადაც გამოიყენებოდა. ის რამდენიმე სართულიანია და ირგვლივ სათოფურები აქვს ამოჭრილი.

ნეკრესის მონასტერი ოდითგანვე კულტურულ-სა-განმანათლებლო კერად ითვლებოდა. აქ მოღვაწეობდნენ ნიკოლოზ ნეკრესელი ეპისკოპოსი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (ნეკრესელი), მიტროპოლიტი იოანე ნეკრესელი – გივი ჯორ-ჯაძის ძე. ეს უკანასკნელი გარეჯაშიც ეწეოდა საგანმანათ-ლობლო მოღვაწეობას და ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლე-ბაზე. მისი თაოსნობით დაიწერა წიგნები: „ღვთისმეტყველის ცხოვრება“ (1846), დიალოგონი (1848), რომლებიც ლავრას შესწირა. ნეკრესის შემდეგ მას ცოტა ხნით ბოდბეშიც უმოღ-ვანია. ეპისკოპოსი დოსითეოზ ჩერქეზიშვილი ნეკრესის ეპარქ-იას XVIII ს.-ის II ნახევარში განაგებდა. დაბადებით კოჭლი იყო, შესანიშნავად თარგმნიდა სომხურიდან ქართულად, იყო ანტონ კათალიკოსის სკოლის წარმომადგენელი. 1758 წელს დოსით-ეოზ ნეკრესელმა აკურთხა თელავის საფილოსოფოსო სკოლა და თვითონაც პირველ მსმენელად ჩაირიცხა. შემდეგ კი თავის საკუთარ ეპარქიაშიც დააარსა პირველი დაწყებითი სკოლა სამწყსოსთვის, რამაც ძალიან გაახარა ერეკლე მეორე.

1794-1812 წლებში ნეკრესის სამიტროპოლიტო კათედრას ამბროსი მიქაელ (ნეკრესელი) განაგებდა, რომელიც ცნობილი იყო როგორც დიდი მქადაგებელი და თავდადებული მამულიშ-ვილი (ბეჭანიშვილი 1993: 12).

ნმ. ისე წილკნელი (ხსენება 2(15) დეკემბერს) – ცნობები ისე წილკნელის შესახებ შემონახულია „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების“ ადრეულ რედაქციებში, რომელთა საფუძველზე XVIII საუკუნის I ნახევარში შეიქმნა წმ. ისეს ვრცელი (ავტორი – ბე-სარიონ ორბელიშვილი) და მოკლე სვინაქსარული „ცხოვრება“. გარკვეული ცნობები მის შესახებ ძველი რედაქციებიდან გა-დასულია დავით გარეჯელის გვიანდელ სვინაქსარულ „ცხოვრებაშიც“. ხსენებულ წყაროთა მიხედვით ისეს ცხოვრება შემ-დეგნაირად წარმოგვიდგება: წარმოშობით იყო ასურეთიდან, დანარჩენი სირიელი მამების მსგავსად. უცნობია მისი დაბადების ადგილი და მშობლების ვინაობა. იგი სირიაშივე დაემონა-ფა წმ. იოანე ზედაზნელს, მასთან ერთად ჩამოვიდა ქართლში და ზედაზნის მთაზე დამკვიდრდა. გარკვეული დროის შემ-დეგ გარდაიცვალნენ წილკნისა და ნეკრესის ეპისკოპოსები. კათალიკოსმა ევლავიონსმა გადაწყვიტა, გათავისუფლებულ საეპისკოპოსო კათედრებზე ასურელი მამები დაედგინა. იგი მივიდა ზედაზნის მთაზე წმ. მამებთან. მეორე დღეს იოანემ უბრძანა ისეს უამისწირვის აღსრულება, რადგანაც მას მღვდ-ლობის პატივი ჰქონდა. ზიარების შემდეგ კათალიკოსმა ხელი მოჰკიდა და უთხრა – გიხაროდენ, ეპისკოპოსო წილკანისაო! ისემ თავი უღირსად ჩათვალა და ცრემლებით ითხოვა ამ პატივ-ისაგან გათავისუფლება, მაგრამ კათალიკოსი ხელს არ უშვებდა და აიძულებდა, დასთანხმებოდა. წმ. იოანე ზედაზნელიც არნ-მუნებდა, რომ დამორჩილებოდა უმაღლეს სასულიერო იერარქის. მართლაც, მიიღო კურთხევა კათალიკოსისგან, რომელმაც იგი წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში წარავლინა, რომელშიც ესვენა ღვთისმშობლის ხატი. (ერთ-ერთი წყაროს თანახმად, როდესაც იოანემ დააგზავნა თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხა-რეს სახარების საქადაგებლად, ისეც წავიდა ზედაზნის მთიდან და ამის შემდეგ დაადგინა ის კათალიკოსმა იმხანად გათავისუ-ფლებულ წილკნის საეპისკოპოსო კათედარზე). წილკანში დამ-კვიდრებული ისე დადიოდა ადგილიდან ადგილას და სახარებას ქადაგებდა, სნეულებს განკურნავდა და სხვა მრავალ სასწაულს აღასრულებდა. შემდეგ გაემართა ჩრდილოეთის მთებისაკენ

და იქაურ წარმართულ მოსახლეობას უქადაგა ღვთის სიტყვა, კერპები დალენა, მრავალი ადამიანი მონათლა, დაუდგინა მათ დიაკვნები და მღვდლები, მერე დაბრუნდა წილკანში, თავის საყდარში და იყო თავისი მრევლისათვის როგორც მწყემსი კეთილი. ამგვარი სათნო ცხოვრებით მიაღწია სიბერემდე. გარდაცვალების ჟამი სულინმიდისგან უწყა. მოუხმო ნეტარმა ისემ თავის მონაფებსა და მრევლს, დამოძღვრა ისინი, მიიღო წმიდა ზიარება და მიიცვალა. იგი იქვე, წილკნის საყდარში, დაკრძალეს. ერთერთი გვიანდელი წყაროს თანახმად, დაკრძალვას ესწრებოდნენ კათალიკოსი, სხვა მღვდელმოძღვრები და წმიდა მამები. ცნობილია წმ. ისეს მიერ აღსრულებული ერთი სასწაული: ერთხელ იოანე ზედაზნელმა მოისურვა თავის მონაფეთა მონახულება (ზოგიერთი წყაროს თანახმად მოისურვა გამოეცადა მონაფეთა სათნოება და კაცთათვის ეჩვენებინა ქრისტეს ძლიერება, რადგან ახალგაქრისტიანებულ ქართლში მრავალი ურწმუნო იყო). იგი მივიდა ღვთისმშობლის ტაძარში, წილკანში, სადაც ისე იმყოფებოდა, და შიოც იქ დაიბარა. ერთად შეკრებილი წმიდა მამები აღასრულებენ სასწაულებს – იონე ღვინით სავსე ჭიქას აჩერებს ჰაერში, შიო ხელის გულზე იყრის გავარვარებულ ნაკვერჩლებს და საკმეველს აკმევს, ხოლო შემდეგ იოანე ისეს სთხოვს კურთხევას. ისემ დიდხანს ილოცა მდუმარედ, ბოლოს იოანესთან და შიოსთან ერთად გაემართა მდინარე ქსნისაკენ. როდესაც მივიდნენ მდინარესთან, კვლავ ილოცა ისემ, ღმერთს სთხოვა შეწევნა, შემდეგ მდინარისკენ მიმართა თავისი კვერთხი და ქრისტეს სახელით უბრძანა წყალს კვერთხს გამოჰყოლოდა. მართლაც, გადმოვიდა მდინარე კალაპოტიდან და შეუდგა ისეს კვერთხს. წმ. მამები მოდიოდნენ და მდინარე მოჰყვებოდა მათ გორაკებსა და ველებზე. ასე მიიყვანეს მდინარე ღვთისმშობლის ტაძარის მახლობლად წილკანში (ხოფერია 2007:). წმ. მამა იქვე, წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

* * *


წილკანში ქრისტიანული ეკლესია ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში ააგეს. ქართული ისტორი-

ული წყაროებით მეფე „ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა“. ლეონტი მროველი წილკნის ეკლესის აგებას მირიანის ძეს, ბაქარ მეფეს, მიან-ერს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „არს ეკლესია წილკანს ღვთისმშობლისა, გუმბათიანი და შვენიერი. აღაშენა კე (25-ე) მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორივე არაგვისა და ბაზალეთისა“. მაღლე წილკნის ტაძარი საეპისკო-პოსო კათედრალად იქცა. 506 წლის საეკლესიო კრებას, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკო-პოსიც დაესწრო. V საუკუნის ბოლოს, თუ V-VI საუკუნეების მიჯნაზე წილკანში დიდი სამნავიანი ბაზილიკა ააგეს. VI საუ-კუნის II ნახევარში წილკნის ეპარქიას წმ. იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე და თანამოღვაწე, ისე წილკნელი, განაგებ-და, რომელიც ამავე ტაძარშია დასაფლავებული. მისი საფლა-ვის ქვა გუმბათქვეშა ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოძთან დგევს.

წილკნის ტაძარი და მისი სამწყსო საკმაოდ მდიდარი და ძლიერი იყო. ქართველ მღვდელმთავართა შორის წილკნელს მე-19 ადგილი ეჭირა. კათედრალს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი მეფეები და დიდგვარიანი ფეოდალები. წილკნის ტაძარი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მწიგნობრული კერა იყო. XIX საუკუნის დასაწყისში წილკნის საეპისკოპოსო გაუ-ქმდა.

წილკნის ტაძარს განუყრელად უკავშირდება მისი განსა-კუთრებული სიწმიდე – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სას-წაულმოქმედი ხატი, რომლის შექმნა ლუკა მახარებელს მიეწ-ერება. ხატი საქართველოში ჩამოაპრძანეს ბიზანტიიდან ქრის-ტიანობის გარიურაჟზე, მეფე მირიანის ძის – ბაქარის დროს.


სავარაუდოა, რომ ხატი თავიდანვე მეფე ბაქარის მიერ წილკანში აშენებულ ეკლესიაში დასვენდა, სადაც იგი უამ-რავ სასწაულებს ახდენდა და საიდანაც მიიღო ხატმა თავისი სახელწოდებაც (საქართველოს... 1990:).



ნე. ისე წილკნელი



წილკნის
ღვთისმშობლის
ეკლესია



წმ. ანტონ მატყოფელი



მატყოფის
მამათა მონასტერი

ნმ. ანტონმარტყოფელი(ხსენება 19(2 თებერვალს) იანვარს) — წმ. ანტონის შესახებ არავითარი ცნობები არ არის დაცული ასურელ მამათა „ცხოვრებათა“ ადრეულ რედაქციებში (იგი მხოლოდ მოიხსენიება წმ. იოანე ზედაზნელის მონაფეთა შორის). XIII ს.-ში კათალიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ (აბუსერ აბუსერისძის დავალებით) დაწერა საგალობელთა ციკლი მარტყოფის ხატის შესახებ, რომელიც ეძღვნება მარტყოფის ხელთუქმნელი ხატის ედესიდან ქართლში ჩამოტანასა და, რომლებშიც შესხმულია ანტონის ღვანლიც. XVIII ს.-ის I ნახევარში არსენ ბულმაისიმისძის საგალობლების საფუძველზე და, სავარაუდოდ, ზეპირი გადმოცემების გათვალისწინებითაც, შეიქმნა წმ. ანტონის „ცხოვრების“ ორი სვინაქსარული რედაქცია – მოკლე და ვრცელი. ვრცელი რედაქცია შეტანილია აგრეთვე ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში“.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს რედაქცია „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერაა შედგენილი (კ. კეკლიძე, ს. კაკაბაძე). საპირისპირო მოსაზრების თანახმად, ამ კომისიამ რომელიდაც ხელნაწერი კრებულიდან აიღო ანტონის ცხოვრების ტექსტი და ჩართო „ქართლის ცხოვრებაში“ (ე. გაბიძაშვილი).

როდესაც წმიდა იოანე ზედაზნელმა თავისი მონაფები გაგზავნა საქადაგებლად, მამა ანტონი კახეთში წავიდა. აქ მან მოვლო მრავალი ადგილი და უქადაგა ხალხს. ნეტარ ანტონს თან ჰქონდა გულზე დაკიდებული ერთი აგური, რომელზედაც გამოხატული იყო ხელთუქმნელი სახე იესო ქრისტესი. ამ ხატის ძალით ის მრავალ სასწაულს ახდენდა. შემდეგ წმიდა ანტონი დაბინავდა ლონიატის ხეობაში და იქ იწყო მოღვაწეობა. საზოგადოდ, მამა ანტონს ძლიერ უყვარდა მარტოდ ყოფნა, ამიტომაც მას „მარტომყოფელი“, ანუ, მოკლედ, „მარტყოფელი“ უწოდეს, იგი ბევრ ხალხს იზიდავდა თავისი წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით. როცა ასეთ მსურველთა რიცხვმა ძალიან იმატა, მათთვის მამა ანტონმა აღაშენა მონასტერი ალაზნის გალმა, თვითონ კი გაშორდა მათ, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი იქ, სადაც ახლა ახმეტა და იწყო მოღვაწეობა, მაგრამ

აქაც მალე მიაგნეს. ამიტომ მან ამ ადგილსაც მიანება თავი და აკრიანის მთა აირჩია საცხოვრებლად, რომელიც დაბურული იყო ტყით. აქ, მთის მწვერვალზე, თვითონ გამოქვაბა კლდე და დადგა მასში. დღე და ღამე მხურვალედ ლოცულობდა თავისი სასწაულმოქმედი ხატის ნინ. პირველად იგი საზრდოობდა მცენარეული საჭმელით, მაგრამ შემდეგ ლვთის განგებამ სხვა საზრდო განუჩინა: მასთან მოდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ.

ერთხელ ამ სოფლის მამასახლისი, რომელსაც ნორიო ერქვა, თავისი მხლებლებით ნადირობდა. ანტონის ირმებმა ამ დღეს თურმე ძლიერ დააგვიანეს და, ბოლოს, მოირბინეს. ძლიერ შეშინებული იყვნენ, ერთი დაჭრილიც იყო. მამა ანტონი გაკვირდა, არ იცოდა, თუ მახლობლად სოფელი იყო. ადგა, დაიკიდა გულზე თავისი ხატი და უკან გაჰყვა ირმებს, უნდოდა შეეტყო, რამ შეაშინა ისინი. წმიდა ანტონი ერთბაშად შეხვდა მამასახლისს. ამ უკანასკნელს ძლიერ გაუკვირდა, როცა დაინახა მოხუცებული ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა. დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც მამა ანტონმა არ იცოდა ქართული ენა, მამასახლის ვერას მიუხვდა. მას ანტონი საშიში კაცი ეგონა და ამიტომ ანიშნა, მარჯვენა ხელს მოგჭრიო.

და მართლაც, მამასახლისმა უბრძანა მხლებლებს, წაეყვანათ ანტონი სამჭედლოში და იქ მოეჭრათ მისთვის ხელი. მჭედელმა გაახურა რკინა, მაგრამ ერთბაშად გაუვარდა ხელი-დან და ხელიც გაუშეშდა. მჭედელი შეშინდა და ენა ჩაუვარდა, აღარ იცოდა, რა ექნა, მაგრამ წმიდა ანტონმა გადასახა ჯვარი და განკურნა. ამ სასწაულმა ყველა გააკვირვა. ყველაფერი იმ წამსვე მამასახლისს აცნობეს. მან მოიხმო წმიდა ანტონი და უთხრა: „მითხარი, რაც გსურს და აგისრულებ!“. მამა ანტონმა ანიშნა, მიეცათ მისთვის ქვის მარილის ნატეხი. მერე დაბრუნ-და თავის გამოქვაბულში. მალე მისი ირმებიც დაბრუნდნენ, რომელთაც მისცა მარილი. წმიდა ანტონის სახელი მოეფინა მახლობელ სოფლებს და მასთან იწყო სიარული აუარებელმა ხალხმა. აქ კიდევ უფრო ბევრი რამ ნახეს საკვირველი, ბევრი გაიტაცა მისი ცხოვრების წესმა, ზოგიერთებმა მიბაძვა მოინ-

დომეს და იწყეს მახლობლად ცხოვრება. როცა მათმა რიცხვმა ძლიერ იმატა, მამა ანტონმა საჭიროდ ჩათვალა მათთვის მონასტერი აეშენებინა ტყიანი მთის მოედანზე, სადაც ახლა მამა ანტონის მონასტერია. თვითონ ანტონმა ააშენა თავისთვის მთის მწვერვალზე ექვსი საუენი სვეტი, ანუ კოშკი, იქ დაეყუდა და მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. მხოლოდ ხანდახან ჩამოდიოდა მონასტერში ძმათა დასარიგებლად და ღვთის მსახურების აღსასრულებლად.

ბოლოს, როცა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მოუწოდა თავის მოწაფეებს, დარიგება მისცა მათ და აკურთხა. გარდაცვალების დროს მამა ანტონი დაჩოქილი იყო მაცხოვრის ხატის წინაშე და ლოცულობდა. მისი პატიოსანი გვამი ჩამოასვენეს სვეტიდან მონასტერში და დიდი მოწინებით დაკრძალეს ღვთისმშობლის ხატის წინაშე ტაძარში (ანტონ მარტყოფელი 2009:).

* * *

მარტყოფს ადრე (მეექვსე საუკუნემდე) აკრიანი, ანუ ქვიანი ადგილი, ერქვა. როგორც „ლმრთაების გუჯარში“ ვკითხულობთ, აქ, „აკრიანის მთებში“, მეფე ვახტანგ გორგასალს დაუარსებია მონასტერი და ეპისკოპოსიც განუწესებია. ანტონ მარტყოფელის სამონასტრო კომპლექსში, რომელიც მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ტყით დაფარულ მთებში, რამდენიმე ეკლესია: ღვთაების, ღვთისმშობლის, წმიდა გიორგისა და მამა ანტონისა.

საერთოდ, მარტყოფში ორმოცამდე ეკლესია-საყდარია შემორჩენილი, რომელთაგან ოთხში კარგა ხანია აღდგენილია ღვთისმსახურება. სოფელში სამი ეკლესია მოქმედებს: ღვთაებისა, მთავარანგელოზისა და წმიდა გიორგისა, ეს უკანასკნელი 1994 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა ივერიის ღვთისმშობლის დეათა მონასტრის ეზოში.

სახელი „აკრიანი“ მეექვსე საუკუნეში მადლიერ მოსახლეობას „მარტომყოფელით“ შეუცვლია. დროთა ვითარებაში

ეს სახელწოდება გამარტივებულა, მოგვანო საუკუნეების საისტორიო წყაროებში სოფელს „მარტომყოფი“ ეწოდება. XV საუკუნიდან კი უკვე დღევანდელი ფორმით გვხვდება.

მარტყოფი რუსთავის ეპარქიაში შედიოდა. 1265 წელს, როცა მონღოლთა ურდოებმა ძირიფესვიანად დაანგრიეს ქალაქი რუსთავი, საეპისკოპოსო კათედრა მარტყოფში, ლვთაების მონასტერში გადავიდა. როგორც საისტორიო წყაროები გვამცნობენ, 1395 წელს ამ მონასტრის კედლებთან ქართველები მედგრად შეებნენ თემურ ლენგის ურდოებს. გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპა ეპისკოპოსი გიორგი რუსთველი, რომელმაც ვერ მოასწრო თქმა, თუ სად გადამალა საეკლესიო განძი. ბერძონაზვნებმა განძი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ამ განძთან ერთად გაუჩინარდა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც 545 წელს მამა ანტონმა მხრით ჩამოიტანა ქალაქ ედესიდან.

ნმ. იოსებ ალავერდელი (ხსენება 15 (28) სექტემბერს) – წმ. იოსებ ალავერდელის შესახებ XVIII საუკუნემდე დამოუკიდებელი თხზულება არ დაწერილა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე არ შემონახულა). იგი ნახსენებია წმ. იოანე ზედაზნელისა და წმ. შიო მღვმელის „ცხოვრებათა“ ადრეულ რედაქციებში, როგორც იოანე ზედაზნელის მოწაფე, რომელმაც ააშენა წმ. გიორგის სახელობის ალავერდის ეკლესია. აღნიშნულ მნირ ცნობებზე დაყრდნობით XVIII ს.-ის | ნახევარში დაიწერა წმ. იოსების სვინაქსარული ცხოვრება, რომლის ავტორია ერეკლე I-ის ასული, მაკრინე მონაზონი (სამეცნირო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვინაქსარული რედაქციის ავტორი ხსენებულ ადრეულ „ცხოვრებებში“ შემონახულ ცნობათა გარდა არანაირ სხვა ინფორმაციას არ ფლობდა). ხსენებულ წყაროთა მიხედვით იოსებ ალავერდელის ცხოვრება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: იოსები იყო შუამდინარეთიდან, წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფე, რომელთან ერთად მოვიდა საქართველოში. როდესაც იოანემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს დაგზავნა სახარების საქადაგებლად, იოსები წავიდა კახეთში და დაემკვიდრა ერთ უკაცურ და უნაყოფო ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა ალავერდი. მას სიყრმიდან ჰქონდა მაცხოვრის ჯვარცმის წმინდა ძელის ნაწილი, რომელიც ალავერდშიც თან მოიტანა. იოსები ღვთის მსახურებაში, ლოცვასა და მარხვაში ატარებდა დღეებს. იმ დღიდან, როდესაც იგი ალავერდში დაემკვიდრა, ყოველ დამე ამოდიოდა კაშკაშა ვარსკვლავი და მის სამყოფელს დანათოდა. ერთ დღეს ვიღაც დიდებული მრავალ თანმხლებთან ერთად ნადირობდა იმ ადგილებში, რომელიც შემთხვევით გადააწყდა იოსებს. წმინდა მამის დანახვისას დიდებული გადმოხტა ცხენიდან, მივიდა მასთან, გამოჰკითხა ვინაობა, სადაურობა და აქ ყოფნის მიზეზი. იოსებმა უამბო მას ყოველივე და უქადაგა სახარება. როდესაც შეიტყო მისი სიწმინდისა და მოღვაწეობის შესახებ, დიდებულმა აღუთქვა ტაძრის აშენება. (სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეპიზოდი დიდებულთან შეხვედრის შესახებ, რომელიც გვიანდელ სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ დასტურდება, რომელილაც ზეპირი თქმულებიდან

უნდა იყოს აღებული, რაზეც თავად სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორიც მიუთითებს. დიდებულმა აღასრულა დანაპირები და ააშენა მონასტერი, რომლის წინამძღვრადაც იოსები დაიდგინა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვის ქვეშ არის დაყენებული იოსების მიერ აღავერდის მონასტრის დაარსება, რადგანაც ამ ცნობას არ შეიცავს არც ასურელი მამების „ცხოვრებათა“ ძველი რედაქციები, რომლებშიც ნახსენებია იოსებ აღავერდელის მოღვაწეობა და არც XVIII საუკუნემდელი სხვა ქართული წყაროები. ზემოთქმულის გათვალისწინებით, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღავერდმი მხოლოდ ეკლესია აიგო (მ. ქავთარია). „ცხოვრების“ მიხედვით იოსები გარდაცვალებამდე აღავერდმი დარჩა, ქადაგებდა სახარებას, მრავალი მოაქცია, ურწმუნოება განდევნა იმ ადგილებიდან და ღვთისმსახურება ააღორძინა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ იმავე აღავერდის ეკლესიაში დაიკრძალა. წმ. იოსების სინმიდისა და მის წმინდა ნაწილებთან სიახლოვის სურვილის გამო აღავერდის ტაძარი მეფეთა საძვალედ იქცა (ხოფერია 2007:)

დროთა განმავლობაში აქ მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ჩამოყალიბდა.

* * *

აღავერდის ახალი საკათედრო ტაძარი იოსებ აღავერდელის პატარა ეკლესის ადგილას კვირიკე კახთა მეფეს XI საუკუნის დასაწყისში აუგია. აღავერდი იმთავითვე კახეთის მთავარ სალოცავად იქცა. ამავე პერიოდში აქ შეიქმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქია საქართველოში. მასში შედიოდა ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მერე, კაკაბეთი, ვარდისუბანი, არბუხი, ლანუხი, ჩიბინიანი, აღავერდული, ახატელი, იყალთო, აწყვერი, თიანეთი, კისისხევი, უტო, კონდოლი, წინანდალი, ველისციხე. კახეთის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა აღავერდის საეპისკოპოსო სრულიად საქართველოს ერთიან ეკლესიას დაუქვემდებარა. აღავერდის საყმო მამულთა უმრავლესობა ტაძრის ირგვლივ მდებარეობდა,

ნაწილი კი სხვადასხვა სოფელში იყო მიმოფანტული. ალავერ-დელი ეპისკოპოსები მონასტრის წინამძღვრადაც ითვლებოდნენ და ამიტომ ამბას წოდებასაც ატარებდნენ. XVI საუკუნიდან ალავერდელმა ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტის ტიტული მიიღეს.

ალავერდის ტაძარი მრავალჯერ დაზიანდა მომხდურთაგან. მისი პირველი დიდი რესტავრაცია ალექსანდრე კახთა მეფის დროს, XV საუკუნეში, მომხდარა. ამ პერიოდში თავიდან აუშენებიათ ჩამოქცეული გუმბათის ყელი და კედლების ნაწილები. თავდაპირველად ტაძარი უფრო დაბალი ყოფილა, აღმდგენელ ხუროთმოძღვარს კი მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მაღალი გუმბათი დაუშენებია, რის გამოც ალავერდის ტაძარი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნაგებობა გახდა საქართველოში (მისი სიმაღლე 50 მეტრია). მეფე ალექსანდრეს ტაძრისათვის უხვად შეუწირავს ყმები და მამულები.

1616 წელს ალავერდი დაარბია შაჰ-აბას I-მა. შაჰ-აბას II-ის მიერ ჩამოსახლებულმა თურქმანთა მომთაბარე ტომებმა კი მისი მამულები საძოვრებად გადააქციეს. 1659 წლის აჯანყების შემდეგ კახეთი თურქმანებისგან გათავისუფლდა, მაგრამ ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ საეპისკოპოსო მხოლოდ საუკუნის ბოლოს აღდგა. ამის შემდეგ ტაძარი ჯერ ლეკებმა დაარბიეს, ხოლო 1735 წელს თამაზ-ხანმა ააოხრა. 1742 წელს „მოხედა რისხუამან და შეიძრა ქუეყანა და დაირღვა და შეიმუსრა ალავერდის ეკლესია“. მიწისძვრით დაზიანებული ტაძრის აღდგენა თეიმურაზ II-ის მეუღლეს, დედოფვალ თამარს, დაუწყია და მათს შვილს, ერეკლე II-ს დაუმთავრებია. ამავე დროს, მომხდურთაგან დასაცავად ალავერდის ტაძარს ქვის გალავანი შემოარტყეს.


ალავერდის კომპლექსი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისაგან შედგება. აქ იყო ეპისკოპოსის სასახლე, სატრაპეზო, სამრეკლო, მარანი, აბანო და სხვ. აქვეა 1615 წელს აშენებული ფეიქარ-ხანის აგურის სასახლე. ხანძრებმა და მიწისძვრებმა დააზიანა ალავერდის ძველთაძველი მოხატულობა. ამ მიზეზით XIX საუკუნეში ეგზარქოსმა ევგენიმ კირით შეათეთრებინა

ტაძრის გადარჩენილი ფრესკების დიდი ნაწილი. თავდაპირველად ტაძარი სამიარუსიანი ყოფილა, სამი მხრიდან მას თაღებიანი ლია გალერეა ერტყა და სამი შესასვლელი ჰქონდა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში გალერეა დაუნგრევიათ, ხოლო ჩრდილოეთის კარიბჭე ამოუშენებიათ.

ალავერდის ტაძარი XI საუკუნიდან კახეთის მეფეთა საძვალეა. იმდენად მყარი გახდა ეს ტრადიცია, რომ, როცა ალექსანდრე II-ის შვილმა, კონსტანტინემ, შაჰ-აბასის ბრძანებით საკუთარი მამა და ძმა დახოცა, მათი თავმოკვეთილი ცხედრები ალავერდის ტაძარში დააკრძალვინა. აჯანყების დროს მოკლული კონსტანტინეც, ქეთევან დედოფლის ბრძანებით, ალავერდის ტაძარში დაკრძალეს, ავგუსტინელი ბერების მიერ ჩამოტანილი წამებით მოკლული ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები კი თეიმურაზ I-ის ბრძანებით ალავერდის ტაძრის საკურთხევლის ქვეშ დაუსვენებიათ.

თავდაპირველად ალავერდი მამათა მონასტერი იყო, XVIII საუკუნეში კი აქ დედათა მონასტერი დაარსდა, რომელშიც მონაზვნად აღკვეცილი სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. ალავერდი საგანმანათლებლო და სამწიგნობრო საქმიანობის მძღვრი კერაც იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მწერლები და კალიგრაფები, მათ შორის ფილიპე ალავერდელი, ზებედე მთავარების კოპოსი, ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, კირიონ II და სხვ.

ალავერდის ტაძრის დღესასწაული, ალავერდობა, 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას იწყება. ეს უძველესი ტრადიცია მოსავლის აღება-დაბინავებასთანაა დაკავშირებული და ტაძრის დამაარსებლის, იოსებ ალავერდელის, სახელზე იმართება. ალავერდობაზე ღამისთევით მოდიან მლოცველები გარეკახეთიდან, ქიზიყიდან, ერწო-თაიანეთიდან, ფშავ-ხევსუ-რეთიდან, თუშეთიდან, ქისტეთიდან, დაღესტნიდან. ძველად დღესასწაული სამი კვირა გრძელდებოდა (ბიბიჩაძე 2005:).



ნე. ოცებ ალავერდელი

ალავერდის მამათა მონასტერი





სამთავისის ეკლესია

ნმ. ისიდორე სამთავრელი (ხსენება 7 (20) მაისს) – მოძღვრის კურთხევით დიდხანს ქადაგებდა ქართლში, შემდეგ რეხულას აღმოსავლეთით დააარსა სამთავისის მონასტერი, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობისა.

ლირსი მამა მოწაფეებმა მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს.

* * *

სამთავისი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი – ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დგას სოფელ სამთავისში, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე. ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა და გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედში ჩანერილ ჯვარს წარმოადგენს (25X18 მ, სიმაღლე 37 მ), მას ორი შესასვლელი აქვს. შინაგანი სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. ჩრდილოეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ოთხნახნაგოვანი პილონი დანარჩენ სამ რვანახნაგოვან პილონთან შედარებით არაპროპორციული, მოღრუცილი და ბევრად მსხვილია. გუმბათქვეშა ბურჯი ნახევარწრიული თაღებითა შეკრული. გუმბათის საკმაოდ მაღალი ყელი 13 წახნაგისაგან შედგება. ტაძრის აღმოსავლეთის მკლავი ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. გუმბათში შვიდი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდითა დასრულებული სამკვეთლო და სადიაკვნე. ისინი დასავლეთით გასასვლელებით უკავშირდებიან ტაძრის შიდა სივრცეს. სამკვეთლოსა და სადიაკვნეს მცირე ზომის ორ-ორი სარკმელი აქვთ. ამ სათავსების თავზე თითო იმავე ზომის პატრონიკეა. მცირე ეკლესია დაგას დიდი ტაძრის სამხრეთით, გალავნის შუა წელზე. მისი სამხრეთი კედელი გაღლავანს ეკვრის. ეკლესია დარბაზულია (5,8X3,2 მ), ნაგებია რიყისა და თლილი ქვით. კედლის წყობაში საშენ მასალად გამოყენებულია ჩუქურთმის ოთხი ფრაგმენტი. ნახევარწრიული აფსიდის ღრეულზე სარკმელია. მცირე ზომის სარკმლებია სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში. სამხრეთ სარკმელს გალავნის კედელი ფარავს (სამთავისი 2009:).

ნმ. თადეოზ სტეფანწმიდელი (ხსენება 7(20) მაისს) – თავ-დაპირველად მცხეთაში მოღვაწეობდა. მან ზედაზნის ძირას ააშენა მონასტერი. ქადაგებდა ქართლში, სადაც მრავალი ეკლესია აუშენებია, მათ შორის წმ. პირველმოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი ურბნისში, შემდეგ დაყუდებულა კასპთან, ნლევის მთის მღვიმეში. აღსრულა და დაკრძალულია იქვე.

თადეოზ (თათა) სტეფანწმინდელის შესახებ, საერთოდ, მწირი ცნობები მოგვეპოვება. საიდან შეიძლებოდა დარქმეოდა „სტეფანწმინდელი“? – ერთი ცნობის მიხედვით, ურბნისში მას პირველმოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი აუშენებია და სახელწოდებაც, ალბათ, აქედან მიიღო, მაგრამ „სტეფანწმინდელი“ მაინც ასოცირდება სტეფანწმინდასთან, გეოგრაფიულ ადგილთან და რაღაცნაირად მოითხოვს მეტ არგუმენტს ამ კავშირების გამოსავლენად. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, მყინვარის ძირში არსებობდა პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აგებული მონასტერი, თ. სანიკიძე ამ ცნობას სანდოდ არ მიიჩნევდა, მაგრამ თსუ 1980-1982 წლების არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ. პ. მარგველაშვილი, არქეოლოგი პ. მჭედლიშვილი) დაადასტურა ვახუშტის, თეიმურაზ ბაგრატიონისა და ილია ჭავჭავაძის ცნობა იქ სამონასტრო კომპლექსის არსებობის შესახებ. აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიმუშები X-XI სს.-ით თარიღდება. ეს კომპლექსი, ბეთლემის გამოქვაბულთან ერთად, უდაბნო უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ვახუშტი აღწერს. მეუდაბნოების ხანა და სტეფანე პირველწამებულის სახელზე ტაძრების მშენებლობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანას უკავშირდება, ამიტომ ბეთლემი-სტეფანწმინდის უდაბნოს დაარსების თარიღი უპრიანია სირიელი მამების შემოსვლისა და მოღვაწეობის ხანას დავუკავშიროთ (მარგველაშვილი 1981: 36). სავარაუდოა, ათ-ცამეტ ასურელ მამათაგანს, თადეოზს, სწორედ სტეფანწმიდის უძველესი ეკლესიის საფუძველზე დაეარსებინა მონასტერი და სახელწოდება „სტეფანწმინდელიც“ აქედან მიეღო.



სტეფანემინდის მონასტერი (3750 მ.) მყინვარწვერის ფერდობზე



სტეფანემინდის მონასტრის ჩრდილოეთის კედელი



ღმ. სტეფანე ხირსელი

ხირსის მამათა მონასტერი



ნმ. სტეფანე ხირსელი (ხსენება 7(20) მაისს) – ქადაგებდა კახეთში, დაკრძალულია წმ. სტეფანე პირველმონამის სახელობის ტაძარში, სამკვეთლოსთან. ხირსის მონასტერი მდებარეობს სილნალის რაიონის სოფელ ტიბაანში, სილნალიდან აღმოსავლეთით 11 კმ.-ის დაშორებით. მონასტერი VI საუკუნეში დააარსა ლირსმა სტეფანემ (552-557 წწ.), რომლის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებენ. ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ხირსის მონასტერზე წერს: „კვალად ხორნაბუჯის ჩრდილოთ არის ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმან წმიდა სტეფანემ, დიდ კეთილ-შენი. დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამდლვარი“.

ლირსმა სტეფანემ თავისი მრავალჭირნახული ღვაწლი-სათვის შეარჩია ცივგომბორის ქედზე მცირე ფერდი, რომელიც იმ დროს დაფარული იყო უსიერი ტყით. აქ მან აღაშენა თავისი ზეციური მფარველის, წმ. პირველმონამე სტეფანეს, სახელზე მცირე ეკლესია, რომელიც, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, კახეთის მეფე კვირიკე I-ის (893-918 წწ.) შრომით შეცვლილა საკმაოდ მოზრდილი ტაძრით.

სახელ „ხირსის“ წარმომავლობა უცნობია. ზოგს ის გამოჰყავს ქართული სიტყვიდან „ლირსი“, ზოგნი კი მას უკავ-შირებენ მონასტრის ახლოს გამომავალ მდინარე ხირსას, რომელიც იმ დროს, როდესაც გარშემო მთები დაფარული იყო ხშირი ტყით, საქმაოდ წყალუხვი ყოფილა. თუმცა ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მდინარეს შეეძლო მიეღო სახელი მონასტრისგან. არსებობს ვარაუდიც, რომ სახელი „ხირსა“ შესაძლოა თვით ლირს სტეფანეს შემოეტანა მცირე აზიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი განმარტოებული მოსაგრეობის ადგილისათვის.

* * *

ხირსის მონასტერი აგებულია ქართული სტილით. ტაძრის სიგრძე მაღალდასაჯდომლიდან დასავლეთის კარიბჭემდე დაახლოებით 41,3 მეტრია, სიგანე – 23,4 მეტრი, ხოლო სი-

მაღლე ლავგარდანამდე – 15,4 მეტრი. ტაძარი გვირგვინდება მაღალი კონუსის მსგავსი გუმბათით. შემოსასვლელი კარი ორი აქვს – დასავლეთიდან და სამხრეთიდან, რომელიც ჯერ წმ. ნიკოლოზის ეკვდერისკენ მიემართება, ხოლო იქიდან – მთავარ ტაძარში. მთავარი საკურთხევლის მარჯვნივ, სამხრეთით არის კამარიანი ეკვდერი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე, მარცხნივ კი, ჩრდილოეთით მეორე ეკვდერია, რომლის შესასვლელშიც არის სამარხი ღირსი სტეფანე ხირსელისა. აღნიშნულის გარდა, ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ეკვდერიც, რომელსაც გარედან, მღვდელმონაზონ ფილადალფონს კიკნაძის მიერ მიდგმული აქვს პატარა ოთახი ღამისმთეველთათვის.

1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ხირსის სტეფანწმინდა ქართლ-კახეთის ერთერთი მონასტერი იყო, რომელშიც აღესრულებოდა ღვთისმსახურება.

XIX ს.-ის დასაწყისისთვის წმ. სტეფანეს ტაძარი ნგრევის პირას იყო მისული. იგი კაპიტალურად გარემონტდა 1822 წელს, ეგზარქოს იოანეს (1821-1832) დროს. ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდა ფილადელფონს კიკნაძე (1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე).

მონასტრის დასავლეთით აღმართულია საკმაოდ მაღალი გალავანი, რომელიც, პლ. იოსელიანის მოწმობით, კახეთის მეფე ლეონს შეუკეთებია. ხირსის მონასტრის დასავლეთით მდებარეობს სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც იღუმენ აღექსანდრეს (საყვარელიძე) აუგია საკუთარი სახსრებით XIX ს.-ში. მონასტრის ტაძარს ადრე თავისი გალავანი ჰქონია, რომლისგანაც ამჟამად მცირე ნაშთებია დარჩენილი. მონასტრის ეზოში მდებარეობს საეკლესიო-სამრეკლო სკოლის შენობა და მარანი, რომელიც არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე 1893-1897 წნ.) დროსაა აგებული. აქვეა ბერების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ხირსის მონასტერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიონერული ცენტრი იყო. მისი მესვეურნი დაუღალავად იღვნოდნენ

ქრისტიანობის გასავრცელებლად დაღესტანში, ოსეთში, ინგუ-შეთში, ასტრახანში, დერბენტში და სხვ. ამ მონასტრის წინამდ-ლვართაგან სამისიონერო სარბიელზე განსაკუთრებით იღვანა წმ. ოანე მანგლელმა (სააკაძე, 1751), რომლის წმინდა ნანილე-ბი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში განისვენებს.

ხირსის მონასტერში XX ს.-ის დასაწყისამდე შემორჩენილი იყო ერთი ძველი ქართული ჩვეულება – აღთქმის მიხედვით, ირგვლივ მოსახლე მამაკაცები მონასტერს თავიანთ ფიზიკურ შრომას სწირავდნენ, ე.ი. მოდიოდნენ მონასტერში და მუშაო-ბდნენ უსასყიდლოდ რამდენიმე თვე, საკუთარი აღთქმის პი-რობაზე. მონასტერი კი ამ უფასო მუშებს მხოლოდ საკვებსა და ქალამნებს აძლევდა. მონასტრისათვის შრომის უსასყიდ-ლოდ შემწირველ მუშას „კურატი“ ეწოდებოდა. როდესაც კუ-რატი დროს გაასრულებდა, პარაკლისის გადახდას სთხოვდა მღვდელმონაზონსა და შინ პრუნდებოდა.

მონასტრის საუკეთესო სამკაულს წამოადგენდა მისი უძვე-ლესი სიწმინდე – წმ. პირველმონამე სტეფანეს ნეკი, რომელ-იც, სავარაუდოდ, თვით ღირს სტეფანეს ჩამოუბრძანებია. დღეისათვის წმ. სტეფანეს ნეკი ბოდბის დედათა მონასტერშია დაბრძანებული.

მონასტერში ღვთისმსახურება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეწყდა. ტაძარი საწყობად იყო გამოყე-ნებული. ბერების საცხოვრებელ ორსართულიან სახლში კი მუსიკალური სკოლა ფუნქციონირებდა. მონასტერი განახლ-და XX ს.-ის 90-იან წლებში. 2004 წლისათვის წმ. სტეფანე პირველმონამის ტაძარს კიდევ ორი მოქმედი ეკვდერი შეემა-ტა – ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. სტეფანე ხირსელისა. გარდა ამისა, ტაძარი გაიწმინდა, გამაგრდა საკურთხევლის კედელი (რომელიც დანგრევის პირას იყო მისული), ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები (ხირსის 2003:).

ნმ. ზენონ იყალთოელი (ხსენება 7(20) მაისს) – ქადაგებდა კახეთის მთიანეთში, შემდეგ იყალთოში დაუარსებია მონასტრი.

დაკრძალულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძარში.

* * *

იყალთო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი თელავის ჩრდილოეთით, 7-8 კმ-ზე, დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ, ზენონმა, VI საუკუნეში. იყალთო ქართული კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს (XI-XII საუკუნეები) აქ აკადემია დაუარსებია. ჩვენამდე მოღწეულია აქაური ხელნაწერები, რომლებიც შედარებით გვიანდელი ხანისა და იყალთოს აკადემიის შესახებ ცნობებს არ შეიცავს.

კომპლექსიდან შემოჩერნილია 3 ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობის, მათ შორის აკადემიისა და სატრაპეზოს, ნანგრევები. ეკლესიათაგან მთავარია VIII-IX საუკუნეების ფერისცვალების ეკლესია „ღვთაება“ (აგებულია იმ ძევლი აკლესიის ადგილას, რომელშიც დაკრძალული იყო ზენონი); სამების მცირე ეკლესია, რომელშიც, მიუხედავად საფუძვლიანი გადაკეთებისა, შემოჩერნილია VI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესიის ნაწილები და ყველაწმიდის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება. აკადემიის გეგმით ნაგრძელებული შენობა რიყის ქვით არის ნაშენი. პირველი სართული 2 ოთახისაგან შედგება, მეორე კი ერთი მთლიანი დარბაზია (24,5 მ X 9 მ) და, როგორც ჩანს, იმთავითვე სამეცნიერო შეკრებათათვის იყო განკუთვნილი. შენობა სტილით VIII-IX საუკუნეების ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც მაშინ უნდა იყოს (იყალთო 1999).



იყალთოს მონასტერი

ნე. პიროს ბრეთელის
საფლავი



ბრეთის
ეკლესია



ულუმბოს
მამათა
მონასტერი

ნმ. პიროს ბრეთელი (ხსენება 7(20) მაისს) – მდინარე ჯვარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბრეთში, დაუარსებია სავანე. მისი წმიდა ნაწილებიც ამ მონასტერშია დაკრძალული. დღეს არსებული ბრეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება, თუმცა იგი ერთბაშად არ აუგიათ. მისი ჩრდილოეთ მინაშენი თავდაპირველად დამოუკიდებელ მამა პიროსის ეკლესიას (ეკვდერს) ნარმოადგენდა. სწორედ მინაშენი უნდა ყოფილიყო პიროსის დროინდელი. ეს მცირე ზომის ერთნავიანი ნაგებობა ადრევე დანგრეულა, მაგრამ მისი ნაშთები მაიც შეუნარჩუნებიათ, შეუკეთებიათ და ორგანულად დაუკავშირებიათ მოგვიანო ნაგებობასთან.

ეკლესის აღმოსავლეთ ფასადზე ძირითადი ნავისა და ჩრდილო მინაშენის კედლების წყობა გადაუბმელია. მინაშენზე ფრონტონის კვალიც განირჩევა. ფრონტონი კი მხოლოდ დამოუკიდებელ ნაგებობას შეიძლებოდა ჰქონოდა. გვიან ეკვდერის კუთხეები აუმაღლებიათ, შენობა ერთქანობა სახურავით გადაუხურავთ და ასე დაუკავშირებიათ ძირითადი ნავისათვის.

ეკვდერის სხვა ფასადები რამდენჯერმეა განახლებული. ამიტომ მათზე ძველი ნაწილები მხოლოდ მცირედი ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი.

საგრძნობლად გადაკეთებულია ნაგებობის ინტერიერიც. კამარა ჩამონგრეული ყოფილა და აღუდგენიათ. არც აფსიდის კონქი უნდა იყოს თავდაპირველი. არსებითი ცვლილებები არ განუცდია მხოლოდ ეკვდერის კედლების ქვედა ნაწილებს და, რაც მთავარია, აფსიდს. იგი ძლიერ ღრმაა და ნალისებური მოხაზულობა აქვს.

ეკვდერს (მამა პიროსის ეკლესია) მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა სამხრეთის მხარეს. იგი დღესაც არსებობს და მთავარ ნავში გასასვლელს ნარმოადგენს. საკურთხეველში ვიწრო სარკმელია გაჭრილი. მას გარედანაც და შიგნიდანაც სწორკუთხა მოყვანილობა აქვს. ამგვარივე სარკმელი ყოფილა დასავლეთითაც, მაგრამ იგი ამოქოლილია.

ყურადრებას იქცევს ძირითადი ნავისა და ეკვდერის საერთო კედელი. მისი სიგანე 125 სმ-ია, მაშინ, როცა სხვაგან

კედლების სისქე 75–80 სმ–ს არ აღემატება. ესეც ორი ნაგებობის შერწყმის შედეგია.

ნაგებობის სამხრეთისა და დასავლეთის მინაშენები უწყვეტად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და, ფაქტობრივად, გარშემოსავლელს წარმოადგენს. ორივე კირხსნარით ბეტონირებული ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. კედლები აქაც შელესილი ყოფილა, მაგრამ ნალესობა მთლიანად ჩამოცვენილია. სამხრეთ მინაშენს აქვს ნახევარწრიული (დეფორმირებული) აფსიდი, რომლის კონქს კონსოლებზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღი შემოუყვება. აქვე, სამხრეთ კედლის ცენტრში, ძირითადი ნავის კარის საპირისპიროდ, გაჭრილია ერთადერთი შესასვლელი ეკლესიაში.

გარეთ ეკლესიის ირგვლივ ნიადაგი თავდაპირველ დონესთან შედარებით დაახლოებით ერთი მეტრით ამაღლებულია და ნაგებობაში კიბით ჩავდივართ (საფეხურებად წარწერიანი საფლავის ქვების გამოყენებული).

ეკლესიის ფასადებზე გარკვევით ჩანს, რომ იგი ბევრჯერ შეუკეთებიათ, მაგრამ ძეგლის ძირითადი სტრუქტურა შეუცვლელია. თავდაპირველია ნაგებობის გეგმა, მასები, ცალკეული ფორმები. დამატებულია მხოლოს სამრეკლო, რომელიც გარშემოსავლელის სამხრეთ დასავლეთ კუთხეზეა აღმართული. თავდაპირველია აგრეთვე ფასადების საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთები (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ფასადზე). ისინი ნაგებია ფლეთილი, პირმოსწორებული ქვებით. კედლების ქვედა ნაწილებში დიდი ზომის ლოდებია დატანებული.

გვიან შუა საუკუნეებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ამ დროისაა ნაგებობის ზედა ნაწილები, რომლებიც რიყის ქვითა და აგურით არის ამოყვანილი. ძლიერ დაზიანებული ყოფილა მინაშენები. მათი ზოგიერთი მონაკვეთი თითქმის მთლიანად ხელახლა აუგიათ. ამ დროისაა აგრეთვე სამრეკლოც. იგი აგურით ნაგებ ექვსთაღიან მცირე ზომის ფანჩატურს წარმოადგენს. საფუძველი მრგვალი აქვს და მახვილკუთხა პირამიდული სახურავით გვირგვინდება. ფანჩატურის ყველა წახნაგს თითო ლილვი დაუყვება, რომლებიც ლიადებს

ზემოთ შეისრულ თაღებს ქმნის.

ეკლესია კიდევ ერთხელ შეუკეთებიათ XIX საუკუნეშიც. შეუვსიათ ნაკლული ადგილები და გარედან მთლიანად გაულესიათ (ნალესობა მთავარი ნავის კედლებზე აქა-იქ არის შემორჩენილი). ფანჯრებისა და კარის საპირეებად თლილი ქვები ჩაუსვამთ. XIX საუკუნისაა ძირითადი ნავის კარნიზიც.

ნაგებობა ბოლოს XX საუკუნის შუა წლებში შეუკეთებიათ. ძეგლს შეძლებისდაგვარად დაბრუნებული აქვს თავდაპირველი სახე (საქართველოს... 1990:)

ნმ. მიქაელ ულუმბოელი (ხსენება 7(20) მაისს) – ქადაგებდა ზემო ქართლსა და ოსეთში. იქვე განისვენებს მისი სასწაულთმოქმედი წმიდა ნაწილები (ნმინდანთა ცხოვრება I 2003: 357-362).

* * *

მატიანეში არაფერია თქმული ულუმბოს მონასტრის დაარსების შესახებ, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც სარგებლობდა უცნობი წყაროებით, ულუმბოს მონასტრის დამაარსებლად მიქაელ ულუმბოელი, ცამეტი ასურელ მამათაგანი ჰყავს მოხსენიებული. „ჭერათხევის... სერს ზეით არს მონასტრი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქელი იგი (13) მამათგანის ქმნული, და დაფულულ არს მიქელ. მუნვე ზის ნინამძღვარი“.

ულუმბოს მონასტრის დამაარსებლად მიხეილ საბიბინსაც მიქაელ ულუმბოელი მიაჩნია: „ნმ. მამა მიხაილ... აღაშენა მონასტერი თვისი მოახლო ულუმბისა ალისწყალსა ზედა, რომელსაცა შინა დაიდვა მრავლამოღვაწე გუამი მისი“.

ავთენტური ცნობები ულუმბოს შესახებ მოცემულია ამირე-ჯიბთა სიგელში, რომელიც იძლევა ძეგლის ისტორიული ცხ-

ოვრების სურათს XIII-XV საუკუნეებში. სიგელის მეოთხე პუნქტში XIII საუკუნის ამბავია მოთხრობილი, სახელდობრ, ქართველთა ერთ-ერთი გამარჯვება ჯალალ-ედ-დინთან. ბრძოლის დროს ამირეჯიბს ხელთ უგდია მოწინააღმდეგის სეფე დროშა და იგი შეუწირავთ ულუმბოს ღვთისმშობლის ხატისათვის. მაშასადამე, XIII საუკუნეში ულუმბოს ეკლესია უკვე არსებობდა და და მისთვის საუკეთესო რელიკვიებსაც არ იშურებდნენ.

XIV საუკუნის მინურულში ულუმბო მჭიდროდაა დაკავშირებული სამეფო სახლთან. მას დიდ სასწაულმოქმედად თვლიადნენ მომდევნო საუკუნეებში. ულუმბოს ხატის ყოვლის-შემძლე ძალას ალექსანდრე I დიდის დაბადებას მიაწერდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილის დაბადებისთანავე (1390 წ.) მეფის სახლს შესაწირავი მიაქვს მონასტერში.

ალექსანდრე ბატონიშვილის ბავშვობაში ულუმბო საფუძვლიანად დაურბევია თემურ-ლენგის ლაშქარს. მონასტრის მეორედ აღმენების თარიღია 1400-1415 წლები, ეს დასტურდება ამირეჯიბთა გვარის სიგელიდან. 1871 წელს მღვდელთმ-სახურების განახლების მიზნით ულუმბოს მონასტერი თავიდან აღადგინეს (კიპაროიძე 1974: 5).

თავი III

ნე. ასურელ მამათა „ნამება“ – „ცხოვრებანი“

„ნეიდა იოანე ზედაზელის ცხოვრების“ შესავალი საგანგე-

ბოდ ეთმობა სიტყვა-ლოგოსზე მსჯელობას. ეს არის ერთგვარი თეორიული ტრაქტატი იმის დასადგენად, თუ რა კონკრეტული მიზანი დგას შემოქმედის სიტყვის უკან, მწერლის მხატვრული ცნობიერება როგორ აღიქვამს ყოფიერებას მშვენიერების თვალსაზრისით და როგორ გარდაქმნის მას ახალ ესთეტიკურ სინამდვილედ. ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებიც თავისთავად მოიცავენ აგიოგრაფიულ სიტყვას, ვლინდება თხზულების სიტყვიერ ქსოვილში. ახლა თვალი მივადევნოთ იმას, თუ როგორ სქემას გვთავაზობს აგიოგრაფი:

„მიზეზნი არიან ალმძვრელ სიტყვასა და სიტყუად არს მომ-თხრობელ მიზეზთა, რომლისათვის პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიართვან მიმღებელსა, და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა და განმკითხველმან – დამმარხველსა“.

გრაფიკულად თუ გამოვსახავთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

მიზეზნი

↓ ↑

სიტყვა

↓

საგრძნობელი (გრძნობის ორგანო)

↓

მიმღებელი (თანამოზიარე, შემწყნარებელი)

↓

განმკითხველი (მსაჯული)

↓

დამმარხველი (დამცველი, შემნახველი)

„მიზეზსა“ და „სიტყვას“ შორის ორმხრივი „ურთიერთობა“, მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, რადგან პირველი „სიტყვის“ წარმომშობია და მეორე კი – მიზეზთა „მიმთხრობელი“. აქ აგ-იოგრაფი სიტყვისა და საქმის მთლიანობაზეც მიგვითითებს. სულხან-საბას მიხედვით, „დაწყებასა ერთისა საქმისასა მიზ-ეზი ეწოდების“ (ორბელიანი 1991: 480). ე. ი. საქმემ უნდა აღ-რას, წარმოშვას, დაბადოს სიტყვა, რომელმაც მეტ-ნაკლები სიზუსტით უნდა გამოხატოს და ცხადყოს იგი. „საქმე, ნამოქმე-დარი, ფაქტი, – განმარტავს აგიოგრაფი, – არის ბიძგის მიმცე-მი, ამოსავალი, აღმძვრელი სიტყვისა ლიტერატურულ შემოქ-მედებაში. ხოლო, თავის მხრივ, პოეტური სიტყვა ამ საქმეებსა და ფაქტებს პირველ რიგში ასახავს და „არს მომთხრობელი მიზეზთა“ (ფარულავა 1982: 90).

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისშივე მკაფიო აქცენტი კეთდება სიტყვის ძალაზე, განსაზღვრულია მისი მო-ქმედების სივრცე და ემოციურ-ინტელექტუალური შთაგონება. „მიზეზი“, სათქმელი არსებობს სიტყვამდე, თქმამდე, რომელიც „ალძრავს“ სიტყვას, მაგრამ „სიტყვას თან გაჰყვება თავისი მიზ-ეზი ისევე, როგორც ყოველ მიზეზოვანში არსებობს მიზეზი.... ასე მიდის სიტყვა მიზეზიდან მიზნისაკენ და ამით სიტყვა აერთიანებს მიზეზსა და მიზანს. მიზეზისა და მიზნის გამთლიანებით კი „სი-ტყვის“ ლოგოსური ბუნება მჟღავნდება“ (სირაძე 1992: 38).

ამჟამად სიტყვის ლოგოსურ ბუნებაზე ვერ შევჩერდებით, ამის შესახებ საგანგებოდ ვმსჯელობთ ჩვენს მონოგრაფიაში (მეტრეველი 2000: 4-29).

„მიზეზთა მოთხრობა“ შემოქმედის საქმეა – რას იტყვის და როგორ იტყვის! „რატომ იტყვის“ – ეს უკვე „მიზეზში“ ძევს. თქმა სიტყვას უკავშირდება, მთქმელი კი სიტყვის ოს-ტატი უნდა იყოს, გემოვნებით, სიბრძნით, ეპოქის შეგრძნების განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული. ასეთი შემოქმე-დი თავისი დროის „სტილის“ გამომხატველია. ყოველ მწერ-ალს საკუთარი ხელწერა, სტილი აქვს, რომელშიც ჩანს მთელი მისი პიროვნება: „მას თავისი გმირები ჰყავს – მძვინვარენი ან მშვიდინი“, თავისი კვანძი აქვს, რთული ან მარტივი, თავისი

დაბოლოება – ტრაგიკული ან კომიკური, სტილის თავისებური ეფექტები, თავისი რთული წინადადებანი და თავისი საკუთარი ლექსიკონიც კი“ (ტენი 1990: 8).

ჯერ კიდევ ადრეული პერიოდის აგიოგრაფები კრძალვითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ სამწერლო საქმიანობას: „შეშმან და ზრუნვამან შემიპყრო მე – წერს იოანე საპანისძე – და შეშფოთნა გონებად ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან... და აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობა, ჭეშმარიტი და უტყუელი“ (ძეგლები 1964: 47). იოანე საპანისძის მიერ წამოჭრილი მხატვრული ნაწარმოების როგორობის, მისი ენისა და სტილის საკითხი შემდგომ განვითარებას პოულობს, „წმ. კოსტანტი კახის მარტვილობაში“ (ძეგლები 1964: 170). ზომიერად თქმის მოთხოვნას იცავს გიორგი მერჩულეც (ძეგლები 1964: 266). მათს მოთხოვნებში, მთლიანობაში, იკვეთება ესთეტიკური თანადგომის პრინციპები.

დავუბრუნდეთ სქემას: მიზეზი, საპაბი, რომელიც სიტყვას წარმოშობს, შინაგან სულიერ საცავსაც გულისხმობს, რადგან სიტყვა გამოხატავს პიროვნებას, მის ფსიქო-ემოციურ და ინტელექტუალურ საწყისს. სიტყვა თავად არის ადამიანური ყოფიერების საზრისი. რა გზას გაივლის სათქმელის, საქმის აუცილებლობით დაბადებული სიტყვა? – აგიოგრაფის თქმით, იგი გადაეცემა „საგრძნობელთა“, ე. ი. გრძნობის ორგანოებს, უფრო ზუსტად, ალბათ, იმათ, იოანე საპანისძემ ასეთი ფორმით რომ განმარტა: „საჩინონი ეგე სასმენელნი... და უფროსას საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა“ (ძეგლები 1964: 49).

სიტყვა უნდა იგრძნო, განიცადო, მან შენს სულზე ზემოქმედება უნდა მოახდინოს, შენში აქტივობა უნდა აღძრას, უნდა შეგცვალოს. გრძნობის ორგანოები სიტყვას გადასცემენ „მიმღებელს“, ანუ შემწყნარებელს, თანამოზიარეს. დარჩება თუ არა ლოგოსი შენში, „ექმნები თუ არა მასპინძელ“ მას, სწორედ ამაზე უპასუხებს ეს საფეხური „საგრძნობელიდან“, „მიმღებლამდე“, ანუ როცა მოისმენ ან შეისმენ და „გაუმასპინძლდები“, ან განაგდებ. ამის შემდეგ სიტყვა გადაეცემა „განმკითხველს“, ანუ მსაჯულს. იქნებ ეს „მსაჯული“ გონებაა, რომელმაც უნდა ანონ-დანონოს,

სრულყოს შესამეცნებელი! ამის შემდეგ „განმკითხველი“ გადასცემს „დამმარხველს“ – ე. ი. დამცველს, შემნახველს, ვინც ან რაც „სავანეს განუმზადებს“ და, საბოლოოდ, დამკვიდრდება სიტყვა-ლოგოსი იქ, სადაც ესწრაფვოდა „განსვენებას“. ჩვენი აზრით, „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისის ეს სქემა, რომელშიც საუბარია სიტყვის დაბადების, მსმენელსა თუ მკითხველზე ამ მადლის გადმოსვლის გზებზე, თუ არ ემთხვევა, ეხმიანება იოანე საპანისძის „წმ. აბოს წამების“ | თავში მოცემულ მსჯელობას და იმეორებს ამ სქემას.

წმ. აბოს წამება	წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება
საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა	საგრძნობელნი
განმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ	მიმღებელი
შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა	განმკითხველი
სავანც განუმზადეთ	დამმარხველი

გარდა ამისა, ცოტა ქვემოთ „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი პირდაპირ აცხადებს: „ხოლო თქუენ განმზადენით სასმენელნი თქუენნი და სარწმუნოებით შეიწყნარეთ“ (ძეგლები 1964: 196), იოანე საპანისძე კი ასე მოგვმართავს: „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და... შეიწყნარეთ“ (იქვე: 49).

ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ კაცის სული იმით, თუ რას და როგორ ამბობს. ამიტომ აგიოგრაფიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვაზე ფიქრი. ეს გასდევს „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ტექსტს. სიტყვის მსახურება და სიტყვის მადლი მთლიანობაში იმას წარმოგვადგენიებს, რომ „პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ლმრთისა თანა და ლმერთი

იყო სიტყუად იგი“ (ინ. 1,1). წმ. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისი ამგვარად განიხილავს „მიზეზს“, „სიტყვასა“ და „სიტყვის გზებს“.

აგიოგრაფიული მწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს საკვლევ ძეგლშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ლოცვის სათნოება. ლოცვის ძალა და მადლი წარმართავს მთელ თხზულებას. თავად ფაქტი, წმ. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფების („ძლიერნი სიტყვითა და საქმითა“) საქართველოში ჩამობრძანება და მათ მიერ ქართველთა განათლება „ჭეშმარიტებისა ნათლითა“, რაც დიოფიზიტობის გაძლიერებას უნდა გულისხმობდეს და არა მხოლოდ, ზოგადად, ქრისტიანობის ქადაგებას (სირაძე 1992: 33), ამასთანავე და უმთავრესი, – სამონასტრო სისტემათა დამკვიდრებას, ლოცვით წარმართულ ცხოვრებას გულისხმობდა. ლოცვით იქმნებოდა და იგებოდა ლოცვისათვის განკუთვნილი ეკლესია-მონასტრები. აგიოგრაფი ასე მოგვმართავს: „ჯერ-არს, რათა ლოცვად წინავთ წარუძლუანოთ, წელი შემოყავთ ჩემ თანა ვედრებითა!“ (ძეგლები 1964: 193).

და რა ძალა აქვს ლოცვას? – როგორც სახარებაში ვკითხულობთ „ითხოვდეთ და მოგეცეთ თქუენ“. აგიოგრაფი ასე მსჯელობს: „იხილეთ-ლა ნაყოფი იგი ლოცვისად – [წინავს] წარმეტყუელ იქმნა ჭეშმარიტებისა სიყრმითგან (სამოელი – სფ. მ.), რამეთუ ითხოვა იგი ანა ცრემლითა და ლოცვითა“ (ძეგლები 1964: 193).

ეს პასაჟი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ ერთადაა „ცრემლი“ და „ლოცვა“. სათქმელის ამ ასპექტით აქცენტირება და კონცენტრირება კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს იმას, თუ რა ძალა აქვს ლოცვას, ცრემლით აღსრულებულს.

აღმოსავლეთის ეკლესის მამათა მოძღვრებაში ცრემლი სულიწმიდის მადლია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აგიოგრაფიული თხზულების ძირითად ნაწილში, რომელშიც აღნერილია „დასაბამი ცხოვრებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისად“ საგანგებოდაა ხაზგასმული: „და იქ-ცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა (წმ. იოანე – სფ. მ.), მარხვითა და მღვიძარებითა, ცრემლითა და ვედრებითა“ (ძეგლები 1964:

197). ეს უკვე წმინდანის მდგომარეობაა, მისი მაღალი სული-ერობის განმსაზღვრელი ნიშანი.

მსგავსი ვითარება გვაქვს, როცა აგიოგრაფი წმ. ნინოს შესახებ გვაუწყებს, რომ “დედა ჩუენი ნინო დაადგრა ლოცვასა ცრემლითა” (ძეგლები 1964: 199). ცოტა ქვემოთ თხზულების ავტორი გადმოგვცემს, რომ წმ. ოთანე ზედაზნელი „ევედრებოდა... ღმერთსა და აღიხილნა თუალნი და აღიპყრნა ჭელნი და დასთხივნა პატიოსანნი იგი ცრემლნი წინაშე ცხოველსა მის სუეტისა“ (იქვე: 200)“ ან „მისგან მიქმან ცრემლნი“ (იქვე: 206).

რასაკვირველია, ცრემლი სინანულისა ნეტარებაა ღვთის გზაზე მდგომი მორწმუნისათვის, რადგან „Начало плача - по-знание самого себя. Да будет же плач наш не по человеку, не по Богу, Который знает сокровенность сердца, чтобы от него получить нам ублажение“ (ქრისტიანული.. 1930: 140).

ცრემლით ლოცვა ერთობ დამახასიათებელი მდგომარეობაა ქართული აგიოგრაფიისათვის. ასეთი ლოცვის ძალა და მაღლი განსაკუთრებულად ჩანს „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (მეტრეველი 2002). საერთოდ, ეკლესიურ ადამიანს ღრმად სჯერა ის, რაც ასეა ფორმულირებული „წმ. ოთანე ზედაზნელის ცხოვრების“ ტექსტში: „ყოველთა კეთილთა განმასურნელებელ ლოცვად არს“ (ძეგლები 1964: 193). ამ კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია სიტყვა „განმასურნელებელ“, რაც სურნელების მომფენს ნიშნავს (სარჯველაძე 2001: 37). უნდა აღინიშნოს, რომ ლოცვის ასეთ კონტექსტში წარმოდგენა არც თუ ხშირია. აგიოგრაფის ნათქვამი: ლოცვა-სურნელების მომფენი, აზროვნების იმ ფორმის გამომხატველია, რომელსაც, შესაძლოა, სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება ვუწოდოთ.

ყოველგვარი სიცოცხლის ნიშანი არის სუნთქვა. თავისებური სუნთქვა არსებობს სულიერ სამყაროშიც. წმიდა მამების გამოცდილება გვასწავლის, რომ სულის სუნთქვაა ლოცვა (რაფაელი 1997: 38), ოღონდ, „წმ. ოთანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორის მიხედვით, ეს ლოცვა „ყოველთა კეთილთა განმასურნელებელია“. აგიოგრაფის მიერ წარმოდგენილი მხატვრული სახე, სურნელების მომფენი ლოცვა, თავისი დატვირთვითა და

ღრმა სიმბოლიკით ქრისტიანული ღვთისმეტყველების სფეროში თავსდება. ლოცვა – ღმერთთან საუბარი, საკუთარი თავის აღმოჩენისა და შეცნობის საშუალება, ადამიანის შთაგონების გაცხადება, უზენაესთან შეერთების საშუალება „წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა. ლოცვა აღავსებს სავაჭროსა შენსა საუჯეოთა, ლოცვანი გიხსნიან ყოვლისა ფათერაკისაგან, ლოცვა განგარიდებს უჟამოდ სიკვდილისაგან, ლოცვა დაგიფარავს ცოდვისაგან... ლოცვა დაგამეგობრებთ ანგელოზთა, ლოცვა გიჩვენებთ პირსა ღმრთისასა და დაგამკვიდრებს შენ საუკუნოდ“ (ორბელიანი 1963: 29). როცა ადამიანური არსებობა ლოცვით გაჯერებული იქნება, მაშინ გახდება საცნაური მისი სურნელი, მაშინ მოგეფინება ის ზეციური მადლი, რომელსაც ლოცვის სურნელით შეიგრძნობ. მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ის თავისებურება, რომელიც ასეთი მხატვრული სახით დაფიქსირდა აგიოგრაფიულ ძეგლში კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, თუ როგორი იყო სახისმეტყველებითი კატეგორიები შეა საუკუნეებში და რა სპეციფიკა ჰქონდა ქართველი კაცის შეგნებაში, მის სულსა და გონში დავანებულ სახისმეტყველებითს ღვთისმეტყველებას. ლოცვა-სურნელების მომფენი, – სულიერობის იმ სფეროს სწვდება, სადაც მართალთა ნეტარება და სიხარულია, სადაც ცათა სასუფეველია და საითკენაც მიისწრაფიან მართლმორწმუნენი. ღვთაების სამყოფელის, სამოთხის, ედემის ბალის სურნელების მომფენი ლოცვა ის რეალური ძალაა, ისეთი მადლია, რომელიც ურნმუნოს მორწმუნებს გახდის და მორნმუნებს კი განამორებს ყოველივე ამაოსა და წარმავალს. ლოცვა ზეცისკენ აღმავალი და განმწმედელი ძალაა, როგორც „წმ. ოოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი ამბობს: „ლოცვად მისი (წმ. ოოანესი – სფ. მ.) აღვიდოდა ცად, აერთა განსწმედდა“ (ძეგლები 1964: 208).

ცოტა ქვემოთ აგიოგრაფი ევანგელიურ სწავლებას, რომ ბოროტი განიდევნება ლოცვითა და მარხვითა, სახისმეტყველებითს კონტექსტში წარმოგვიდგენს და ლოცვას გონიერების დედას უწოდებს: წმ. ოოანე „ლოცვასა და მარხვასა, ვითარცა დედასა გონიერებისასა, შეევედრა“ (ძეგლები 1964: 202).

უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება აგიოგრაფის მსჯელობა: „ყოველმან, რომელმან ჭელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა, ითხოვოს მისგან, რომელი-იგი უხუად მიმნიჭებელ არს ღმერთი“ (ძეგლები 1964: 198).

ქართული აგიოგრაფია მდიდარია ღვთის სახელებით, რომლებიც, რასაკვირველია, ეფუძნება და ეყრდნობა ღვთის-მეტყველებას, ყოველთვის მეცნად ზის დოგმატიკა-კანონიკის ჩარჩოში. ერთობ თრიგინალურად მოიხმობს „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი ღვთის სახელად, ერთ-ერთ განმსაზღვრელად „უხვად მომნიჭებელს“. ღმერთი – უხუად მიმნიჭებელია სიკეთისა, მოწყალებისა... მან „კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, ღმერთი, როგორც სული-ნმიდის ლოცვაში ვკითხულობთ, არის „საუნჯე კეთილთა“ და „მომნიჭებელი ცხოვრებისა“, ყოველივეს „მადლით აღმავსებელი“ (ლოცვანი 1997: 26). „უხვად მიმნიჭებელი ღმერთი“, აგიოგრაფის თქმით, „მისცემს საზრდელსა“. დაისმის ორი შეკითხვა. ვის აძლევს სოფლის შემოქმედი საზრდელს და რა იგულისხმება ამ საზრდელში?

„ყოველმან, რომელმან ჭელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა“ – ასეთია პასუხი პირველ შეკითხვაზე. ე. ი. ვინც დაიწყოს საღვთო მსახურება, ანუ ვინც ღვთის მოშურნეობას გამოიჩენს და უზენაესის „სამსახურში“ ჩადგება. საღვთო მსახურება საეკლესიო წეს-განვითარებაა და, უპირველესად, ტაძარში აღსრულებულ წირვა - ლოცვას გულისხმობს. საღვთო ლიტურგიის აღმასრულებელი მღვდელია. კონტექსტიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უხვად მომნიჭებელმა ღმერთმა საზრდელი სასულიერო პირს უნდა მისცეს. თუ რას გულისხმობს ამ საზრდელში აგიოგრაფი იაკობ მოციქულის ეპისტოლის ციტაციით ირკვევა: „ვითარცა იტყვის იაკობ მოციქული: „უკუეთუ ვინმე ნაკლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან“ (ძეგლები 1964: 193). იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე ამ მუხლს ასე გადმოგვცემს: „ხოლო უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სულიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღმრთისაგან, რომელმან იგი მოსცის ყოველთა უხვად და არა

ვის აყუედრის და მოსცეს მას“ (იაკ. 1, 5).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „უხვად მომნიჭებელი ღმერ-თი“ იაკობ მოციქულის ეპისტოლის გავლენითაა აგიოგრაფის შემეცნებაში შესული; ღმერთი საზრდელს უხვად მიანიჭებს სასულიერო პირებს, მათ, ვინც საღვთო მსახურებას აღას-რულებს. საზრდელი, უპირველესად, არის სიბრძნე, ანუ ნიჭი კეთილისა და ბოროტის გარჩევისა და სიკეთის მსახურებისა.

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ უაღრესად საინტერ-ესო მასალას გვანვდის ღვთის სახელდებათა შესახებ. ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში იგი ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან საკმაოდ უხვად წარმოგვიდგენს საღვთო სახელებს:

1. უხვად მომნიჭებელი ღმერთი (გვ. 193,ა);
2. საზრდელის მომცემელი ღმერთი (გვ. 193,ა);
3. მომავლინებელი (იგი თავსა თვესა გამოუცხადებდა) (გვ. 194,ა);
4. ღმერთი აპრამისი, ღმერთი ისაკისი, ღმერთი იაკობისი (გვ. 194,ა);
5. დაუსაბამო (არს იგი არს, რომლისა დასაბამ არა არს) (გვ. 194,ა);
6. ღმერთი მამათავ (რომელ იგი არს ღმერთი მამათავ) (გვ. 194,ა);
7. ჭეშმარიტი ღმერთი (გვ. 194,ა);
8. ნათელი (გვ. 194,ა);
9. ერთი უხილავი და უცვალებელი (გვ. 194,ა);
10. არა დასაბამიერი, არცა გასრულებადი (გვ. 194,ა);
11. განუზომელი (გვ. 194,ა);
12. მარადის კურთხეული (გვ. 194,ა);
13. ნათელი სამებისავ (გვ. 194,ა);
14. (შეკრებულად) შეურწყმელი და განუყოფელი (გვ. 194,ა);
15. უხილავი (გვ. 194,ა);
16. უჟამო (გვ. 194,ა);
17. დაუტევნელი (გვ. 194,ა);
18. უცვალებელი (თვნიერ ვითარებისა, თვნიერ რაოდენო-ბისა ხატებისა) (გვ. 194,ა);

19. შეუპყრობელ და შეუნაწევრებელი (გვ. 194,ა);
20. ძლიერი (თავით თვისით) (გვ. 194,ა);
21. ძე-მხოლოდ ცხოველი და განმაცხოველებელი, მომცე-
მელი ცხოვრებისაა (გვ. 194,ა);
22. მარადის კურთხეული და ბრწყინვალე (გვ. 194,ა);
23. სული წმიდათ – მთავრობისა უფალი, წარმავლინებელი,
განმკუთვნელი, ტაძრად თვისად მოქმედი (გვ. 194,ა);
24. სიტყვა დაუსაბამო – სიტყუად ღმრთისაა (გვ. 195,ა);
25. ხუროთმოძღუარ და შემოქმედ (ღმერთი არს) (გვ. 202,ა);
26. საკურველთ-მოქმედი (ღმერთი) (გვ. 2113,ა).

აქ წარმოდგენილი ღვთისმეტყველებითი გააზრება პირვე-
ლარსისა საღვთო სახელების კვალობაზე მოცემულია კატა-
ფათიკურ-აპოფატიკური მეთოდით. უკუთქმითი თეოლოგიის
ნიმუშები, როცა ღვთაება გამოხატულია მხოლოდ უარყოფითი
ნიშნებით, შემდეგია: „არს იგი უხილავი, უუამო, დაუტევნელი,
უცვალებელი, – უცვალებელ თვინიერ ვითარებისაა, თვინიერ
რაოდენობისაა, ხატებისაა, – შეუპყრობელ და შეუნაწევრებელ“
(ძეგლები 1964: 194).

თუმცა ვხვდებით ღვთაების, ანუ პირველარსის, გააზრე-
ბის „ნიმუშებს“ დადებითი ნიშნებით. უკუთქმითის გარდა ყვე-
ლა ამ სახეობას განეკუთვნება ზემოთ წარმოდგენილ სქემაში.
ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეფუძნება და ეყრდნობა არე-
ოპაგიტულ კორპუსს. „საღვთოთა სახელთათვის“, ფაქტობრი-
ვად, ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობით შემოქმედისა და
შექმნილის შესახებ ფილოსოფიურ გააზრებას მოსდევს ღვთა-
ების სახისმეტყველებითი წარმოდგენა, რომელსაც მოჰყვება
ღვთისმეტყველება (შდრ.: სირაძე 1992: 41).

„მ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ გვხვდება ტერ-
მინი „სამება“: „ხოლო რომელთა სამებისა ერთსწორობა
ვერ გულისჯმა-ყვეს“. გარდა ამისა, ვხვდებით წმ. სამების
ჰიპოსტასებს: მამა, ძე და სულინმიდა (ძეგლები 1964: 194).
აგიოგრაფი მკაცრად საუბრობს არიოზის ცრუ მოძღვრების
შესახებ: „ჰრცხვუენოდენ არიოზს, რომელმან დაბადებულად
იკადრა თქუმად სიტყუად იგი ღმრთისა“. ასეა განქიქებული

არიანული სწავლება.

როგორც ცნობილია, ქალაქ ნიკეაში რომის იმპერატორის კონსტანტინე Ⅰ დიდის საგანგებო ბრძანებით მოწვეულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ალექსანდრიელი მღვდლის – არიოზის მწვალებლური აზრი უარყვეს იესო ქრისტეს არაღვთაებრიბის შესახებ. არიოზი დაუინებით იცავდა თავის ცრუ მოძღვრებას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იყო დრო, როცა ძე ღვთისა არ იმყოფებოდა ე. ი. „არ იყო შობილი უნინარეს ყოვლისა საუკუნეთა“ და იგი არის ქმნილებაო (საეკლესიო კრებები 1978: 175). ქართველი აგიოგრაფი მეაცრად იცავს დოგმატიკა-კანონიკას და აცხადებს: „რცხუენოდენ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუმად სიტყუად იგი ღმრთისა და ... ხედვიდა მას კაცად და ბუნებად ღმრთებისა დაუსაბამო ვერა ცნა“ (ძეგლები 1964: 195).

„წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ამ ე. წ. თეორიულ წინასიტყვაში – რ. სირაძის სახელდებით (სირაძე 1992: 36) – არიანულ მოძღვრებასთან ერთად, დაგმობილია მაკედონისა და მის თანამოაზრეთა მწვალებლური სწავლება, რომლებიც უარყოფდნენ სულინწმიდის ღვთაებობას (საეკლესიო კრებები 1978: 177). რა თქმა უნდა, ეს მძიმე ცოდვაა, მაშინ, როცა სახარება მეცნიერებული ცოდვაა, მაგრამ მას კაცად გვაფრთხილებს: „ყოველნი ცოდვანი მიეტევნენ კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობად არა მიეტეოს“ (მათე, 12,31). ამის გათვალისწინებით ქართველი აგიოგრაფი თავის გულისწყრომასა და აღშფოთებას ასეთი ინტონაციით გამოხატავს: „კადნიერი იგი (მაკედონი – სფ. მ.), თავჭედი, რომელსა თავი თვისი რამე ეგონა ყოფად“ (თამამი და თავხედი მაკედონი, რომელსაც თავისი თავი რაღაც ეგონა), – ასეთია აგიოგრაფის შეფასება, მისი გულწრფელი, უშუალო და ბუნებრივი დამოკიდებულება ერეტიკოსი მაკედონისადმი!

აგიოგრაფიული თხზულების ეს ე. წ. თეორიული ნაწილი სრულდება სიტყვაზე ფიქრით, ანუ იმით, რითაც დაიწყო „ცხოვრება“. საინტერესოა ისიც, რომ ტრიადიოლოგის კონტექსტში განიხილება სიტყვა – ლოგოსის რაობა. სულინწმიდის გადმოსვლა მოციქულებზე არის პირველარსი და ამის

კვალობაზე აგიოგრაფი განმარტავს, რომ ასურელ მამებზეც გარდამოვიდა სულიწმიდა: „მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მადლი სიტყვათ ერსა ჩუენსა“. ეს ფრაზა სრულიად გამორჩეულია მთელ თხზულებაში, რადგან აქ კარგად იკვეთება ჩუენთვის ასე მნიშვნელოვანი – სიტყვის ლოგოსური ბუნება. ენას უნდა ჰქონდეს სიტყვის მადლი! – ასეთია აგიოგრაფის დასკვნა. „მადლი სიტყვისაა“ არის ის ძალა, რომელიც ნაკლულევანთ აღავსებს და სნეულთ განკურნავს. მადლი სიტყვისა რომ შეიგრძნო, უნდა მოემზადო, რათა სიტყვა მოვიდეს და დაემკვიდროს შენში, რათა სიტყვამ იპოვოს თავისი ადგილი და გაგიცხადოს ჭეშმარიტება. ეს სულიერ-ინტელექტუალური შემეცნების გზა და ადამიანს სათნობათა კიბეზე აამაღლებს, უმაღლეს უნივერსალიებს აზიარებს.

სახისმეტყველებითი პრინციპების კვალობაზე საინტერესოა ისიც, რომ „ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისში წარმოდგენილი მსჯელობა სიტყვაზე, ძირითადად, გამიზნულია სალიტერატურო სიტყვის მიმართ, რომელიც რთულ შემოქმედებითს გზას გაივლის: „არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ, არამედ სილრმეთაგან ზღვსათა პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა, გუნებავს ცხადად გამოჩინებად, რომელი განმზადებული არიან განყოფად სიმდიდრესა, უხრნწელსა საფასესა საღმრთოთა ნიჭთასა, ნათესავისა მიმართ ჩუენისა სიტყვთა მადლისათა“ (ძეგლები 1964: 192).

ამ კონტექსტშიც გაიელვებს სიტყვის მადლი, როგორც განმსაზღვრელი შემოქმედებისა, როგორც საზრისი არსებობისა. სიტყვის მსახურება ნიჭია „გამოცხადებითა მაღლისათა“ (იქვე: 192). ასე გასდევს სიტყვაზე ფიქრი „ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებას“.

„ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მეორე ნაწილი – „დასაპამი ცხოვრებისად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისად“ ორგანული გაგრძელებაა იმისა, რომ სულიწმიდისაგან მინიჭებული ლოგოსური სიტყვა სხვებს უნდა გადაეცეს. ეს არის მოციქულებრივი მისია, რომლის აღსრულება საქართველოში ჯერ კიდევ | საუკუნეში წმ. ანდრია პირველწოდებულ-

მა დაინტერესული და IV ს-ში წმიდა მოციქულთა სწორმა ნინომ განასრულა. წმიდა იოანე ზედაზნელის ღვაწლი წარმოგვიდგება, როგორც გაგრძელება წმ. ნინოს მოციქულებრივი მისიისა.

წმ. ნინოსა და სვეტიცხოველთან კავშირები საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი (სირაძე 1992: 4-25; კუჭუხიძე 2005: 49-54) და ამ მხრივ ჩვენ ახალს ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ წმ. იოანე ზედაზნელი გამორჩეულია ქართულ კულტურულ-რელიგიურ სივრცეში, როგორც პირველსახე განდეგილობისა. სწორედ ამისი აქცენტირებით იწყება „ცხოვრების“ ძირითადი ნაწილი, საკუთრივ წმ. იოანეს ღვაწლის აღნერა, თანაც ისე, რომ დარღვეულია თავგადასავლის თხრობის ბიოგრაფიულობა. რატომ მოინია წმ. იოანე „ქუეყანასა ქართლისასა“? პასუხი ერთია: „წინამდლურებითა სულისა წმიდი-სახთა“. ცოტა ქვემოთ ეს თემა ასე განივრცობა: „განმგებელმან მისმან, სულმან წმიდამან, წამს-უყვნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რადთა მიუძლუეს ქუეყანად ქართლად“ (ძეგლები 1964: 198). თხზულების ავტორი ასე ათქმევინებს თავად ნეტარ იოანეს, რომელიც თავის მონაფეებს მიმართავს: „არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან“ (იქვე: 202). ეს არის მისი მოღვაწეობის ერთგვარი ლეგიტიმაცია და ამაშივე იკითხება მოციქულებრივი მისიის აღსრულების გარდაუვალობა.

ახალგაზრდობიდანვე მძიმე უდელი იტვირთა წმ. იოანემ: „დაჯდა თჟავან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებად თმენისად“ (ძეგლები 1964: 196-197). აგიოგრაფის ეს განმარტება საყურადღებოა თუნდაც იმიტომ, რომ უმთავრესი ქრისტიანული სათნობა, – მოთმინება ცხოვრების, არსებობის იმედადაა გამოცხადებული. არა თუ მონაზვნის, არამედ ყოველი მოკვდავის უპირველესი საზრუნავია, დაუახლოვდეს, მიემსგავსოს უზენაესს, როგორც შეგვაგონებს წმიდა სახარება: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მ. 5, 42). წმ. იოანე ზედაზნელი „სრულებასა რომ მიემთხვს“, აგიოგრაფის სიტყვით, „იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა, მარხვითა და მღვდარებითა, ცრემლითა და ვედრებითა. შრომითა

და მოთმენითა დღითი-დღე წარემატებოდა“ (ძეგლები 1964: 197). სრულყოფილებისაკენ სწრაფვა პიროვნების თავისუფალი ნების უმაღლესი მიზანია. ეს არის თავისუფლებაც. სრულყოფილი რომ გახდე, თავისუფალი უნდა იყო! ამიტომ, წმ. იოანე ზედაზნელი, ერთდროულად, თავისუფლებისა და სრულყოფილების ნიმუშია. ამ რთულსა და სულიერი ბრძოლებით აღსავსე გზაზე იგი სათნოებებს აგროვებდა და მისი ღმერთან მიახლება დიდი ღვაწლის შედეგი იყო. „სრულებას“ მან მიაღწია:

სიმდაბლით;
მარხვით;
მღვიძარებით;
ცრემლით;
ვედრებით;
შრომით;
მოთმინებით.

ეს ჩამონათვალი იწყება სიმდაბლით და მთავრდება მოთმინებით. ასეა იდეალიზებული ის უმთავრესი სულიერი იარაღი, ურომლისოდაც ცათა სასუფეველი არ მოიპოვება. თხზულების ავტორის აზრით, წმ. იოანეს რჩეულობა, მისი „ვითარცა ვარ-სკულავის“ გამოპრწყინება და სენთა კურნების თუ ეშმაკთა „განსამის“ სასწაულმოქმედებითი ძალა მას ღვთისაგან მიენიჭა სწორედ გასაოცარი სიმდაბლის გამო, „რამეთუ ჩუეულებაჲ ესე არს ღმრთისად: „ყოველი, რომელი დაიმდაბლებს თავსა თვესა, იგი ამაღლდების“. ეს სახარებისეული შეგონება აგვირგვინებს სიმდაბლის სათნოების უნივერსალიზმს.

ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიისათვის, ჩვენი აზრით, უაღრესად საინტერესო ერთი ასეთი პასაუი გვხვდება ნაწარმოებში: „შუენიერთა მოძღურისა მოწაფეთა კეთილი იგი შეთქუმულებაა“ (ძეგლები 1964: 199). ეს ფრაზა მნიშვნელოვანია თავისი ინტონაცით, განწყობითა და სახისმეტყველებითი ფუნქციით, როცა მოვლენა იქცევა ემოციურ სინამდვილედ! ამავე ფრაზას მოსდევს მუსიკალობით, ევფონიური უდერადობით დატვირთული სტრიქონი: „საკრველ-

სა მას სიყუარულისასა შეერნეს“ (იქვე: 199).

ჩვენი აზრით, თხზულებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს წმ. იოანე ზედაზნელის ე. ნ. „სწავლანის“ იმ ადგილს, რომელშიც საუბარია პიროვნულ მაგალითზე. როგორც წმ. იაკობ მოციქული ბრძანებს, სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია (2, 26). რასაც სხვას მოუწოდებ, რასაც ქადაგებ ის შენი ცხოვრების წესი უნდა იყოს: „თავნიცა თქუენნი სახედ მისცნეთ“. ასეთი დამოკიდებულება ზნეობრივი ღვთის-მეტყველების სფეროში თავსდება. ამიტომ მიგვაჩნია ყურადსალებად თხზულების ეს მონაკვეთი: „ჯერ-არს თქუენდა, რათა წარხვდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა... არა სიტყვთა, მოძღურებითა თქუენითა, არამედ... რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (ძეგლები 1964: 202-203).

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ეს ნაწილი, პირობითად სწავლანი, ტექსტის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლის გათვალისწინებით, ათცამეტი ასურელი მამის სამოღვაწეო პროგრამაა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებს უნდა ჰქონოდათ მათი სულიერი წინამძლოლისგან ეგზეგეტიკური სწავლანი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ არის პირდაპირი მითითება წმ. იოანე ზედაზნელის „სწავლათა“ არსებობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ წმ. იოანემ თავის მონაფეებს „ნაცვლად სძისა და ყრმებრივთა საზრდელთავსა მტკიცე და ძლიერი საზრდელი წინარუყო, ესე იგი არს საღმრთონი სწავლანი და მოძღურებანი“ (აბულაძე 1955: 148).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ ათცამეტი ასურელი მამის ძირითადი მიზანი ანტიმონფიზიტური მოღვაწეობა იყო და ანტიმონფიზიტობა ანტიმაზდეანურ პოლემიკასაც გულისხმობდა, მაშინ მათ შესატყვისი „პროგრამაც“ ექნებოდათ. დიოფიზიტური დოქტრინის დაცვა, დიოფიზიტური მსოფლედვა გამოსჭვივის ამ „სწავლანიდან“, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. (ასურელი მამების დიოფიზიტური დოქტრინის დაცვას ამტკიცებდნენ გრ. ფერაძე,

ი. ჯავახიშვილი, ზ. ალექსიძე, რ. სირაძე, თ. უორდანია, ვ. გოლაძე, ა. ჯაფარიძე, დ. მერკვილაძე; საპირისპირო თვალ-საზრისის ჰქონდათ აკად. კ. კეკელიძეს, ს. კაკაბაძეს, ლ. მენა-ბდეს, ლ. მელიქსეთ-ბეგის).

წმ. ოოანე ზედაზნელის დამოძღვრა, ე. წ. „სწავლანი“ შემ-დეგ საკითხებს ეხება: ქადაგება იწყება ახალი აღთქმის უმ-თავრესი მცნებით: „ნურა გიყუარნ, ძმანო, უფროთ ღმრთისა“. ეს არის ამოსავალი, საყრდენი ამ მოძღვრებისა. ამის შემდეგ ჩამონათვალი ასეთ სახეს იღებს:

ვერცხლისმოყვარეობა და სიმდიდრე;

შვება და უძლურება (რომ არ იშვას ურჩობა);

მემთვრალეობა (ნუ დაითრობით ღვინითა) – რომ არ აღიძ-რეს ბოროტი გულისთქმები.

„სწავლანის“ ავტორისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ და-ვიცვათ „სჯული იგი მარხვისა“ (ძეგლები 1964: 203). საჭმ-ლისაგან იშვა ურჩობა ადამისი და დაირღვა მარხვა. ჩვენი აზ-რით, მთელ ამ კონტექსტში უმთავრესია, გავიაზროთ „მარხვის რჯული“, როგორც სიწმინდის, უბინოებისა და რწმენის გარან-ტი. თავისთავად, ასე დანახული და შეფასებული წმიდა მარხვა კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ქართველთა დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ ყოველთვის იყო ღრმადქრისტიანული და სულინმიდის მადლით კურთხეული.

„სწავლანის“ შემდეგი, საკმაოდ ვრცელი ნაწილი ეთმობა მსჯელობას ადამიანის ორგვარი ბნუებისა და ორგვარი ნებ-ის შესახებ, განმარტებულია ორგვარი ბუნება: სულიერი და ხორციელი, აქვეა მოცემული ადამიანის სულიერი ამაღლების გზები.

„სწავლანში“, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია რამდენიმე ნიმუში მხატვრულ-ესთე-ტიკური აზროვნებისა:

„ეკლოვანი ესე ქუეყანა“ (ძეგლები 1964: 203);

და

„ვიცი, რადსათვს ვარ“ (იქვე: 206).

ვერცხლისმოყვარეობის, სიმდიდრისა და უძლურების

გმობას ტექსტში მოსდევს მსჯელობა იმის შესახებ, რომ და-ვიცვათ „სჯული მარხვისა“, რომ ჩვენგან განრიდებული იყოს „ეკლოვანი ესე ქვეყანა“.

წუთისოფლის წარმავლობისა და ამაოების შესახებ საკ-მაოდ ბევრი თქმულა და დაწერილა ქრისტიანულ ლიტერა-ტურაში. ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ იწყება მისი ცხ-ოვრების ეკლიანი გზა დაკარგული ედემის მოსაპოვებლად, მა-მისეულ წიაღში დასაბრუნებლად. გრძელი და დამღლელი აღ-მოჩნდა ეს გზა. იმატა ცოდვამ, მოგვაკლდა მადლი და ნათელი ქრისტესი. მართალია, ცხოვრება მოსამზადებლად მოგვეცა, ოღონდ მზადება-გადამზადებაში ჭეშმარიტი გზიდან არ უნდა გადავუხვიოთ, სიკეთე უნდა მივაგოთ ყველას, ვინც ცხოვრე-ბის გზაზე შეგხვდება. თუ გვინდა გავიმარჯვოთ, მოთმინება უნდა ვისწავლოთ. ერთი სიტყვით, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ვცხონდეთ! ადამიანს ბევრი რამ აბრკოლებს, ბევრი საცდური ეძლევა, განსაცდელი ცდუნებად ექცა და ქვეყანა გახდა ეკ-ლოვანი, მხოლოდ იმათვის, ვინც ამ „ეკლებს“ ხედავს და გრძნობს, თორემ უმეცართათვის ბოროტება ვერდასათმობ ვნებად დარჩა. ეს ქვეყანა ხომ ღვთის მიერ კეთილად შეიქმნა. ჩვენ უნდა განვერიდოთ და მოვიძულოთ არა სოფელი, არამედ ამაოებანი ამა სოფლისანი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის ეკლები წუთისოფლის ამაოებანია, რომლებიც თომა კემფელის (XV ს.) მიხედვით შემდეგია: „ამაო არის ძიება წარმავალისა სიმდიდრისა და სასოების დამყარება მასზედ. ამაო არს კვა-ლად ძიება პატივისა და მაღლის ხარისხისა. ამაო არს შედგო-მა ხორციელთა წადილთა და ნდომა იმისთანა რისამე, რომ-ლისათვისაც შემდგომში ფიცხლად უნდა დავისაჯნოთ. ამაო არს, რომ კაცი დღეგრძელობას ნატრობდეს და სათნო ცხოვ-რებაზედ კი არ ზრუნავდეს. ამაო არს შეყვარება მსწრაფლ წარმავლისა და არა მისწრაფება იქით, სადაც არს სიხარული საუკუნო“ (კემფელი 1982: 39).

„ვიცი რაისათვს ვარ“ – თვითშემეცნების ფორმულაა, მისი კონტექსტი ასეთია: ადამიანი არ უნდა გახდეს მონა საკუთარი ვნებებისა, არ უნდა დაემორჩილოს „მტერს“, უნდა განეშოროს

ყოველივე წარმავალს, რომ მიეახლოს უზენაესს, „რამთა აღ-ვიდე ღმრთისა ჩემისა საქმეთა“ (ძეგლები 1964: 206). ეს არის ქრისტიანული ანთორპოლოგიის არსებითი საკითხები: „ვიცი, რადა გარო, განლმრთობა ... დაკრძალვა-განრიდება, – ასეა გააზრებული ცხოვრების მიზანი“ (სირაძე 1992: 59).

„მ. ოიანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ერთობ მნიშვნელოვანია ეპიზოდი, როცა წმ. ოიანე გაკიცხავს ე. წ. „პელეთის ძალებს“ და ადგილსაც მიუჩენს მათ: „ადგილი თქუენი ბნელეთი არს, ივლტოდეთ მუნ“. ამის შემდეგ მიმართვის ფორმით ისევ გრძელდება ბრალდებები, საინტერესო და დასაფიქრებელი, მრავალი ქრისტოლოგიური ნიშნით აღტეჭდილი: „და არა შენ ხარა, რომელმან სამოთხე იგი ფუფუნებისაა მომიღე ჩუენ... და შენისა მანქანებითა სიკუდილისა მივეცენით... თკთ მოძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი. რამეთუ ანგელოზი იყავ და მწდომ იქმენ და დაეცი უკეთურებისა შენისათვს“ (ძეგლები 1964: 210).

მთლიანობაში, ჩვენს ხელთაა უაღრესად მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული ძეგლი თავისი რელიგიურ-დოგმატური, ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროთი, რომელიც კვლევა-ძიების, ფიქრისა და მაღალი სულიერობისაკენ გვიხმობს. იგი ქართულ აგიოგრაფიაში გამოგვიბრნებინდა „ვითარცა მთიები განთიადისაა“ (ძეგლები 1964: 213).

ქართული ეკლესია წმ. ოიანე ზედაზნელის ხსენებას ახალი სტილით 20 მაისს აღასრულებს და მასზე შექმნილ კონდაკ-ში ასახავს იმ ღვანლსა და დამსახურებას, რომელიც მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, როგორც ქართლის მნათობსა და სულიწმიდის მადლის წყაროს, ღვთაებრივი სასწაულებით განმაბრნებელს: „ასურით გამო მნათობად ქართლისად გამოსჩნდი და ათორმეტთა მამათა მამად იჩინე, ხოლო მადლ-თა სულისა წმიდისათა გვინყაროებ და სასწაულთა სიმრავ-ლითა განგვაბრნებინვებ, მამაო წმიდაო იოანე, მოეც მშვიდობად მეფესა ჩუენსა მორწმუნესა და ერნი, მადიდებელნი შენნი, იხ-სნენ განსაცდელთაგან“ (ჟამნი 1899: 425).

„ცხორებაზ და მოქალაქობაზ ღირსისა მამისა ჩურისა შიომში და ევაგრჟისი“

აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ „ნეტარი და ღმრთივ განპრძნობილი მამად ჩუენი წმიდაზ შიო“ სულინმიდის წინამძღვრობით ჩამოვიდა და დაემკვიდრა მცხეთის „დასავლით კერძო“ (ძეგლები 1964: 217) (შდრ. „ნეტარი იოვანე... წინამძღვრებითა სულისა წმიდისათა მოინია ქუეყანასა ქართლისასა“ (იქვე: 196). წმ. იოანემ „დაუტევა ადგილი იგი... წარვიდა განშორებულსა უდაბნოსა და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა“ (იქვე: 197), ნეტარმა შიომაც „პოვა მუნ მცირე ქუაბი და დაჯდა მას შინა“ (იქვე: 218).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ნეტარი შიო ღვთის ნებას მინდობილი და დამორჩილებულია, ქრისტეს შედგომილი ისეთი მსახურია, რომელმაც უკვე უარყო თავი თვისი, რათა გახდეს ღირსი უფლისა. სახარებისეული სწავლების გავლენითაა დაწერილი აგიოგრაფის მიერ: [ნეტარი შიო] „დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისათა, წელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა თავი თვისი მისთვეს, რომელმან არაოდეს უგულებელს -ყვნის მოსავნი მისნი“ (ძეგლები 1964: 218).

მრავლის მთქმელია წმ. შიოს პირველივე ლოცვა, რომელსაც იგი „ქვაბში“ წარმოთქვამს. მასში კარგად ჩანს ის უმთავრესი სათნოება, რომელიც ბერმონაზვნური ცხოვრების დასაბამადაა მიჩნეული – მოთმინება. ამ ლოცვაში ისიც იყითხება, თუ როგორ სულიერი მდგომარეობით – მხურვალე გულით – შეუდგა ნეტარი შიო თავისი ღვანლის აღსრულებას: ლოცვის მიხედვით, ორ რამეს ითხოვს უფლისგან მუდაბნოე მამა:

- ა) მომეც მოთმინება;
- ბ) ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა.

მისი ვედრება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იქსო სახელდებულია, როგორც სახიერი, წმ. ქალწულისაგან შობილი, გარდა ამისა, ლოცვის დასასრული ემთხვევა საეკლესიო მსახურების

(წირვის) დასასრულს – ჩამოლოცვას. ამასთანავე, ამ ვედრებაში სამი მეოხია მითითებული: ღვთისმშობელი, წმიდა მოციქული და წმ. მამა იოვანე. აშკარაა, რომ ამ უკანასკნელში იგულისხმება წმ. იოანე ზედაზნელი:

„ჰო, იესო სახიერო, რომელი მოხუედ ქუეყნად ცხოვრებისათვს კაცთავსა და იშვე წმიდისგან ქალწულისა, რათა აცხოვნენ, რომელი მწურვალითა გულითა შეგიდგენ და გმსახურებდენ შენ. ან მომეც მეცა მოთმინებაა, რათა სათნოდ შენდა აღვასრულნე მცირედნი ესე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა და დედისა შენისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთავთა და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა“ (ძეგლები 1964: 218).

ამ ლოცვაში განმარტებულია იესოს განკაცების მიზანი – მოხუედ ქუეყანად ცხოვრებისათვს კაცთავსა... რათა აცხოვნენ.

დღესაც, ღვთისმსახურების დასასრულს, როდესაც აღესრულება განგება განტევებისა, ჩამოლოცვისას, ასეთი თანამიმდევრობაა დაცული: „... ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა ... მეოხებითა წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა“ (კონდაკი 2004: 81). ასე რომ, წმ. შიოს ლოცვის დასასრული ნასაზრდოებია საეკლესიო ღვთისმსახურების პრაქტიკიდან და მისი ლიტურგიული ცნობიერების გამოვლენის არგუმენტირებული დასტურია.

ზემოთ მოყვანილ ლოცვას ნეტარი მამა, შიო, ცრემლით ამბობდაო, – შენიშნავს აგიოგრაფი, – და დასძენს: „განგრძელებითა ლოცვისათა იატაკსა დაალტობდა, და განპტზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“ (ძეგლები 1964: 218)². ჩვენი აზრით, ეს პასაჟი მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ რიგში, აქ იკვეთება ლოცვის სათნოებისთვის დამახასიათებელი

2 შდრ. „წმ.დავით გარეჯელის ცხოვრება“ (ძეგლები: 1964:235)

მდგომარეობა და ისიც, თუ როგორ სულიერ ძალას ფლობდა წმ. შიო. ცრემლით წარმოთქმული ვრცელი ლოცვებით „იატაკს დაალტობდა“. „იატაკს“ ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონდა და მიწასაც გულისხმობდა (სარჯველაძე 2001: 101). ამ შემთხვევაში „იატაკს დაალტობდა“ გულისხმობს მიწის დასველებას, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი წინა-დადება: [წეტარმა შიომ] „განპმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“. წარმოდგენილ კონტექსტშიც „იატაკი“ „მიწის“ მნიშვნელობითა გამოყენებული. ასეთი მხატვრული სახე ქართულ აგიოგრაფიაში არ შეგვხვედრია. რას შეიძლება ნიშნავდეს „განპმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“? (მოამზადა თავ-ისი თავი მშვენიერ მიწად).

მიწა არის ერთ-ერთი ოთხი სტიქიიდან, მშრალი, გრილი, მძიმე და უძრავი სტიქია (დამასკელი 2000: 356), რომელსაც ღმერთმა საფუძველი, არსება მიანიჭა შესაქმის პირველსავე დღეს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცად და ქუეყანად“ (დაბ. 1, 1), შემდეგ, როცა ადამიანი ცოდვით დაეცა, სამოთხიდან გამოიდევნა და თან უფლის სიტყვები გამოჰყება: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე“ (დაბ. 3, 19), წუთისოფელი და სიკვდილი გვერდიგვერდ არსებობენ. საკუთარი თავის მიწად გამზადება თვითუარყოფას გულისხმობს, ეს არის ის მდგომარეობა, რომლის შესახებაც ცოტა ადრე გვითხრა აგიოგრაფმა: [წმ. შიომ] „სიკუდილად მისცა თავი თვისი მისთვის, რომელმან არაოდეს უგულებელს- ყვნის მოსავნი მისნი“ (ძეგლები 1964: 218). წმ. შიოს ასეთი დამოკიდებულება სახარებისეული სწავლების იმ დებულების აღსრულებად მიგვაჩნია, რომელიც უფალმა ასე განგვისაზღვრა: „რომელსა პნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი“ (მ. 16, 24).

თხზულებაში ნეტარი შიოს მიერ წარმოთქმული მეორე ლოცვა არის სამადლობელი იმ წყალობის გამო, რომელიც მას მიანიჭა უზენაესმა. საინტერესოდ გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რაზეც აგიოგრაფი მიგვანიშნებს, როცა იხილა ღმერთმა „გულს-მოდგინედ მოთმინებად მისი [წეტარი შიოსი – სფ. მ.], მტრედის მიერ ყოველდღიურ საზრდელს უბოძებდა და „მარ-

ჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე“ (ძეგლები 1964: 218).

ყველაზე დიდი საუნჯე, რომელიც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, არის მოთმინება—თავმდაბლობა. ეს ის სათნოებაა, რომელსაც ეფუძნება მართლმადიდებელი ქრისტიანობა. არც ისაა შემთხვევითი, რომ წმ. შიო თავის პირველ ლოცვაში ამასვე ითხოვს უფლისგან: „მომეც მეცა მოთმინება“ (ძეგლები 1964: 218). ასე მსჯვალავს თხზულებას ამ სათნოების ძალა და მადლი.

ეკლესიური სწავლებით, ადამიანი ღვთის მადლობელი უნდა იყოს, მადლობით უნდა იღებდეს სიხარულსაც და მწუხა-რებასაც. ამიტომაც იყო, რომ საუკუნეთა მანძილზე მარადუამს გაისმოდა მოციქულის სიტყვები: გმადლობ, შენ, უფალო, ყვე-ლაფრისათვის (ეფეს. 5, 20), ამასვე ისმენდა ქრისტიანი საღვთო ლიტურგიაზე კვერექსებსა თუ საგალობლებში: ვმადლობდეთ უფალსა; შენ გმადლობ, უფალო (ლოცვები 2000: 45) და მისთ.

ამდენად, სრულიად ბუნებრივია ნეტარი შიოს მიერ წარ-მოთქმული სამადლობელი ლოცვა: „ჭ, უფალო დიდებისაო, კურთხეულ არს სახელი შენი და დიდ არს წყალობად შენი კაც-თა ზედა და ვინად ვარ მე უღირსი ესე წყალობისად, გარნა ყოვ-ელსავე ზედა ვჰმადლობ სახიერებასა შენსა“ (ძეგლები 1964: 218). ამ ლოცვაშიც გაისმის წმინდანის გამორჩეული თავმდ-აბლობის მახასიათებელი – „მე უღირსი“.

ადამიანის ცხოვრება არის განუწყვეტელი ბრძოლა ხი-ლულ თუ უხილავ მტრებთან. მამათა სწავლანიდან ცნობილია, რომ გაცილებით რთულია იმ უხილავთან, შინაგან ვნებებთან ჭიდილი და მათზე გამარჯვება. აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ ნეტარმა შიომ, როდესაც მოიპოვა განსაკუთრებული მადლ-მოსილება, როცა ცრემლით ლოცულობდა, როცა „განპმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“, როცა მოთმინების ღვანლში იყო და ამის შემდეგ უფლისგან წყალობაც მიიღო, „იხარებდა სულითა და ადიდებდა ღმერთსა და მიერითგან განძლიერდა უხილავთა მტრებთა ზედა“ (ძეგლები 1964: 218). მოყვანილ ფრაგმენტში საინტერესოა რამდენიმე პასაუ:

1. სულიერი მხიარულება (იხარებდა სულითა) – სიხარუ-

ლი სიყვარულიდან მომდინარეობს, ღვთის სიყვარული ახალი აღთქმის უმთავრესი მცნებაა. ნეტარი შიო მთელი არსებითაა შეყვარებული უფალზე ისე, რომ „სიკვდილად მისცა თავი თვისი მისთვის“, ხარობს და ადიდებს არსთა გამგებელს;

2. დიდი ღვაწლის შედეგად, დაუცადებელი ლოცვისა და განსაკუთრებული მსახურების გამო, „განძლიერდა უხილავთა მტერთა ზედა“. – ეს უკვე ნიშანია იმისა, რომ მან გაიმარჯვა საკუთარ თავთან ბრძოლაში, რაც იმასაც გულისხმობს, თუ როგორი სულიერი სიმტკიცით მიიწევს ნეტარი მამა სათნოებათა კიბეზე და უახლოვდება ღმერთს.

მადლიერების განსაკუთრებული განცდა, რომლითაც გამოიჩევა ნეტარი შიო, სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს პროვიდენციალური მოძღვრებიდან. წმინდანი უფლის ნებასა და ხელს ხედავს ყოველივეში, მასზეა მინდობილი, მისი სიყვარულისთვისაა თავგანწირული. ამდენად, თავის სამადლობელ ლოცვაშიცდა ზემოთმოყვანილ ფრაგმენტშიც „ადიდებდა ღმერთსა“. იგი ცოცხალი ნიმუში და ზნეობრივი მაგალითია დღესაც ცოდვით დაღლილი და გაამპარტავნებული კაცობრიობისათვის. სხვათა შორის, მადლიერების განცდა თავმდაბლობის სათნოებასთან პირდაპირაა დაკავშირებული, რადგან, როგორც წმ. მამა ღირსი ისააკ ასური ამბობს: „ვინც მცირეთი უმადურია, ის დიდითაც უკმაყოფილოა“ (ქრისტიანული... 1930: 191). თავად უფალი შეგვაგონებს: „მცირედა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“ (მ. 25, 21).

როდესაც ვსაუბრობთ წმინდანის გამორჩეულ ცხოვრებაზე, მის სათნოებასა და თავგანწირვაზე, იმთავითვე ვგულისხმობთ იმას, რომ ეს ყველაფერი კეთილადმისახურების, მართლმასხურების შედეგია, ჭეშმარიტების შეცნობა და აღიარება უკვე გამოკვეთს სწორადწარმართებული ცხოვრების კონტურებს. წმ. მეფე და ნინასწარმეტყველი დავითი თავის ფსალმუნებში ნეტარებას პპირდება სამართლიანობის, ჭეშმარიტების დამცველთა და აღმასრულებელთ: „ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა უამსა“ (ფს. 105, 3).

აგიოგრაფი სიამაყით მოგვითხრობს: „ინება ზეგარდამომან

განგებამან, რათა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარ-სკულავი“ (ძეგლები 1964: 219). წარმავალ წუთისოფელში ადა-მიანი უნდა ეზიაროს წარუვალს, მარადიულს, უნდა გაუჩნდეს სურვილი ღმერთან მიახლოებისა, სრულყოფისა, არსებო-ბისათვის მას სჭირდება იმედი ღვთისა და მომავლისა, რწმენა და სიყვარული. ეს რომ მოიპოვოს, სულიერობის ამ საფეხურს რომ მიაღწიოს, უნდა ჰყავდეს ზნეობრივი, პიროვნული მაგა-ლითი, რომელიც დაეხმარება, სულიერ ძალას შემატებს მიზ-ნის მიღწევაში. ამიტომაც უფალი ხილულ სასწაულებს მოგვივ-ლენს, რათა უფრო შევიცნოთ მისი დიდება. ასეთი ხილული სასწაული გამოგვიცხადა მან ნეტარი შიოს სახით.

„ზეგარდამომან განგებამან ინება“ – როდესაც ასე გვეუბ-ნება ავტორი, ამ ფრაზაში იგულისხმება ის, რომ ღმერთი არის „ნება“ – თავისუფლება. მან ინება შესაქმე და არაარსისაგან არ-სად მოყვანება, რომ მისი ნება განუშორებელია ძლიერებისაგან. ღმერთმა ინება, რომ „არა იყოს დაფარულ“, რომ ნეტარი შიოს საქმენი (მისი სათნოება და სინმინდე), როგორც „ბრწყინვალე იგი ვარსკულავი“ განაცხადოს, გამოაჩინოს კაცთათვის და „ამისთვის გამოაცხადა იგი კაცთა შორის“ – დასძენს აგიოგრაფი. აქ უნებურად სახარებისეული სწავლება გაგახსენებს თავს: „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“ (მ. 4, 22).

კაცთათვის სახილველ სასწაულს თავისი დრო აქვს. ასე ფიქრობდა წმ. აბოც, როდესაც აფხაზეთის მთავარს მიუგებდა: „განმიტევე მე, რათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობად ჩემი“ (ძეგლები 1964: 61), რადგან სანთელი სასანთლეზე უნდა დაიდგას, რომ გაანათოს ყოველი და მე რისთვის „დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტე-მან?“ (იქვე: 62) – ამის ჟამი მოიწია და მაშინ ითქვა ეს სიტყვე-ბი, თორემ უფრო ადრე წმ. აბო „ვერ განაცხადებდა თავსა თვესა სრულიად ქრისტეანედ“ (იქვე: 57).

ჩვენს შემთხვევაშიც აგიოგრაფი განმარტავს, რომ „ზეგარ-დამო მან განგებამან“ მაშინ გამოაბრნებინა „ბრწყინვალე იგი ვარსკულავი“, როცა გაიმარჯვა ამსოფლიურზე, წარმავალზე, უხილავ მტრებზე, როცა განსაკუთრებულ მორჩილებაში,

ღვანლსა და სათნობაში ცხოვრობდა: „ვითარ მრავალნი უამნი წარვლნა აღგზნებულსა მას საქმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა“ (ძეგლები 1964: 219). სახისმეტყველების კვალობაზე უაღრესად საინტერესოა ეს ფრაზა. დაყუდებული ცხოვრება, განდეგილობა აგოგრაფს შედარებული აქვს ანთებულ ბრძმედთან, მხურვალე ქურასთან, ნეტარმა შიომ მრავალი წელი გაატარა „აღგზნებულსა მას საქმილსა შინა“.

მართლმადიდებლური სწავლებით, განსაცდელი რომ არა, ადამიანი დაივიწყებდა ღმერთს. წმ. ანტონ დიდი ბრძანებს: „თუ არ გამოიცადა, ისე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში“ (ანტონ დიდი 1991: 304) ის დიდი სიწმინდე და ღვანლმოსილებითი ცხოვრება, რომელსაც მარტოდმყოფობა გულისხმობს, რა თქმა უნდა, მრავალი საცდურის დამარცხებასაც ნიშნავს. ამ ბრძოლებში კი გამოიწრობა და გამოიბრძმედება სული მოღვაწისა. როგორც მოციქული იტყვის: „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოილოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელ აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (იაკ. 1, 12).

ნეტარმა შიომაც გაუძლო მრავალი წელი „აღგზნებულსა მას საქმილსა შინა მარტოდმყოფობას“, გაუძლო მორჩილებით, სიმშვიდით, ღვთის იმედითა და სიყვარულით. მხოლოდ ამის შემდეგ ინება უზენაესმა „რათა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკვლავი“. ღირსი შიო მღვიმელის ხსენება 20-22 მაისს (ახ. სტილით) აღესრულება. მის ტროპარში ვკითხულობთ: „სიყრმითგან ფრთოვან-ქმნილმან სათნოებითა წარმართე ცხორება შენი, ღმერთშემოსილო, და სასწაულთა, ღვთისა მიერ მოცემულთა, იღვწიდ ქართველთა ერსა, ვინაცა მხედველი შენ შორის მადლითა სულიერთა, ვადიდებთ შემოქმედსა, ღირსო შიო, და ან ძვალნი შენი შიშველნი, მღვიმით ქვეშე ქვეყანით, ფრთემაღლობით აღმოიწვის სიმაღლედ, მეოხად მორწმუნეთა და კურნებად სულთა ჩვენთა“ (ჟამი 1899: 530-531).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით ერუშ-ნელი ეპისკოპოსის მიერ „უდაბნოს ვარსკვლავად“ სახელდებულის დიდება ჯავახეთის საეკლესიო კრებაზევე გაცხადდა.

წმ. შიოს ბრწყინვალება „კაცთა შორის“ რომ სახილველი იყოს, აგიოგრაფი მიმართავს კომპოზიციის გართულების ხერხს და თხზულებაში შემოიყვანს ახალ პერსონაჟს, „ქრისტეს მოყვარეს, საღმრთოთა წიგნთაგან სწავლულსა და ქრისტიანთა შვილს“ – ევაგრეს, რომელიც ამავე აგიოგრაფიული ქმნილების გმირად იქცევა.

წმ. ევაგრეს შემოსვლა თხზულებაში დაკავშირებულია ნადირობასთან, თანაც ამ ეპიზოდში თვალში საცემია პროვიდენციალური მოძღვრება აგიოგრაფისა, კერძოდ: ევაგრემ „განგებითა ღმრთისათა დღესა ერთსა ჰრეუა შკილთა თუსთა და მონათა: „განვიდეთ ნადირობად“... მარტოდ მდგომმა „მიშუებითა ღმრთისათა იხილა ტრედი იგი, რომელიც მიართუ-მიდა საზრდელსა შიოს“ (ძეგლები 1964: 219).

ქართული აგიოგრაფიის არც ერთი მთავარი მოქმედი გმირი ნადირობის გზით არ შემოდის ტექსტში. მართალია, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია მირიანის ნადირობა, მაგრამ ეს არ არის მისი პირველი გამოჩენა თხზულებაში. საერთოდ, აგიოგრაფიას არ აინტერესებს ნადირობა, ეს უფრო მოგვიანებით გახდება ერთობ გავრცელებული მოტივი სამიჯნურო – სარაინდო თუ კურტუაზიული რომანებისათვის. „ნადირობა განასახიერებს სულიერ გმირობას, სურვილების, ვნებების დათრგუნვასა და განადგურებას“ (გამსახურდია 1991: 319–320). თუკი ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ უფრო ლოგიკური ჩანს ნეტარი ევაგრეს შემოყვანა აგიოგრაფიულ ძეგლში შემდგომი ლიტერატურისთვის ასე დამახასიათებელი ტრადიციული ნადირობით. მეორე დღეს ევაგრე ისევ სანადიროდ წავიდა, ისევ „იხილა ტრედი იგი“, გაჲყვა მის კვალსა და წმ. შიოს შეხვდა, შეხვდა ნადირობის შემდეგ, ანუ, სიმბოლურად, ვნებებისაგან, სურვილებისაგან გათავისუფლებული, განმენდილი და სულიერი გმირობის მზაობით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელ ამ ეპიზოდში იგი არის გაკვირვებული, თითქოს ნათლით შემკრთალი, სხვაგვარ განცდებში მყოფი. აგიოგრაფი საგანგებოდ შენიშნავს: „ხოლო ევაგრე განიცდიდა მკრსედ“

(გაკვირვებით – სფ. მ.): „განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი, განკვრდა“ (ძეგლები 1964: 219). ევაგრეს ეს მდგომარეობა, გადასული დაბნეულობაში, კარგად ჩანს წმ. შიოსთან საუბრის დასაწყისშივე, როცა მტრედის კვალს მიჰყვა და „იხილა წმიდა იგი შიო მჯდომარე ქუაბსა შინა, დაუკვრდა და ჰრქუა: რა ხარ, ანუ ვინავ?“ (ძეგლები 1964: 219).

რა ხარ ან ვინ ხარ – ეს სიტყვები გამოძახილია იმ სასწაულისა, რომელიც ევაგრემ თავისი თვალით დაინახა, როგორ მიჰქონდა საზრდო მტრედს ბერისათვის. რა ხარ? – გრძნეული, ბოროტი ძალა, თუ ღვთიური, კეთილი არსება, – არის ქვეტექსტი ამ შეკითხვისა, ხოლო ნეტარი შიოს პასუხი: „კაცი ვარ უცხო“ – უმალ მოგვაგონებს ავთანდილის სიტყვებს: „კაცი ვარ, ადამიანი“, უფრო კი წმიდა ნინოს უცხოობას: „უფალო, დედაკაცი ვარ, უცხო“, ან „უცხოო და აქა შობილო“ (ძეგლები 1964: 116). წმ. შიოს უცხოობა უცხო ქვეყნიდან მის ჩამოსვლას, სხვა ქვეყნის შვილობას გულისხმობს.

საინტერესოა ისიც, რომ ნეტარი ევაგრე, როცა იხილავს უცხო, ქრისტეს მმოსავი და გამოქვაბულში დაყუდებული კაცის ცხოვრებას, მის განსაკუთრებულ მადლმოსილებასა და სათნოებას, იტყვის: „ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა წარვიდე სახედ ჩემდა“ (ძეგლები 1964: 219). მან დაინახა ცოცხალი სარწმუნოება, საქმით აღსრულებული რწმენა, ირწმუნა გზა ცხოვრებისა, რომელიც უზენაესთან მიიყვანდა, თავად უფალიც ხომ ასე მოგვიწოდებდა: „მე ვარ გზად, მე ვარ ჭეშმარიტებად და ცხორებად“ (ი. 14, 6). ამიტომ აღარ უნდოდა ნეტარ ევაგრეს უკან, წუთისოფლის ამაოებაში დაბრუნება, აღარ სურდა განშორებოდა სინმინდეს, მოკლებოდა მადლს – ნაკლულევანთა აღმავსებელს.

ნეტარი ევაგრესთვის მტრედის სახით მოვლენილი სასწაული საკმარისი აღმოჩნდა, უარი ეთქვა ყველაფერზე. სიმდიდიდრესა და ფუფუნებაზე, სახელსა და დიდებაზე, მაგრამ წმ. შიომ მას განუსაზღვრა: „შვილო, ვერ ძალ-გიც ტკრთვად სიფიცხლესა ამას უდაბნოდასასა, რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა“ (ძეგლები 1964: 219). მიუხედავად

იმისა, რომ ევაგრე სიკვდილისთვისაც კი მზადაა: „დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არავე დაგიტეო“, წმ. შიო მაინც დიდ სიფრთხილეს იჩენს და ღვთის ნებას მიანდობს გადაწყვეტილების მიღებას. ნეტარი ევაგრე უნდა გამოიცა-დოს: „უკან უნდა დაბრუნდეს, „საცხოვრებელი უნდა განაგოს“ და წამოვიდეს. საეკლესიო გამოცდილებით, ბერმონაზვნობის მსურველთ, ზოგჯერ, ალკვეცისას, უკანასკნელ წუთს უთქ-ვამთ უარი და ერში დაბრუნებულან. შესაძლო იყო, ვერ გაე-ძლო ცდუნებისათვის, ვერ დაეთმო სიმდიდრე-ფუფუნება და ევაგრე წმ. შიოსთან ალარც მიბრუნებულიყო, და, თუ მაინც ამ გზას დაადგებოდა, მას ერთი სასწაული კიდევ უნდა ენახა: წმ. შიოს კვერთხი, რომელიც მტკვარში უნდა ჩაედო, მისცემდა თუ არა გზას, ღვთის ნება დააბრუნებდა თუ არა სიწმინდის სამსახურში. თუ ასე არ მოხდებოდა, როგორც წმ. შიომ განუ-მარტა, „არა სთნავს ღმერთსა საქმე ეგე, რომელსა ჰლამი“ (ძე-გლები 1964: 220). მაშასადამე, ყველგან და ყველაფერში ნები-თა უფლისათა, პროვიდენციალური მოძღვრება ასე მძლავრად მსჭვალავს მთელ აგიოგრაფიულ ქმნილებას.

გარდა ამისა, ამ მონაკვეთში იკვეთება სამდლიანი ციკლი. I – დღე წადირობა; II დღე – წადირობა, შეხვედრა, უკან დაბ-რუნება; III – დღე კვერთხის შთაყოფით მტკვარმა „კუალადცა გზა-სცა“.

ღვთის ნებით, ევაგრეს საქმე გადაწყდა, იგი დარჩა წმ. შიოსთან. ამის შემდეგ აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ მან მოისურ-ვა ეკლესიის აშენება, ოღონდ აქაც იმავე მოტივით: „ჯერ-არს, რათა ეკლესია აღვაშენოთ, სადაცა გვპრძანოს ჩუენ უფალ-მან“. და, ბოლოს, „ადგილსა მას, სადა უჩუენა უფალმან, დასცა სათხარი მამამან ჩუენმან წმიდამან შიო და აღაშენეს ეკლესია სადიდებელად ღმრთისა“ (ძეგლები 1964: 220).

როგორც ჩანს, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეკლესია აშენდა, ამ ახლადაშენებულ ტაძარში წმ. შიომ „ევაგრეს შეპმოსა სახე მონაზონებისაა“. ქართულ აგიოგრაფიაში ნეტარი ევაგრე არის პირველი ადგილობრივი ქართველი ბერი, რომელიც ხელ-დასხმულ იქნა წმ. შიოსგან მათ მიერვე აგებულ ეკლესიაში.

„ცხორებაა შიოსი და ევაგრესი“ იმითაცაა საინტერესო, რომ იგი აგრძელებს ქართულ აგიოგრაფიაში კარგად გამოკვეთილ სათნოებას – ღვთისმოშიშობას. აგიოგრაფი საგანგებოდ შეგახსენებს: „მ ძმანო ჩემნო საყუარელნო! ესრეთ ადიდებს ღმერთი მოშიშთა მისთა, რომელ მხეცნიცა ველურნი, ვითარცა მონანი, დაემორჩილებიან“ (ძეგლები 1964: 221). კონტექსტის მიხედვით, ადვილია მიუხვდე ავტორს, რომ შიში ღვთისა არის დასაბამი ადამიანის სულიერი ძლიერებისა, სასწაულთმოქმედების ნიჭისა. ამ სათნოების წყალობით წუთისოფელში მარადისობას შეიგრძნობ, სულისა და ხორცის სიწმინდეს დაიმარხავ, რითაც ღვთაებრივ სიყვარულს ეზიარები. შიში უფლისა და სიყვარული განუყოფელია ერთმანეთისგან, უფრო ზუსტად, ერთი მეორეს გულისხმობს და განაპირობებს: „თუკი ძველ აღთქმაში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის მთავარი პრინციპია შიში, ახალ აღთქმაში იგი შეცვალა სიყვარულმა, რომელმაც მთლიანად კი არ განდევნა ღვთის მოშიშება, არამედ დაიმორჩილა“ (ბიჩუოვი 1990: 71).

„ადიდებს ღმერთი მოშიშთა მისთა“ – ერთგვარი აპოლოგიაა ღვთის შიშისა – უფლის დიდება ღვთის მოშიში ადამიანებით გაცხადდება. ღმერთი ასეთებს განადიდებს, ანუ მიანიჭებს განსაკუთრებულ მადლს, სასწაულთმოქმედების ნიჭს და თვალსაჩინო გახდება კაცთათვის მიუღწეველი, ამ შემთხვევაში, მხეცთა დამორჩილება. ქართველი აგიოგრაფი ამით არ კმაყოფილდება და გვთავაზობს ჭეშმარიტი ცხოვრების გზას. რა ვაკეთოთ და როგორ ვაკეთოთ, რომ ვცხონდეთ, რომ გადავრჩეთ? მისი პასუხი ასეთია: „სათნო ვეყვნეთ ღმერთსა მარხვითა, ლოცვითა, სიწმიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, უცხოთ მოყუარებითა, სიმდაბლითა, სიმშვდითა და ურთიერთას სიყუარულითა და ყოვლითავე საქმითა კეთილითა, რომელიცა მოგუატყუებს (მოასწავებს – სფ. მ.) კეთილთა საუკუნეთა და საშუალელთა ზეცისათა“ (ძეგლები 1964: 221).

ფაქტობრივად, ეს არის ევანგელიური სწავლება, ეს არის პირდაპირი გზა სასუფევლისაკენ. რთულია ცხოვრების ასეთი სახეობა, შინაგანი წინააღმდეგობებითა და ბრძოლებით

აღსავსე, მაგრამ – არა შეუძლებელი. აგიოგრაფირვა სათნოებას ჩამოთვლის და გვეუბნება, რომ ამით არ ამოიწურება, სხვაც ბევრია საკეთებელი, ოლონდ ეს „სხვა“ უნდა იყოს „ყოვლითავე საქმე კეთილი“.

ვერც მონასტრული ცხოვრება, ვერც ლოცვა და მარხვა, ვერც საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა... ვერ გადაარჩენს ადამიანს, თუ მას სიყვარული არ ექნა. როგორც მოციქული გვაფრთხილებს, აუცილებელია: „სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, ხოლო უფროს ამისა სიყუარული არს“ /I კორ, 13, 13/. ქართველი აგიოგრაფის მიერ მოცემული ცხონების გზაც სიყვარულით მთავრდება:

მარხვა;	უცხოთ მოყვარება;
ლოცვა;	სიმდაბლე;
სიწმინდე;	სიმშვიდე;
გლახაკო მოწყალება;	ურთიერთ სიყუარული.

მარხვა და ლოცვა ყველაზე ძლიერი საშუალებაა ბოროტებასთან ბრძოლაში. სახარება შეგვაგონებს, რომ ეშმაკი განიდევნება მარხვითა და ლოცვითა (მრ. 9, 29).

სიწმინდით ცხოვრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავის პირველ ქადაგებაში მაცხოვარი სოფლისა ცათა სასუფეველს ჰპირდება სიწმინდის მსახურთა და გულით განწმენდილებს: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მ. 5, 8).

„განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა“ (მ. 19, 21) – ეუბნება იესო ჭაბუკ მდიდარს; „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“ (მ. 5, 3), – ბრძანებს უფალი თავის პირველ ქადაგებაში. მოწყალება, თავისთავად, დიდი სიკეთეა, მაგრამ განსაკუთრებით შეინირება გლახაკთათვის, უპოვართათვის გაღებული.

„უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე“ (მ. 25, 43) – გაისმის გაფრთხილებად კაცთა მოდგმისთვის მაცხოვრის სიტყვები. სწორედ ამის გამოძახილია, როცა აგიოგრაფი ცხონების გზაზე უცხოთ მოყვარებას აუცილებლად მიიჩნევს.

სიმდაბლე და სიმშვიდე ერთმანეთს აუცილებლობით

გულისხმობს. იესო გვეუბნება: „მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა“ (მ. 11, 29). მდაბალნი ამაღლდებიან უფლის წყალობით „აღამაღლნა მდაბალნი“ (ლ. 1, 52). „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანად“ (მ. 5,5). ე.ი. ზეცა, სულიერი ქვეყანა, და, როგორც წმ. თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს, მშვიდნი იმათ კი არ ეწოდებათ, რომელნიც არასოდეს მრისხანებენ, არამედ მათ, რომელნიც კი ბრაზდებიან, მაგრამ თავს იკავებენ“ (ბულგარელი 1992: 46).

დასასრულ სიყვარული, რომელიც არის თავად ღმერთი და მისი უმთავრესი შეგონება: „ამას გამცნებ თქუენ, რათა იყუარებოდით ურთიერთას“ (ი. 15, 17). ხოლო მოციქული ასე განმარტავს: „საყუარებლნო, ვიყუარებოდეთ ურთიერთს, რამე-თუ სიყუარული ღმრთისაგან არს... რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (ი. ინ. 4, 7–8).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი აგიოგრაფის მიერ აქ წარმოდგენილი ცხონების გზა, ძირითადად, სახარებისულ სწავლებას ეფუძნება, ქრისტეს შეგონებებითაა ნასაზრდოები და გვაჩვენებს ამქვეყნიურ წარმავლობაში ჭეშმარიტებასა და მარადიულ სიცოცხლეს.

ამის შემდეგ ვეცნობით წმ. იოანე ზედაზნელის ერთ-ერთ მონაფეთაგანს, განთქმულს „ყოვლითავე სათნოებითა“, სამოთხის ნერგს, მშვენიერ ყვავილს, „ყოვლისა კეთილისა ძირს“ – ისეს, რომელიც, შემკული ღვთაებრივი მადლითა და სიწმინდით, მღვდელმთავრად გამოარჩია კათალიკოსმა და წილკინის ეპისკოპოსად აკურთხა, თუმცა თავად ნეტარ ისეს არ სდომია: „არა თავს—იდებდა საქმესა მას და შევრდომით ითხ-ოვდა განტევებასა“ (ძეგლები 1964: 222). სასულიერო იერარ-ქიის ეს საფეხური, ეპისკოპოსობა, არ ისურვა არც წმ. გრიგოლ ხანძთელმა. მან იგი ხორციელ დიდებად მიიჩნია (იქვე: 252). ისე წილკინელი, როგორც ჩანს, უარს ამბობდა უფრო მეტად იმ დიდი პასუხისმგებლობისა და ტვირთის სიმძიმის გამო, რას-აც ეს სასულიერო წოდება გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ისეს არ სურდა ეპისკოპოსობა, კათალიკოსმა „უნებლი-

ეთ დაასხა წელი და წარგზავნა საყდარსა ღმრთისა დედისასა“ (იქვე: 222). ამას ტექსტში მოსდევს ვრცელი ლოცვა, რომელიც ეკუთვნის აგიოგრაფს და რომელშიც ახსნილია მიზეზი იმისა, თუ რატომ იკურთხა ეპისკოპოსად ნეტარი ისე. ეს ლოცვა საინტერესოა იმითაც, რომ ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის წინაშეა აღვლენილ:

„შ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიამ, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისად და კურთხეულ არს სახელი წმიდად დიდებისა მისისად“ (ძეგლები 1964: 222). ამ მიმართვაში კარგად იყითხება წმ. ლუკას სახარების გავლენა, რომლის მიხედვითაც ელისაბედი ასე ეტყვის მარიამს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისად“ (ლ. 1, 42).

კურთხეულია წმ. მარიამის მუცლის ნაყოფი და კურთხეულია მისი დიდების წმიდა სახელი, ანუ კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი. ეს ცნობილი ასამაღლებელია, რომელიც ხშირად გაისმის საღვთო მსახურებისას. აგიოგრაფი ამ ლოცვაში განვიმარტავს, რატომ არის „კურთხეული“: „რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენით და ან შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებთ და შენ მიერ უხრწნელებად და ცხორებად საუკუნოდ მოვიგეთ“ (ძეგლები 1964: 222). ამ სიტყვებში ახსნილია ხარების დღესასწაულის არსი, რომ ამ დღეს ეცნო კაცთა მოდგმას ცათა სასუფევლის მოახლოება და იმედი ხსნისა. ღვთისმშობელმა ევას ცოდვა გამოისყიდა, მან იტვირთა ცათაგან დაუტევნელი, რომლის შობითაც იმედი ჩამოდგა დედამინაზე, კაცობრიობას მესია, მხსნელი მოევლინა, რომელმაც გამოისყიდა ჩვენი ცოდვები, „რათა ყოველსა, რომელსა ჰრნმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებად საუკუნო“ (ინ. 3, 16).

როგორც ტექსტიდან ვიგებთ, კათალიკოსმა ღვთისმშობლის ეკლესიაში გააგზავნა ეპისკოპოსად ხელდასხმული ნეტარი ისე. ამიტომ, ლოცვის დასასრულ, აგიოგრაფი ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „შუენის, რათა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებული კაცნი იყუნენ ზედა-მდგომელად ტაძრისა შენისა და ამისთვისცა გამორჩეულ იქმნა

ღირსი ესე წმიდაა ისე“ (ძეგლები 1964: 222).

აგიოგრაფის თქმით, მღვდელმთავრობის ღირსი წმიდანი და სულით განათლებული მსახურნი არიან. სწორედ ასეთია ისე – განთქმული სათნოებით, სამოთხის ნერგი, მშვენიერი ყვავილი და ყოველგვარი სიკეთის ძირი.

მაშასადამე, აგიოგრაფის ამ ლოცვაში განდიდებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ახსნილია ხარებისა და უფლის შობის საიდუმლო, განმარტებულია ის, თუ რატომ გამოარჩია კათალიკოსმა ეპისკოპოსობის ღირსად ნეტარი ისე.

ერთობ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისე წილკნელი ეპისკოპოსობის პატივის აღსრულებას ქადაგებით იწყებს: „იწყო სწავლად მათდა სწავლითა სიმშვდისათა“ (ძეგლები 1964: 222). კერპიტმსახურებაში დამონებულ „ჩრდილო კერძო“ მცხოვრებთ იგი მოაქცევდა სასწაულთმოქმედებით: სწეულთ განკურნებდა, „ეშმაკთ ბრძანებით განასხმიდა“, ეს არის მოციქულთათვის უფლის მიერ ბოძებული ნიჭი: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ“, „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ“, „სწეულთა ზედა წელსა დასდებდენ და განცოცხლდებოდიან“ (მრ. 16, 15-18).

ასე გაცხადდა წმ. ისე წილკნელის მეშვეობით ღვთის დიდება, კაცთათვის გამოცხადდა საქმენი კეთილნი და, საბოლოოდ, განმტკიცდა ახალი ნერგი – ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულნი ხილული სასწაულებით იმოსებოდნენ და ადიდებდნენ ცათა და ქვეყნის შემოქმედს. ეს უკვე იყო მოციქულებრივი მისის აღსრულება.

ტექსტის მიხედვით, წმ. ისე ყოველთვის ლოცულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე. სხვათა შორის, წმ. იოანე ზედაზნელი ეპისკოპოსის უპირველეს ღვანლად ლოცვას თვლის: „პირველად ეპისკოპოზისად ჯერ – არს ლოცვაა“ (ძეგლები 1964: 223) – ეუბნება იგი ნეტარ შიოს. ისე წილკნელი, როგორც ღვთისმშობლის ტაძარში კათალიკოსისაგან წარგზავნილი ეპისკოპოსი, განსაკუთრებულ მფარველობას გრძნობს ზეციური დედისგან და თავის ერთ–ერთ სასწაულსაც, წმ. იოანეს თხოვნით, სწორედ ღვთისმშობლის შემწეობით აღასრულებს – წყალს

დაიმორჩილებს. ჩვენი აზრით, „წმ.შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ აბსოლუტურად გამორჩეულია ქართულ აგიოგრაფიაში, რადგან ასეთი დოზით არცერთ ძეგლში არ გვხვდება ყოვლადწმიდა ქალწულის წინაშე აღვლენილი ლოცვები და მისი შეწევნით აღსრულებული საქმენი.

თბზულება განსაკუთრებულია იმითაც, რომ საეკლესიო იერარქიის მორჩილების უნიკალურ სურათს გვთავაზობს: წმ. შიო სთხოვს წმ. იოანე ზედაზნელს, „რაღთა უბრძანოს მას დაყუდებით ცხორებაა“ (ძეგლები 1964: 224). წმ. იოანე კი კათალიკოსისკენ მიუთითებს: „წარვედ და მოაწსენე პირველად მამამთავარსა და, უკუეთუ ბრძანოს შენი ესრეთ ცხორებაა, უწყოდე, რამეთუ არს ნებაა ღმრთისაა“ (იქვე: 224).

ეს არის ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ საეკლესიო იერარქიის მორჩილება უმთავრესია ჭეშმარიტების გზაზე მდგომი ადამიანისათვის, რომ ყველა ვალდებულია დაიცვას ეს წესი და აღასრულოს მოძღვრის ლოცვა-კურთხევა. თავად წმ. იოანე ზედაზნელი პავლე მოციქულის სიტყვებით განუმარტავს ნეტარ შიოს: „ერჩდით წინამძღვართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღვძებენ სულთა თქუენთათვს“ (ძეგლები 1964: 224-225).

მერე წმ. შიო ასე მიმართავს ევაგრეს, როდესაც თავად მღვიმეში ჯდომას გადაწყვეტს და მისივე მითითებით მოწაფები ევაგრეს გამოარჩევენ თავიანთი ცხოვრების წინამძღოლად: „უკუეთუ მე დამემორჩილო, მრავალი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და დიდებაა საუკუნოდ დაიმკვდრო და უკუეთუ ურჩ მექმნე, ურჩთა თანა დაისაჯო“ (ძეგლები 1964: 226).

წმ. მამები ფსალმუნებს იარაღს უწოდებენ, ლოცვას – კედელს, უბინო ცრემლებს – განპანას, ხოლო ნეტარ მორჩილებას – აღმსარებლობას, რომლის გარეშე ადამიანი უფალს ვერ იხილავს (სინელი 1986: 35).

წმ. იოანე ზედაზნელი ნეტარ შიოს ასკეტური ცხოვრების კანონს ასწავლის: „რაღთა გონებადცა ჭორცთავე თანა შეაყენოს და ყოველი ზრუნვად ქუეყნიერი განაგდოს, ვითარცა მკუდარმან, დაფლულმან და დაფარულმან“.

ასეთია წმ. იოანე ზედაზნელის შეფასება ასკეტური ცხოვ-

რებისა, უმთავრესი რამ, რომლის გარეშე ვერ მიიღწევა ცათა სასუფეველი. ამ სწავლაში საინტერესოა ის, რომ, ხორცის სიწმიდესთან ერთად, ბერი მოითხოვს გონების განწმენდასაც. შესაძლოა, სხეული მოაუძლურო, მკაცრად იმარხულო, იშრომო, ილოცო... მაგრამ, ამასთანავე, თუ ზრახვანი, ფიქრები, გონება არ განიჩინდა, მადლი დაიკარგება, ჰენოზისი ვერ მოხდება. განდეგილობა თვითუარყოფაა, ამასოფლიურზე უარის თქმაა. სახარება ასე გვაუწყებს: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და ალიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (მ. 16, 24). როგორც წმ. ანტონ დიდი ასწავლიდა მასთან რჩევისთვის მისულ ძმებს (წმ. ათანასე ალექსანდრიელის გადმოცემით): „მოიძულეთ ქვეყანა ესე და ყოველივე, რაც კი არის მასში, რათა მხოლოდ ღმერთისათვის იცხოვროთ... მოიძაგეთ სხეული, უგულებელჲყავით მისი მოთხოვნები, რათა სული იხსნათ“ (ანტონ დიდი 1991: 283–284).

დაყუდებითი ცხოვრება, განდეგილობა დიდი ღვაწლია, ის სულიერობისა და რწმენის სრულიად სხვა სიმაღლეს მოითხოვს. განმარტოებული ცხოვრება, უპირველესად, მოთმინებით მიიღწევა. აკი წმ. ოთანე ზედაზნელმაც ასე დალოცა ასკეტური ცხოვრების მაძიებელი ბერი: „მოგემადლენ ღმრთისა მიერ სათხოველი შენი და მოგეცინ მოთმინებად“ (ძეგლები 1964: 224). ამასვე ითხოვდა ნეტარი მამა ჩვენ მიერ უკვე განხილულ პირველ ლოცვაშიც.

ეს ღვაწლი იმდენად აუცილებელია მოსაგრისათვის, რომ, თუკი იგი არა აქვს შეძენილი, მთელი მისი მცდელობა ამაოა ღვთის წინაშე (ანტონ დიდი 1991: 304). ღვთის ნების ჭეშმარიტი სიმდაბლე და მორჩილება ღვთაებრივ საფარველს მოუპოვებს ადამიანს და დაიცავს მას სულიერი დაცემისაგან. საბოლოო მიზანი ღვაწლისა და მწვერვალი სისრულისა, მონაზონის სრულყოფილებისა არის „ღმერთის შესახლება ადამიანში, ანუ ცხოვრება ღვთის მიერ“ (იქვე: 310), მაგრამ ამის მიღწევა მოითხოვს მთელ ადამიანურ შესაძლებლობებს, სრულ ძალისხმევას. წმ. შიოს გააზრებული და გაცნობიერებული აქვს სირთულეც და სიმძიმეც ასეთი ცხოვრებისა და, სწორედ ამიტომ, „წარმოვიდა და ვითარცა

შევიდა კათოლიკე ეკლესიად, თაყუანის—სცა წმიდასა სუეტსა და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ყოს დაყუდებით მსახურებასა მისსა“ (ძეგლები 1964: 225).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმ. შიო ცრემლით იწყებს დაყუდებითს ცხოვრებას. ეს არის სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენა იმ დიდი ღვანლისადმი, რომელ-საც ასკეტური ცხოვრება ჰქვია და, ამასთანავე, თითქოს პირდაპირი აღსრულებაა წმ. ანტონ დიდის შეგონებისა: „ვისაც სურს ქველის საქმენი შეიძინოს და სათხოებას მიაღწიოს, დაე, ცრემლითა და მწუხარებით შეუდგეს ღვანლს“ (ანტონ დიდი 1991: 305).

თხზულებაში ვხვდებით ავტორის გულმხურვალე შეძახილს: „ეპა დიდებული საკურველი“ (ძეგლები 1964: 224), რომელიც სასწაულთა ციკლს მოსდევს. თავისთავად, ამ სასწაულებმა „მკედრთა მცხეთისათა და გარემო სოფლებისათა“ განუმტკიცეს რწმენა და „ყოველი ადიდებდეს ღმერთსა“.

ქართველი აგიოგრაფი აღმოჩნდა ვერ ფარავს იმ სასწაულთმოქმედების შემდეგ, რომლებიც წმ. იოანემ, შიომ და ისემ აღასრულეს. „კაცთა მიწისაგანთა“ შესძლებიათ დაიმორჩილონ მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი, თურმე რწმენით ყველაფერი შესაძლებელია! როგორც მაცხოვარი ეუბნება მოციქულებს: „გაქუნდინ სარწმუნოებად ღმრთისად. ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ, რომელმან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუარ და შთავარდი ზღუად! და არა შეორგულდეს გულსა თვისსა, არამედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელი თქუას, იქმნეს და იყოს ეგრე“. (მრ. 11, 23). ამიტომ ამ ეპიზოდში მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ღვთაებრივ ძალას, რომელსაც განდეგილი წმინდა ცხოვრებისა და ლოცვის მეოხებით ეზიარებიან, ემორჩილება მატერიალური სამყარო, ამ სამყაროს შემადგენელი ოთხივე ელემენტი – ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა“ (თვარაძე 2001: 64). ამასთანავე, ქვეტექსტი იმასაც გვეუბნება, თუ როგორი შეუორგულებელი რწმენა ჰქონდათ ასურელ მამებს, როგორი მტკიცე და შეუვალი იყო მათი სარწმუნოება და სიყვარული უფლისა.

ნეტარი შიო, წმ. იოანე ზედაზნელის დავალებით, ლოცვა-

კურთხევის მისაღებად, ნებართვის ასაღებად მამამთავართან მიდის. როდესაც მისი გადაწყვეტილება შეიტყო, მან „სულთ-ითქუნა და ტიროდა“. რაზე მიგვანიშნებს აგიოგრაფი, როცა გაუწყებს, რომ ნეტარი მამა ცრემლით ევედრებოდა ღმერთს, ღირსი გაეხადა დაყუდებით მსახურებისათვის, რომ კათალიკოსი, როდესაც მოისმენს ბერის გადაწყვეტილებას, მის სურვილს, ამოიოხრავს და ტიროლს დაიწყებს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს იმასთან, რომ მათ კარგად ესმით დაყუდებითი ცხოვრების სირთულე, სიმკაცრე და ეს ცრემლები იქნებ მიუწვდომის წვდომისკენ სწრაფვის სიხარულის გამომხატველიც იყოს!

კათალიკოსის პასუხში განდეგილური ცხოვრება კეთილ გზადაა შეფასებული: „წარემართე, მამაო, კეთილსა მაგას გზასა და ყავნ უფალმან მღვები იგი კიბედ, აღმყვანებელად შენდა ზეცად მიმართ, და ბნელი იგი – მიმყვანებელ ნათელსა მას დაუღამებელსა! და უამისა ამის ჭირი გეყავნ საუკუნოდ განსასუენებელ... და დაუთმე ბრძოლასა ეშმაკთასა, რამეთუ მრავალ-ღონე არს ბრძოლად მათი (ძეგლები 1964: 225)“. გარდა ამისა, აქ შეპირისპირებითი მეთოდით წარმოდგენილია მსახურების ხარისხი: მღვიმე – ზეცად ამყვანებელი კიბე; ბნელი – ნათელი; უამი – საუკუნო; დასასრულ კი მინიშნება-გაფრთხილებაა იმაზე, რომ დიდი იქნება შინაგანი წინააღმდეგობა, ბრძოლა უხილავ მტერთან, რომელსაც უნდა გაუძლო, რომელიც უნდა აიტანო და მოითმინო.

კათალიკოსისაგან დალოცვილი ბერი დაბრუნდა თავის სამყოფლოში, მოუწოდა ძმობის წევრებს, გააცნო გადაწყვეტილება დაყუდებული ცხოვრების შესახებ და რჩევა-დარიგებით მიმართა მათ: „განეკრძალენით საფრთხეთა ეშმაკისათა და მოიგეთ უმეტეს ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილებად და სიმშვდე, რომელი უჩინო-ჰელის რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ ღმერთი მოიგების, და მარხვად, რომელი წარიოტებს ბილნებასა, და ლოცვასა შინა სინმიდე გონებისა, რომელი განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა, და დაუცხრომელ ტირილი, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნოსა და მოიპოვეთ სიგლახაკე, რათა საუკუნოდ სიმდი-

დრე ჰპოოთ; მოიძულენით საქმენი სოფლისანი, იწურთიდით წერილთა, რათა მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი; იქმნენით წმიდა წორცთა... მიეყრდენით მკერდსა უფლისასა” (ძეგლები 1964: 225-226), ეს არის, ფაქტობრივად, სათნოებითი სწავლანი წმიდისა მამისა შიოსი, მსგავსად წმ. იოანე ზედაზნელისა, რომელმაც მარტოდყოფობის მსახურების წინ შეერიბა თავისი მოწაფეები და ცხოვრების წესი განუსაზღვრა მათ (იქვე: 202-204).

წმ. შიოს „სწავლანი“ ერთგვარი სახელმძღვანელოა იმათ-თვის, რომლებსაც სიწმინდით ცხოვრება გადაუწყვეტიათ, უფლის გზაზე შემდგარან და სოფელი ესე დაუტევებიათ.

ყოველი ადამიანისა და, განსაკუთრებით კი ლვთის მსახურებაში მყოფის, ცხოვრება აღსავსეა საცდურით. ბოროტი ცდილობს შევიდეს კეთილში, დაანგრიოს სიწმინდე, შერყვნას, წაბილწოს წმიდათაწმიდა. ბრძოლა ხილულ თუ უხილავ მტერთან აწრთობს ადამიანს. როგორც წმ. ანტონი განმარტავს: „თუ არ გამოიცადა და საცოტურის წინაშე არ დადგა, ისე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში“ (ანტონ დიდი 1991: 304). დიდია ძალა ცდუნებისა და, უპირველესად, ამას ურჩევს წმ. შიოს მოწაფეებს, „განეკრძალებით საფრჩეთა ეშმაკისათა“. წმ. მამა უმთავრეს სათნოებებს ჩამოუთვლის მონასტერში მცხოვრებთ. ეს ჩამონათვალი საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ წარმოდგენილია ის საშუალებები, რომლებითაც შეიძლება ეპრძოლო და დაამარცხო ეშმაკი, არამედ ეს არის ერთგვარი ეგზეგეტიკაც, ადვენტუალური განმარტება იმისა, თუ რატომ უნდა მივისწრაფვოდეთ და რატომ უნდა მოვიპოვოთ სიმდაბლე, მორჩილება, სიმშვიდე, სიყვარული, მარხვა, სიწმინდე გონება, ტირილი და სიგლახაკე, რატომ უნდა მოვიძულოთ სოფელი, რატომ უნდა ვიკითხოთ საღვთო წერილი, რატომ უნდა დავიცვათ ხორცის სიწმინდე და ა.შ.

განშორება ამა სოფლისაგან და უარის თქმა ერში ცხოვრებაზე ერთეულთა ხვედრია. ამიტომ მათ სხვა მადლი ეძლევათ და პირადი ღვანწლიც, ზეგარდამო შეწევნითა და პიროვნული ძალისხმევით, ჭეშმარიტ სიმდაბლესა და მორჩილებაში გამოვ-

ლინდება. ასკეტური ცხოვრება, უპირველესად, ცოდვასთან ბრძოლის ღვანლია, იქნება ეს ბრძოლა სხვადასხვა მანკიერ სურვილებთან, გემოთმოყვარეობასთან, მრისხანებასთან, განკითხვასთან, ამპარტავნობასთან და, რა თქმა უნდა, უმ-თავრესთან – გულის ზრახვებთან და ფიქრებთან. შემთხვევითი არაა, რომ წმ. იოანე ზედზნელი ასე ასწავლიდა ნეტარ შიოს: „გონებადცა წორცთავე თანა შეაყენოს“ და თავად წმ. შიოც თავის „სწავლანში“ საგანგებო ყურადღებას უთმობს გონების სიწმიდესა და სიფრთხილეს: მოიგეთ „ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისად“ და „ინურთიდით წერილთა, რათა მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი“. სხვათა შორის, წმ. იოანე ზედაზნელის ე.წ. დატირებაში მონაფეხები გულის ტკივილს გამოთქვამენ და მწვავედ განიცდიან იმას, რომ ნეტარი ბერის გარდაცვალების შემდეგ „ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა. ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთაა“ (ძეგლები 1964: 228). ამდენად მნიშვნელოვანია გონების სიწმინდე ბერმონაზენური ცხოვრების მაძიებელთათვის. შესაძლოა, ცოდვას მოერიდო, არ ჩაიდინო, საქმით არ აღასრულო, მაგრამ, თუ გონებიდან არ გამოდევნე, მაინც შესცოდავ. თავად მაცხოვარმა ცოდვის გაფიქრებაც კი შეცოდებად განგვისაზღვრა: „გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყყ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისა“ (მ. 5, 27–28).

„ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისად“ გულისხმობს იმას, რომ გაფანტულნი არ ვიდგეთ ღვთის წინაშე, გონებაგანბნევა ლოცვისას ცოდვად ითვლება. ლოცვის დროს გონების სიწმინდე, წმ. შიოს განმარტებით, განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა; რაც შეეხება წმიდა წერილის კითხვას, იგი გონების სიფრიზეს მოგვმადლებს. „მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი“ – ეს უმთავრესია ნეტარი შიოსთვის.

ერთხელ, წმ. ანტონ დიდთან იმის გასარკვევად შეკრებილან, თუ რომელი სათნოებაა ყველაზე აღმატებული. ზოგი მარხვას აქებდა, ზოგი – მღვიძარებას, სხვანი – სიგლახაკეს, მესამენი მოწყალების ნიჭს აძლევდნენ უპირატესობას... ნეტარ ანტონს

კი უთქვამს: „განსჯისა და კეთილგონიერების სათნოება... ასწავლის მოსაგრეს ყველაფერ ჯეროვანსა და სწორი გზით სვლისათვის განამზადებს ისე, რომ ღმერთისკენ მიმავალმა არსად გადაუხვიოს ამ გზიდან... განსჯა და კეთილგონიერება თვალნია სულისა, მისი კანდელი“ (ანტონ დიდი 1991: 288).

წმ. შიო მლევიმელის „სწავლანი“ სამეუფო გზით სიარულს ქადაგებს და საგანგებოდ განადიდებს იმ სათნოებებს, რომლების შეგროვება, შეძენა აუცილებელია ასკეტური ღვაწლის წარმატებული დასრულებისათვის.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ასურელმა მამებმა შექმნეს და დაგვიტოვეს ასკეტური ცხოვრების სამოღვაწეო პროგრამა. ასეთია წმ. იოანე ზედაზნელის „სწავლანი“ და წმ. შიო მლევიმელის დამოძლვრა-დარიგებანი. ერთიცა და მეორეც სამეუფეო ცხოვრების გზისკენ გვიბიძგებს და გვასწავლის ყველაზე მთავარს – ვიცხოვროთ ისე, რომ ვცხონდეთ!

დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია მთლიანობაში აღვადგინოთ და წარმოვადგინოთ ასურელ მამათა სათნოებითი სწავლანი:

1. ნურა გიყუარნ უფროხს ღმრთისა;
2. ვეცხლის–მოყუარებად და სიმდიდრე განბასრეთ;
3. შუებასა და უძლებებასა, ჭამადსა ნუ თავს იდებთ;
4. მოიძულე იგი [ღვინო];
5. ეკრძალე ზრახვასა წორცთასა;
6. მიუდრეკელად იპყარ თავი შენი ყოლადვე, ნუ მიერჩდები მერმესა მას და ბოროტსა განზრახვასა;
7. წარვედით და განამტკიცდებდით ქრისტეს სამწყსოთა;
8. დაიმარხეთ სჯული იგი მარხვისად და განეყენეთ შურსა³;
9. გონებაცა წორცთავე თანა შეაყენეთ;
10. ყოველი ზრუნვად ქუეყნიერი განაგდეთ;
11. განეკრძალენით საფრკეთა ეშმაკისათა;
12. მოიგეთ უმეტეს ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილებად და სიმშვდე;

3 სათნოებითი სწავლანის 1-8 მუხლი (პირობითად) გამოკრებილია „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებიდან“, ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 203-207.

13. მოიგეთ სიყუარული;
14. მოიგეთ მარხუა და ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისაა;
15. მოიგეთ დაუცხრომელი ტირილი;
16. მოიპოვეთ სიგლახაკე;
17. მოიძულენით საქმენი სოფლისანი;
18. იწურთიდით წერილთა;
19. იქმნენით წმიდა წორცითა;
20. მიეყრდენით მკერდსა უფლისასა⁴.

ეს არის ათცამეტი ასურელი მამის სამოღვაწეო პროგრამა, რომელსაც დაემატება ის ეგზიგეტიკური ნაწილი, რომელიც ამ ტექსტებში გვხვდება. საბოლოოდ, ჩვენ მივიღებთ წმ. მამა ანტონ დიდის მიერ განდევილთათვის შედგენილი წესდებისმაგვარს, რომელიც წმ. იოანე ზედაზნელმა და წმ. შიო მღვიმელმა თავიანთ მოწაფეებს დაუტოვეს. ასურელ მამათა ცხოვრება–მოღვაწეობა ახალი ეტაპის დასაწყისია. ეს სიახლე არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში გამოიხატება, არამედ განსაზღვრავს, რომ, როგორც წმ. იოანე ზედაზნელი იტყვის, მხურვალე გულითა და სიწმინდით უნდა ვემსახუროთ უზენაესს, სიწმინდით და სიმართლით უნდა ვიქცეოდეთ. ეს შეგონებანი, მართალია, შექმნილია ბერმონაზვნური ცხოვრების მაძიებელთათვის, მაგრამ იგი, როგორც სულის სასარგებლო სწავლანი, დაეხმარება ყველას, ვისაც მიზნადდაუსახავს სულიერი სრულყოფილება. სიცოცხლე სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდაა ღვთის წინაშე (კაზანდაკასი 1997: 56) და ამ მისიის აღსრულება გაგვიჭირდება, თუ არ ვიზრუნებთ იმაზე, რაც უკვდავია ჩვენში, – სულზე. მაღალ სულიერობას ყოველთვის განსაზღვრავდა რელიგიური ცხოვრება, რადგან ეკლესიურობა არის ის გზა, რომელიც მოწოდებულია გადაარჩინოს სოფლის ამაოებაში ჩაძირული სული კაცისა და აზიაროს მარადისობას.

ქართველი აგიოგრაფი განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და მოწინებით არის განწყობილი წმ. შიოს მიმართ და საგანგებო

⁵ სათნოებითი სწავლანის 9-20 მუხლი (პირობითად) გამოკრებილია „წმ. შიო-სა და ევაგრეს ცხოვრებიდან“, ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 225-226.

შესხმით მიმართავს მას:

ნეტარი

ლმრთივ განბრძნობილი

მამად ჩუენი

ქრისტეს მოსავი

ბრწყინვალე ვარსკვლავი

წმიდად

მკედრი უდაბნოვად

ყუავილი შუენიერი

ნერგი უკუდავებისად

გამომლებელი ნაყოფისა კეთილისად

ხოლო ამის შემდეგ დასძენს : „ზ ნეტარო და ყოვლად სანატრელო, ყოვლად მადლით მოხსენებულო, ვითარ ვაქებდე სიმწენეთა შენთა და სიბრძნეთა, რომელი ენად იტყოდის, რამეთუ უფროს ყოველთა ბრძნენთა უბრძენეს იქმენ“ (ძეგლები 1964: 226-227), ამიტომ ჩამონათვალი ბერის ღირსებათა და სულიერ სათნოებათა იზრდება:

ნეტარი

ყოვლად სანატრელი

ყოვლად მადლით მოხსენებული

ბრძნენთა უბრძენესი

ასეთ ფონზე ამავე თხზულებაში ვხედავთ ევაგრეს, როგორც წმიდას, ნეტარს, ყოვლად ქებულს, მშვიდსა და მდაბალს გულითა. უფრო გულუხვია აგიოგრაფი ისეს მიმართ, რომელიც არის: წმიდა, ნეტარი, მამა მფლობელი, მორჩილი, სავსე სულითა, წმიდითა, განთქმული ყოვლითავე სათნოებით, ხოლო ბოლო სამი ეპითეტი თითქმის იმეორებს წმ. შიოზე თქმულს:

წმ. შიო

ყვავილი შუენიერი

ნერგი უკუდავებისად

გამომლებელი ნაყოფისა

კეთილისად

წმ. ისე

ყვავილი შუენიერი

ნერგი სამოთხისად

ყოვლისა კეთილისა

თხზულების ავტორის მიერ წმ. შიო შედარებულია წმ.

დანიელ წინასწარმეტყველთან: „რამეთუ დანიელ უნებლია ათ შთააგდეს მღვმესა მას შინა ლომთასა და ლმრთისაგან სამარადისო პატივი მიიღო, ხოლო შენ ნეფსით თვისით შთაპწედ მღვმესა პნელსა პრძოლად უხილავისა მის მტერისა“ (ძეგლები 1964: 227). სპარსეთის მეფის, დარიოსის, მეფობისას მოშურნებისაგან დასმენილი დანიელი ლომების ბუნაგში გამოამწყვდიეს, მაგრამ მხეცები არც გაეკარნენ უფლის რჩეულს (წმინდანთა ცხოვრება II 2003: 512). დანიელის რწმენამ ლომები დაიმორჩილა, წმ. შიოს კი პრძოლა უფრო საშიშ ძალებთან – უხილავ მტერთან ელოდა „რომელიცა დაეც და შეჰმუსრე ქუეშე ფერწთა შენთა“ მოთმინებით, რწმენით და სიყვარულით სძლია ნეტარმა შიომ ყველა განსაცდელს. მართალია, ხორცითა იტანჯებოდა, ხოლო სულითა განათლდებოდა – დასხენს აგიოგრაფი. აქვე შემოდის თხზულებაში ნათლის ესთეტიკაც. დაბნელებული მღვიმე როგორ იქცევა სულიერი სიმშვიდის ნათელ სავანედ: „პნელსა მათ შინა მღვმესა ვითარცა ნათელსა და განსუენებასა შინა იშუებდა“ (ძეგლები 1964: 227).

კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ყურადსალები ადგილის გამო მოვიყვანთ ციტატას ტექსტიდან. წმ. იოანე ზედაზნელი იგრძნობს მოახლოებულ სიკვდილს, მოუწოდებს მოწაფეებს და ეტყვის: „ჟამი აღსასრულისა ჩემისა მოწევნულ არს და მივალ უფლისა ჩემისა და ფრიად მეშინის ჰაერის- მცველთაგან, რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულსა, რათა არა აღვიდეს სასუფეველად და ამას თქუნცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო საყუარელნო და აწვე განაკრძალენით თავნი თქუნნი და ჩემთვა ილოცვევდით“ (ძეგლები 1964: 227).

ამ ეპიზოდის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს ლ. რუხაძე. მისი აზრით, „მოძღვარი ცდილობს, რომ თავისი სულიერი შვილები სიცოცხლეშივე განაწყოს ჰაერის მცველთა საშინელების მომლოდინედ, რათა აქედანვე სულის მღვიძარებითა და სათნოებით შედარებით გაუადვილდეთ ბოროტ ანგელოზთა ძლევა“ (რუხაძე 2003: 180). მეცნიერის დასკვნით, „ჰაერის მცველნი „უდარესნი ეშმაკნი არიან, რომლებსაც ძველ ქართულში „მეზვერეები“ ანუ „მებაზეებიც“ ეწოდებათ (იქვე: 178).

წმ. იოანე ზედაზნელის სიტყვები „ფრიად მეშინის ჰაერის მცველთაგან“ მრავალმხრივ არის ყურადსაღები. ჯერ ერთი, აქ საუბარია იმ საეკლესიო გარდამოცემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ანგელოზები გამოცდიან ადამიანის სულს. თუკი უბინო სული სხეულთან განშორებისას შიშს განიცდის, როგორც წმ. იოანე ზედაზნელისა, მით უფრო მძიმე იქნება ეს ცოდვილისათვის. წმინდანთა სულებს თავს ესხმიან დემონები და ბრალს დებენ ცოდვებში. „სული დემონების მიერ საგულდაგულო შემონმებას გადის. ამ სულის დაუფლებისათვის კეთილ და ბოროტ ანგელოზებს შორის მიმდინარეობს უხილავი, მაგრამ სასტიკი ბრძოლა“ (ვასილიადისი 2003: 301).

წმ. ბასილი დიდი ბრძანებს, რომ ბოროტი სულები სულის გასვლას ისეთი ბოროტი ყურადღებით აკვირდებიან, როგორც „ალბათ, არასოდეს აკვირდება მტერი ალყაში მყოფს ან მძარცვალი – საგანძურის მცველს. წმ. იოანე ოქროპირი ამ მეხარეებს უწოდებს „მრისხანე და შეუბრალებელ ანგელოზებს“. მათ საშინელი გარეგნობა აქვთ, უზარმაზარნი არიან და, თანაც, გვემუქრებიან. მათი შეხვედრისას სული ძრნის. სხვა ადგილას წმ. იოანე ოქროპირი წერს, რომ წმიდა წერილი მათ უწოდებს „მდევნელებსა და გადასახადის ამკრეფებს“ (ვასილიადისი 2003: 302).

წმ. იოანე ზედაზნელი ჰაერის მცველებს – საზარდებსა და სულის დამჭერებს, დამყოვნებლებს უწოდებს, რომლებიც ხელს გვიშლიან, დავიმკვიდროთ სასუფეველი.

წმ. მამათა სწავლებანის გარდა, რომლებიც წმიდა წერილს ეყრდნობა, ჩვენ გვაქვს დიდი ასკეტების, უდაბნოს მხნე მოღვაწეების მოწმობანიც ჰაერის მცველთა და საზვერეთა შესახებ, იქნება ეს წმ. ანტონ დიდი, წმ. მაკარი მეგვიპტელი, ფოტიკის ეპისკოპოსი წმ. დიოდოხოსი, წმ. ისიქი პერესვიტერი, ლირსი იოანე კიბისაღმწერელი თუ ალექსანდრიელი ჰატრიარქი წმ. კირილე.

სულის გამოცდის შესახებ წმიდა ეკლესია სხვადასხვა ლოცვებში შეგვახსენებს, მათ შორის დიდი სერობის ლოცვა ანგელოზთა მეუფის შესახებ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი: „უბინო, შეუგინებელო, უხრწნელო... უამსა განსლვისა ჩემისასა, შეენიე უბადრუკსა სულსა ჩემსა და ბნელნი იგი

პირნი ბოროტთა ეშმაკთანი შორის განიოტენ ჩემგან“ (ჟამნი 1899: 185–186).

შაბათის შუალამიანის მაცხოვრის მიმართ ლოცვაში, რომელიც ეკუთვნის წმ. ევსტრატეს, ჩვენ ვითხოვთ: „მოწყალე მექმენ, მეუფეო, და ნუმცა იხილავს სული ჩემი დაბნელებულსა მას პირსა ბოროტთა ეშმაკთასა“ (იქვე: 39). მსგავს მხურვალე სავედრებელს აღვავლენთ „სულის გასვლის კანონის“ სხვა-დასხვა ტროპარში.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ წმ. იოანე ზედაზნელი სთხოვს თავის მონაფებს: „ჩემთვს ილოცევდით“, რათა იხსნას უფალმა ჰაერის საზარელ მცველთაგან და იქვე აფრთხილებს მათ: „აწვე განაკრძალენით თავის თქუენნი“, ეს იმასაც გულისხმობს, რომ დროულად მოვემზადოთ საუკუნო ცხოვრებისათვის, სანამ მოგვისწრებდეს სიკვდილი. „მომზადებაში“, რა თქმა უნდა, აღსარება, სინანული და წმიდა ზიარება მოიაზრება, რადგან ამის გარეშე წმიდა ანგელოზები ვერ წარგვიძლვებიან იქ, სადაც მართალთა სულები განისვენებენ.

„ქრისტიანისთვის მიწიერი ცხოვრება პროლოგია, მარა-დიული ცხოვრების კარიბჭეა, ზეციური ნეტარების მაუნ-ყებელია“ (ვასილიადისი 2003: 229), მაგრამ სიკვდილი ადა-მიანებში ტანჯვასა და მწუხარებას იწვევს. ასეა „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაშიც“. წმ. იოანეს გარდაცვალების გამო „მონაფენი მისნი ტიროდეს განშორებისათვს“ (ძეგლები 1964: 228) – დასძენს აგიოგრაფი. უფრო მეტიც, ძეგლში გვხვდება ბრნყინვალე დატირება, მონაფეთაგან თქმული: „კეთილო მამაო, რასასათვს დაგვტევენ ჩუენ? ვის თანადა ვიხილოთ სახე ანგელოზებრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთავ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყლულთავ, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა? და ესრეთ მტირალნი წარვიდეს“ – დასძენს ავტორი (ძეგლები 1964: 228).

დაისმის შეკითხვა, რას ნიშნავს ამდენი ცრემლი და ტირილი ან რას მისტირიან მომტირალნი!?

ქრისტიანული სარწმუნოება ყოველთვის კრძალვით ეკი-

დებოდა სიკვდილის განცდას. ჭირისუფალთა ნუგეშისცემა ძველი აღთქმის დროიდან მოდის: „მიეცი თაფლუჭი მყოფთა მწუხარებათა შინა“ (იგავ. 31, 6) ან „კეთილ არს სლვად სახლსა შინა გლოვისასა“ (ეკლ. 7, 2). წმ. პავლე მოციქული გვასწავლის, რომ ჩვენც უნდა ვტიროდეთ და ვიზიარებდეთ მგლოვიარეს მწუხარებას (რომ. 12, 15). თავად უფალიც ხომ „ცრემლობდა“ თავისი მეგობრის, ლაზარეს, სიკვდილი რომ შეიტყო?! ქრისტიანობა ტირილს კი არ გვიკრძალავს, არამედ უნუგეშო მწუხარებასა და გადამეტებულ ტანჯვას, რომელსაც სარგებლობა არც მიცვალებულისათვის და არც მასზე დამწუხრებულისათვის არ მოაქვს, ამით ადამიანი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს თავს (ზირაქ. 38, 18–21).

წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფეებიც ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი თანაგრძნობით გამოხატავენ წმ. მამასთან განშორების ტკივილს, თანაც მათს დატირებაში ჩანს ბაძვის სურვილი, სახარებისეული ჭეშმარიტებით ცხოვრების სწრაფვა. ის, რომ უნდა იხილონ სახე ანგელოზებრი, რომ უნდა იპოვონ კაცთა უძლურების მკურნალი, აღმადგინებელი გონებით დაცემულისა და წამალი ეშმაკთა მიერ „მოწყლულთაა“, უკვე გამოჰკვეთს ასეთი მადლით შემოსილი ადამიანის, ღვთილვანბრძნობილი ბერის აუცილებლობის მწვავე სურვილს და, თავისთავად, აღძრავს საღვთო შურს. მათ უკვე ეძლევათ საშუალება, მიბაძონ გარდაცვლილის წმინდა ცხოვრებას.

აქვე არ შევიძლია არ გავიხსენოთ წმ. გრიგოლ ხანძთელის ადამიანური თანაგრძნობით აღსავსე დატირება აშოტ კურაპალატისა (ძეგლები 1964: 264–265), რომელიც გონიერების, კეთილშობილებისა და ზომიერების გასაოცარი ნიმუშია.

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებას“ არც ჩვენ მივიჩნევთ დამოუკიდებელ ძეგლად. იგი უშუალო გაგრძელებაა „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებისა“ (კეკელიძე 1980: 159–160). უფრო მეტიც, აქ წმ. იოანეს ცხოვრების აღსასრული, მისი ანდერძი და დატირებაა მოცემული, აქვეა მისი სასწაულებიც, ნეტარ ბერებთან ერთად აღსრულებული, აქვე ვხვდებით მის შეგონება–სწავლებებს... კიდევ ერთი არგუმენტი ის არის,

რომ, თუ ეს დამოუკიდებელი თხზულებაა, საღვთო სახელებით ერთობ მწირია: ღმერთი, იესუ, სახიერი, ქალწულისაგან შობილი, დაფარულთა მხედველი, უფალი დიდებისად, ზეგარდმო განგება, მამა, და სულიწმიდა, ცხოველი.

გარდა ამისა, ძეგლში საუბარია წმ. ისესა და წმ. იოანე ზედაზნელზეც. „იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეველის „ცხორებათა“ მოკლე რედაქციები, ე.ი. არქეტიპები, და წმ. აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით ვრცელი რედაქცია ერთი მთლიანი ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, შექმნილი ერთი ავტორის მიერ“ (გაბიძაშვილი 1982: 61).

„ცხორეპად და მოქალაქობად ცვილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისად“

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ავტორი ასე მიმართავს ნეტარ შიოს: „წუთ უამისა ესე სიბნელე მოითმინე და განქარვებადისა წილ სასუთროება და განსუენებისა საუკუნოდ დიდებად და განსუენებად მიიღე“ (ძეგლები 1964: 227), ხოლო წმ. „დავით გარეჯელის ცხოვრების“ დასაწყისში ვკითხულობთ: „მამად ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვალისა, რათა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოდ იგი და წარუვალი შუებად და განსუენებად“ (ძეგლები 1964: 229). წმ. შიომ „წუთ უამისა ესე სიბნელის“ მოთმენით საუკუნო დიდება მიიღო, წმ. დავითი „წუთ ერთითა ჭირითა“ მოიპოვებს „საუკუნო და წარუვალ“ შვებას. ცოტა ქვემოთ, ავაზაკთან საუბრისას, წმ. მამა იტყვის: ვევედრები უფალს, „რათა მყუდროებით და უშფოთველად განვლო წუთი ესე ცხორებად ჩემი“ (იქვე: 234). ასეთი დამოკიდებულება მაუწყებელია იმისა, თუ როგორ ესმოდათ ამქეყნიურ ცხოვრებაში ადამიანის მისია, ვინ ვართ და რატომ ვართ, რა არის ჩვენი ყოფის საიდუმლო, რისკენ, საით უნდა მივისწრაფოდეთ და რა უნდა იყოს წარმმართველი ამ დაუსრულებელ სწრაფვაში.

თხზულების მიხედვით, „უდაბნო“ ცხადდება საკუთარ თავთან განმარტოების, განსჯის, ფიქრის ადგილად, მოსამზადებელ, სულის გადასარჩენ საშუალებად. მართალია, ეს არის ფიზიკური, ხორციელი შეჭირვების ადგილი, თუმცა „წუთ ერთითა ჭირითა“ მოიპოვება საუკუნო განსვენება. ე.ი. „უდაბნო“ გამოცდის ადგილია, სადაც გამოვლინდება ადამიანის ძლიერებაცა და უძლურებაც. „უდაბნო“ არის საშუალება, შეხვიდე ახალ სულიერ სამყაროში, დაუახლოვდე ღმერთს და მასთან ერთობით დაძლიო საკუთარი ვნებები. „უდაბნოში მიიღო ებრაელმა ხალხმა კანონი, წმ. მოსემ ორმოცი წელი

ატარა ისინი აქ, რათა ახალი თაობა მომზადებულიყო აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად. „ყოველ დროსთვის შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი სულის უდაბნო, რომლის მიღმაა უმთავრესი საოცნებო, რომელსაც მისწვდება ან ვერ მისწვდება (მსგავსია გალაკტიონის „უდაბნო“, „სწუხს ჩემი სული, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“, – „სამრეკლო უდაბნოში“. რომანტიკულ სულიერ უდაბურებაში შემოტანილი ტაძარი შინაგანი ხილვაა, უდაბურების გასულიერებაა. ამიტომ ეს საოცნებო ტაძარი ფიქრივით ქრება. 6. ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“) (სირაძე 1987: 149).

აგიოგრაფის განმარტება წმ. დავითი „წარვიდა ... სჯად თავისა თვესისა“ სერიოზული მინიშნებაა ასკეტური ცხოვრების მიზანდასახულობისათვის. როგორც განდეგილური ცხოვრების, საუდაბნოო–სამონაზვნო მოსაგრეობის დასაბამის დამდები წმ. ანტონ დიდი განმარტავს: „განსჯა და კეთილგონიერება თვალინა სულისა, მისი კანდელი... განსჯის უნარით ჩვენ განვიხილავთ ჩვენს სურვილებს, სიტყვებსა და საქმეებს და განვეშორებით ყველაფერ იმას, რაც ღვთისაგან განგვაშორებს; განსჯითა და კეთილგონიერებით დავარღვევთ და ვძლევთ მზაკვარი მოწინააღმდეგის ყველა მანქანებას“ (ანტონ დიდი 1991: 268).

რა თქმა უნდა, როულია ცხოვრების ასეთი სახეობა, მაგრამ ყველა სიძნელე და მოკლება ამქვეყნიურ სიამეთაგან არაფერია იმ დაუსრულებელ სიკეთესთან შედარებით, რომელსაც ამაოებისაგან, ამა სოფლისაგან განდგომილთ განუმზადებს ღმერთი. ამ შეგნების გამომხატველია ავტორის სიტყვებიც: „წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნო იგი და წარუვალი შუებად და განსუენებად“.

წმ. ანტონ დიდი მეუდაბნოე ცხოვრების წესის არჩევას ასე განმარტავს: „ჩვენი სულიერი მამები გვარნმუნებენ, რომ უდაბნო ყველაზე შესაფერისი ადგილია სიკვდილზე ფიქრისათვის და ყველაზე საიმედო თავშესაფარია საამქვეყნო გატაცებებისაგან თავის მოზღუდვისათვის“ (ანტონ დიდი 1991: 254).

„წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ დასაწყისი გვამზადებს

იმ ღვაწლის სწორად შეფასებისა და დაფასებისათვის, რომელიც ცოცხალ მაგალითად დაგვისახა, როგორც სახე ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისა.

დასაბამი და საფუძველი მოსაგრე ცხოვრებისა არის მოთმინება და მორჩილება. როგორც მოსალოდნელი იყო, ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებში საგანგებოდაა აქცენტირებული ეს სათონება. ასეა „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც“. ნეტარი მამა თავის მოწაფეს, ლუკიანეს, მიმართავს: „ძმაო, ლუკიანე, დავდგეთ ადგილსა ამას და ვევედრნეთ ღმერთსა, რათა მყუდროებით ვედრებითა და ცრემლთა დათხევითა და მოთმინებითა მცირედითა მოგვტევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი“ (ძეგლები 1964: 230).

უსაზღვრო მოთმინება ყველა საქმესა თუ გაჭირვებაში არის მოსაგრის ყოველდღიურობის გარდაუვალი აუცილებლობა. თავად მაცხოვარი ასე შეგვაგონებს: „მოთმინებითა თქუნითა მოიპოვნეთ სულნი თქუნენი“ (ლ. 21, 19). წმ. დავითი საგანგებო აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ „ჭირი აქად მცირე არს და წარმავალ, ხოლო დიდებად იგი მუნ მოუკლებელ არს და წარუვალ“ (ძეგლები 1964: 230). ეს სრულ ჰარმონიაშია თხზულების დასაწყისთან: „წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოდ იგი და წარუვალი შუებად“. ჩვენს დაუნდობელ წუთისოფელში, რომელშიც ყოველივე ამაო და წარმავალია, გასაჭირი ხანმოკლე და წარმავალია, დროებითია იმ დაუსრულებელ სისარულთან შედარებით, რომელსაც უფალი აღუთქვამს სასუფელისთვის დამშვრალთ. რადგან ყველაფერს აქვს დასასრული, დამთავრდება ის „ჭირი“, რომელშიც მოსაგრეობის დასაწყისშივე აღმოჩნდნენ წმ. დავითი და ლუკიანე. ამიტომ ნეტარი ბერის დასკვნა ასეთია: „ამისთვისცა ჯერ-არს აქა მოთმინებად“ (ძეგლები 1964: 230).

მოთმინების სათონებაზე აქცენტი მაშინაც კეთდება, როცა, თხზულების მიხედვით, ლუკიანე შესჩივლებს თავის მოძღვარს: გადახმა მდელო და საზრდელი არაფერი მოგვეპოვებაო. „შენ მსწრაფლ სულმოკლე ხარ ... ფრიად შფოთ ხარ და განილევი ხრწნადითა ჭამადთათვს“ (ძეგლები 1964: 231).

ძალიან საინტერესოა ლუკიანეს სახე. თხზულების დასაწყისში ის გამუდმებით წუნუნებს, უჭირს მოსაგრის ღვაწლის ტვირთის ზიდვა. მისი ლექსიკაც ამ ნაკლულევანების ამსახველია: „ჩუენ კაცნი ვართ მყოფნი წორცთა უძლურებასა შინა და ვითარ თავს ვისხნეთ ჭირნი და განსაცდელნი ამის უდაბნოებასი“ ან „ან რაღა იყოს ნუგეშინის საცემელად უძლურებასა წორცთა ჩუენთასა, რამეთუ განსხეს მდელონი ესე, რომლისაგან იქმნებოდა სასოებად წორცთა ჩუენთა განსუენებისაა“ (ძეგლები 1964: 230).

ლუკიანეს ამ სიტყვებში აშკარად იკვეთება მისი შიში ხორცის დუძლურების გამო. „წორცთა უძლურება“ ფრიად აურვებს, „წორცთა განსუენებაზე“ ფიქრი თითქოს აშორებს ასკეტურ ცხოვრებას. და ეს ერთსა და იმავე პირობებში, ერთმანეთის გვერდიგვერდ – წმ. დავითი უძლებს, დაითმენს ამ „მცირე ჭირს“, ლუკიანე კი მერყეობს. მას სჭირდება რწმენაში განმტკიცება და ღირსი პეტრე დამასკელის თქმისა არ იყოს: „უწინამძღვროდ ადამიანის გონებას არ ძალუძი ზეცაში აღსვლა“ (მოძღვართა შესახებ 2005: 45). სწორედ ამ ფუნქციას იტვირთავს მისი მოძღვარი და მასწავლებელი, რომლის პასუხები ერთგვარი გაფრთხილებაა სულიერი მღვიძარებისათვის: ჯერ არს აქა მოთმინებად“, „მწენ იყავ, ძმაო ლუკიანე, და ნუ გეშინინ, რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენთაებრ, არამედ სიტკბოებით ზრდის ყოველთა მომიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 230) ან „ნუ დაგიც სასოებად მდელონთა მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა“ (იქვე: 231) და მისთან.

ფაქტობრივად, ძეგლის I თავი ეს არის მოთმინების სათნოების აპოლოგია, რომელიც გამოიკვეთება წმ. დავითისა და ლუკიანეს დიალოგების ფონზე. სიუჟეტის ასეთი განვითარება კი თავისთავად არის პასუხი მისა, რასაც ასე გადმოგვცემს თავის წესდებაში ანტონ დიდი: „რასაც უნდა აკეთებდე, მოთმინედ გააკეთე და ღმერთი იქნება შენი შემწე ყოველ საქმეში და ყოველთვის გიშველის განსაცდელის უამს, რაც უნდა შეგემთხვეს“ (ანტონ დიდი 1991: 271).

წმ. დავითის პასუხში არის ერთი მნიშვნელოვანი ფრაზაც:

„მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენ-თაებრ, არამედ სიტკბოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 230).

ღვთის მოშიშთა სიტკბოებით მზრდელია უფალი – ფიქრობს ნეტარი ბერი. როგორც, საერთოდ, ქართულ აგიოგრაფიაში, ამ თხზულებაშიც ასე მნიშვნელობს ღვთისმოშიშობის თემა. ცოტა ქვემოთ წმ. დავითი ლუკიანეს, შეშინებულსა და შეძრნუნებულს „მდებარეს მიწასა ზედა“ ვეშაპის სასწაულის გამო, ასე გაამსნევებს: „ძლიერებად ღმრთისად ჩუენ თანა არს და მადლი ღმრთისად ჰუარავს ყოველთა მოშიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 232-233).

ნეტარი ბერის ასეთ მსჯელობას, ღვთის შიშისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თავისი ახსნა აქვს. ღვთის შიში ითვლება დასაბამად ყოველგვარი სათნოებისა და საფუძვლად სიბრძნისა. „შიში ღვთისა, რომელიც ადამიანის სულს აღავსებს, იმის მსგავსია, რომ ბნელით მოცულ სახლში ლამპარს შეიტანენ და წყვდიადს გაჰყანტავენ. ღვთის მოშიშება მონაზვნისგან განდევნის ყოველივე ბნელს, ანუ ბოროტ ვნებებსა და ამაო ზრახვებს, და საღვთო მოშურნეობას აღანთებს მასში სათნოებისადმი“ (ანტონ დიდი 1991: 299).

მთლიანობაში, ღვთის შიშის, როგორც გამორჩეული სათნოების მოთხოვნა, უფლის განსაკუთრებულ წყალობას უკავშირდება და ამით მნიშვნელობს.

„ურნყულ უდაბნოში“ ჩასული მოსაგრეები: წმიდა დავითი და ლუკიანე იმთავითვე განსაზღვრავენ მოქმედების პრინციპს. კერძოდ, ნეტარი დავითი ლუკიანეს ასე განუმარტავს: „ვე-ვედრნეთ ღმერთსა, რათა მყუდროებით ვედრებითა და ცრემლთა დათხევითა და მოთმინებითა მცირედითა მოგჭევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი“ (ძეგლები 1964: 230).

რით არის მნიშვნელოვანი ეს ჩამონათვალი? მოთმინების ღვანტზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მეუდაბნოის ცხოვრება აბბეჭდილ უნდა იქნეს დაუცადებელი ლოცვით. თანაც ეს უნდა იყოს „მყუდროებით ვედრება“, ანუ მშვიდი ვედრება

(სარჯველაძე 2001: 157), რომელსაც თან ახლავს ცრემლი.

მშვიდი, მყუდროებით ლოცვა წმ. დავით გარეჯელის ბუნებრივი მდგომარეობაა. აგიოგრაფი გვაუწყებს: „წმ. მამა დავით დღითი-დღე განვიდის პარეხთა კლდეთასა და მარტო მყუდროებით აღასრულებდა წმიდათა ლოცვათა“ (ძეგლები 1964: 234). მშვიდი ცხოვრება, ლოცვით აღასრულებული და სიწმინდით გამშვენებული, იდეალი იყო ნეტარი დავითისათვის. იგი საგანგებოდ განუმარტავს „ჰუნსა ზედა“ მჯდომარებარბაროზს, რომ „ვევედრები მოწყალებათა მისთა, რათა მომიტევნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და რათა მყუდროებით და უშფოთველად განვლო წუთი ესე ცხორებაზ ჩემი“ (იქვე: 234).

იაკობ მოციქული ბრძანებს: „გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისად არა ქმნის (იაკ. 1, 20). ამიტომ უნდა ებრძოლოს ადამიანი საკუთარ თავს, მრისხანებამ არ იმძლავროს სულში და ბილნი გულისთქმა არ მთავრობდეს მასზე. როგორც განდეგილი მამები შეგვაგონებენ: „თუ გსურთ წარმატებულად იღვწოდეთ სათხოებისათვის და უფრო სრულად აღორძინდებოდეთ სულიერად, მარად მშვიდი და აღუშფოთველნი იყავით გულით“ (ანტონ დიდი 1991: 205). აქვე თუ გავიხსენებთ უფლის პირველ ქადაგებას მთაზე: „ნეტარ იყვნენ მშვიდინ“ (მ. 5, 5), მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ ითხოვს წმ. დავით გარეჯელი მყუდროებით, მშვიდ ვედრებას. თანაც აქვე იკვეთება მისი უდრევი რწმენა იმისა, რომ, თუ ასე მოითხოვს, წყალობას მიიღებს კიდეც ღვთისგან. მარადი და უცვლელია სიმშვიდე: „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მ. 11, 29) – ბრძანებს მაცხოვარი. უშფოთველობისა და ურისხველობის შეძენას დიდი შრომა სჭირდება. ამ ღვანლის შედეგია ის, რომ ღმერთი შეისმენს სრული გულით მის მოყვარულთა და მეძიებელთა ვედრებას და კეთილად შეიწყნარებს მათს ყველა სათხოვარს.

გარდაამისა, „ბოროტვნებათა ძლევა მონაზონს უვნებლობას მიაახლოებს, ეს კი სულიერ მშვიდობას ააღორძინებს მასში, სულიერი სიმშვიდე, ლოცვითა და ღმრთის მოაზრებით შობილი, შეგრძნებით სიტყბოებას, სულიერ სითბოს აღაგზნებს

მონაზვნის გულში და ეს სითბო სულისა, შეიკრებს რა მთელ ძალას სულისას, სამშვინველისა და სხეულისას, საკუთარ არსებას ჩაუღრმავებს მონაზვნის გონებას, შიგნით ჩაახედებს, სადაც იგი შეიგრძნობს უცილობელ მოთხოვნილებას, მარტო იყოს ერთ ღმერთთან“ (ანტონ დიდი 1991: 144).

წმ. დავით გარეჯელის თქმით, მშვიდ ვედრებას უნდა დაემატოს ცრემლთა დათხევა. ცრემლით ლოცვა ერთი მაგისტრალური ხაზია ქართული აგიოგრაფიისა. გამორჩეულია სათნოების ეს სახეობა. საკუთარი ცოდვებისგან გათავისუფლება შესაძლებელია უკიდურესი სინანულითა და ტირილით, ამასთანავე, ვისაც სურს ქველის საქმენი შეიძინოს და სათნოებას მიაღწიოს, ცრემლითა და მწუხარებით უნდა შეუდგეს ღვანლს (ანტონ დიდი 1991: 305). თვით ფსალმუნთგალობა, თავისთავად, ცრემლიანი სინანულია ღვთის წინაშე აღვლენილი. ესაია წინასწარმეტყველის წიგნში (თ. 38) იუდეის მეფე ეზეკიამ ტირილითა და ცრემლიანი სინანულით არა მხოლოდ განკურნვა მიიღო სენისგან, არამედ იმის ღირსიც შეიქმნა, რომ მისი ცხოვრება კიდევ თხუთმეტი წლით გაგრძელებულიყო. წმიდა პეტრე მოციქულმაც დაღვრილი ცრემლებისათვის მიიღო შენდომა უფლისგან. მენელსაცხებლე დედაც ცრემლებს ღვრიდა მაცხოვრის ფერხთით და ამ სიტყვების მოსმენის ღირსი გახდა: „სადაც იქადაგოს სახარებად ესე ყოველსა სოფელსა, ითქმიდის, რომელიცა-ესე ყო მაგან“ (მ. 26, 13).

საუდაბნო-სამონაზვნე მოსაგრისთვის აუცილებელია ცრემლის ზეთით აანთოს მისივე სულის კანდელი (ანტონ დიდი 1991: 271). ქართველი აგიოგრაფი არ ივიწყებს ცრემლით ლოცვის განსაკუთრებულ მადლს და ცოტა ქვემოთ წმ. დავითის შესახებ გვაუწყებს: „მყუდროებით ალასრულებდა წმიდათა ლოცვათა და ოფლთა და ცრემლთა ნაკადულითა რწყვიდა უდაბნოთა“ (ძეგლები 1964: 234). ასევე, კაცი იგი ბარბაროზი, რომელსაც წმ. დავითის მოკვლა ეწადა, „გარდაპქნედა პუნესა და დავარდა ფერწთა თანა ბერისათა და ცრემლით ევედრებოდა“ (იქვე: 235) ან „იწყო ვედრებად მისთა ცრემლითა მქურვალითა“, იერუსალიმს მიახლოებული ნეტარი დავითი „დავარდა და

იატაკსა დაალტობდა ცრემლითა... და ტიროდა და დასთხევდა ცრემლთა“ (იქვე: 235)⁵. იერუსალიმის პატრიარქზე ნათქვამია: „ცრემლით ვედრება შენირა უფლისა“ (იქვე: 238).

ასეა ცრემლის მადლით გაჯერებული მთელი თხზულება და ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმას, რომ ყოველგვარი სიმძიმე, მონაზვნურ მოსაგრეობას რომ ახლავს თან, ადვილად დაიძლევა, თუ იქნება მხურვალე, მაგრამ მყუდროებითი ლოცვა-ვედრება, ცრემლთა დათხევითა და სინანულის ღვაწლით.

ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა, ასურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ თუ არა. ეს საკმაოდ რთულად გადასაჭრელი პრობლემაა. ამ ეტაპზე შევნიშნავთ შემდეგს: კ. კეკელიძე იმის დასადასტურებლად, რომ ასურელი მამები, მართლაც, მონოფიზიტები იყვნენ რამდენიმე ყურადსალებ არგუმენტს მიუთითებს. ერთ-ერთი ასე უღერს: „ასეთი ექსცენტრული, პირდაპირ ფსიქო-პათოლოგიური საქციელი და არაბუნებრივი რეჟიმი დამახასიათებელია მონოფიზიტური ასკეტიზმისა, რომელსაც, სხვათა შორის, ახასიათებდა აგრეთვე მუდმივი ტირილი და ცრემლების ღვრა; ამას ადგილი ჰქონდა ათცამეტ მამათა ცხოვრებაშიაც: „წყარო ცრემლთად დაუწყუედელი მარადის გარდამოსდინ თუალთა იოანესთა და დღე და ღამე დაალტობს სარეცელთა თვესთა ცრემლითა და განპანნ მას ნაკადულითა, თუალთაგან ჩამომდინარითა“, აგრეთვე შიო „დავრდომილ მიწად, დაალტობდა იატაკსა ცრემლთა მიერ, რომელნი შთამოვიდოდეს თვალთაგან მისთა, ვითარ წყარონი დაუწყუედელნი“ და ასწავებდა მონაფეთა თვესთა: „ტირილი იყავნ თქუენდა სამარადისო, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნესა“ (კეკელიძე 1956: 33).

ესციტაციებიდიდ მეცნიერს მოყვანილიაქვს „საქართველოს სამოთხეში“ წარმოდგენილი მეტაფრასული რედაქციებიდან. ამ ჩამონათვალს თუ დავუმატებთ იმას, რაზეც ჩვენ წმ. დავით გარეჯელის შესახებ ვისაუბრეთ, სურათი უფრო დამძიმდება, თუმცა ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას. წმ. ანტონ დიდი, თავის წესდებაში განდევნილთათვის, საგანგებო თავს უძღვნის

5 შდრ. „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ (ძეგლები 1964: 218)

გულშემუსვრილობასა და ცრემლებს (ტირილს): „განუწყვეტლივ ღვარე ცრემლი შენს ცოდვათა გამო... გამომეტყველება შენი პირისახისა ყოველთვის მწეხარე უნდა იყოს, რათა ღვთის შიში იყოს შენში... ცრემლები დაღვარე შენს ცოდვათა გამო“ (ანტონ დიდი 1991: 271–272). ამ წესდებას ეს დიდი მეუდაბნოე მამა ასე ამთავრებს: „ყოველ ღამ ცხარე ცრემლები ღვარე შენს სარეცელზე და დაალტვე იგი“ (იქვე: 280).

იმედია, წმ. ანტონ დიდის აღმსარებლობაში ეჭვს არავინ შეიტანს და IV საუკუნის ღირს მამას, საუდაბნო–სამონაზვნო მოსაგრეობის დასაბამს, მონოფიზიტობას ვერავინ დასწამებს. ჩვენი აზრით, ცრემლი სინანულისა, საკუთარი ულირსობის განცდისა, საერთოდ, დამახასიათებელი მოვლენაა ქრისტიანობის ისტორიისათვის, დიდია მისი ხვედრითი წილი ქართულ აგიოგრაფიაში, ზოგადად, და, კერძოდ კი, „ასურელ მამათა წამეპა–ცხოვრებანშიც“. ასე რომ, რაიმე მონოფიზიტურს, უკიდურესი ასკეტიზმის გამოვლენას ამ მხრივ ვერ ვხედავთ.

„წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ პირველითავი მკვეთრად და ზუსტად შეგვაგრძნობინებს იმ დიდ სხვაობას, რომელიც ღმრთისმიერ სულიერ ცხოვრებასა და საზრუნავით აღსავსე ამქვეყნიურ ყოფას შორის არსებობს. პავლე მოციქულიც თავის ეპისტოლები ხაზგასმით მიგვახვედრებს, რომ განდგომილი ადამიანი მხოლოდ სულისთვის უნდა იღვნოდეს და მხოლოდ იმას უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ სათნო–ეყოს ღმერთს (1 კორინთ. 7, 32). ამგვარი ცხოვრების აუცილებლობა ქრისტეს ეკლესის დაფუძნებისთანავე იქნა დადგენილი, როგორც არსებითი ნაწილი „მის შენებულობაში და სწორედ უფლის პირველ მოციქულთაგან შეიძინა ფუძემდებელი კანონები“ (ანტონ დიდი 1991: 187).

წმ. დავითი და ლუკიანე ფიცხელი ურწყული უდაბნოთი, ასეთი ძნელი გზით, მიიღლუვიან სრულყოფილებისკენ სათნოებათა მოპოვებაში. ამ გზის სირთულეს მწვავედ განიცდის ლუკიანე, რომელსაც აფიქრებს „ფრიადი სივინროე“ და „სიფიცხელე ამის უდაბნოსად“. მას ასკეტური ცხოვრების დასაწყისში უჩნდება შეკითხვა: „ჩუენ კაცნი ვართ მყოფნი

ჭორცთა უძლურებასა შინა და ვითარ თავს – ვისხნეთ ჭირნი და განსაცდელნი ამის უდაბნოსანი?“ (ძეგლები 1964: 230) ლუკიანე კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ამავე პრობლემას: „ან რაღ-ლა იყოს ნუგეშინის საცემელად უძლურებასა ჭორცთა ჩუნთასა“ (იქვე: 230).

ეს მაგალითები იმაზე მიგვითითებენ, რომ ასკეტური ცხოვრების პირველ ეტაპზე ლუკიანე ამა სოფლის ზრუნვით იყო შეპყრობილი. სულისა და ხორცის ჭიდილი, დაპირისპირება კარგად არის გადმოცემული სიტყვებში: „კაცნი ვართ მყოფნი ჭორცთა უძლურებასა შინა“.

პროფ. რ. ბარამიძე ამის შესახებ წერს: „მრავლის მეტყველია ლუკიანეს გულწრფელი თქმა – „ჩვენც კაცნი ვართ“ ამ უშუალობაში ჩანს მთელი მისი ადამიანური სისუსტე“ (ბარამიძე 1966: 38).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს აღთქმად დაუდებს: „ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გული თქუენი შვებითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისადთა“ (ლ. 21, 34). ეს შეგონება განსაკუთრებულად უნდა აღასრულონ მათ, რომლებიც ბერმონაზვნური მოღვაწეობის მოშურნეობით აღვსებულან და ამ გზით მოსურვებიათ სრულყოფილი სიწმინდის მოპოვება.

ეს ყოველივე კარგად ესმის ნეტარ დავითს და მისი მცდელობაც აქეთკენაა მიმართული. იგი მოციქულის ამ შეგონების აღსრულებისკენ მოუწოდებს ლუკიანეს: „აღვიკრძალავ ჭორცთა ჩემთა და დავიმონებო“ (I კორ, 9, 27). ბერის პასუხები ერთი მთლიანი თეორიული მსჯელობაა წარმავალსა და წარუვალზე, ღვთის უსაზღვრო მოწყალებასა და მოთმინებაზე და შეგვიძლია ასეთ დებულებებად ჩამოვაყალიბოთ:

„ჯერ-არს მოთმინებაა;

მოწყალე არს ღმერთი და არა მოგვაგებს ცოდვათა ჩვენთაებრ;

[ღმერთი] სიტკბოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა;

ნუ დაგიც სასოებად მდელოთა მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა;

ყოველნი ნივთნი ქუეყნიერნი ცვალებად და წარმავალ არიან;

ნუ შფოთ ხარ;

ნუ განილევი განკრწნადთა ჭამადთათვს“.

ამავე თავში აგიოგრაფი შენიშნავს, რომ წმ. დავითმა და „ლუკიანემ უხვად მოიპოვეს ხორცთა ნუგეშინის საცემელი და „ადიდებდეს ღმერთსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა“ (ძეგლები 1964: 230).

გარდა ამისა, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ დატვირთულია სასწაულების მთელი ციკლით, იქნება ეს ირემთა სასწაული, ვეშაპთან დაკავშირებული ეპიზოდი, ქორისა და კაკაბის, ბარბაროზი კაცის, კოჭლი ყრმის, ქვის, ნყლისა და ნიაზურის დატკბობის სასწაულები. ყველაფერი ემსახურება იმას, რომ იდიდოს ღმერთი.

სხვათა შორის, ტექსტში ამის შესახებ არაერთი მინიშნებაა. ე.ნ. ვეშაპის სასწაულის ეპიზოდში ღვთის ანგელოზი ასე მიმართავს ნეტარ ბერს: „მონაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა შიშისაგან ვეშაპისა. ხოლო შენ უპყარ წელი და აღადგინე და განაძლიერე და განამტკიცე იგი და ორნივე ზოგად ადიდებდით ღმერთსა“ (ძეგლები 1964: 232).

კახეთიდან მოსულმა მონადირებმა, როცა იხილეს ბერს დამორჩილებული ირმები, გაკვირვებულებმა წამოიძახეს: „დიდ არს დიდებად უფლისაა“ (ძეგლები 1964: 233). ნეტარი დავითი, უფლისთვის აღვლენილ ვედრებაში, განკურნოს წელი იგი განკმელი“ ბარბაროზი მკვლელისა, დასძენს: „რათა გულისქმა-ყოს და გიცნას შენ და ადიდებდეს სახელსა შენსა“ (იქვე: 235).

ღვთის დიდება, როგორც ლაიტმოტივი, თან გასდევს ყოველ სასწაულს. როდესაც განკურნებული მკვლელი შვილის განკურნებას სთხოვს წმ. დავითს, ასე მიმართავს: „ევედრო უფალსა შენსა მისთვს და უკუეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერებაა მისი“ (იქვე: 235). როდესაც შინ დაბრუნებული აღსრულებულ სასწაულს იხილავს, ავტორი გვაუწყებს: „და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმერთსა“ (იქვე:

236).

იერუსალიმიდან დაბრუნებული დავითი „მოიწია რაღ უდაბნოსა თვესა, ყოველნი ძმანი სიხარულით მიეგებვოდეს და ადიდებდეს ღმერთსა“ (იქვე: 239).

იერუსალიმის პატრიარქის სასწაულებრივი ხილვის გამგონე დავითი სამგზის ადიდებს უფალს: „დიდებად შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო! და დიდებად შენდა, სამებაო წმიდაო, ერთ ღმრთებაო, ერთ არსებაო, დიდებად შენდა ღმერთო“ (ძეგლები 1964: 238). თხზულება მთავრდება ლვოთის დიდებით: „და იყო მათ შორის ერთი ძმათაგანი, რომელსა ერთი თუალი არა ედგა და შე-რაღ-ეხო გუამსა მას წმიდასა, მეყსეულად განიკურნა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა... და რომელნი სარწმუნოებით მივლენ სამარხოსა მას, მიიღებენ კურნებასა სულთა და ჯორციასა და ადიდებენ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (იქვე: 240).

წმ. ანტონ დიდი თავის წესდებაში განმარტავს: „ყოველ საქმეში, ყოველთვის და ყოველმხრივ ეცადე იმას, რომ შენით და შენ მიერ განიდიდოს მამა შენი, რომელი არს ცათა შინა. როგორც ეს წმიდა სახარებაშია ნათქვამი: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელნი თქუენნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენნი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მ. 5, 16)(ანტონ დიდი 1991: 274).

ჩვენ მსჯელობა იქითკენ მიგვყავს, რომ ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი ათცამეტი ასურელი მამისათვის არის წმ. ანტონ დიდის სწავლანი, მისი „წესდება განდეგილი ცხოვრებისა“. ეს არც არის გასაკვირი, რადგან წმ. ანტონმა დაუდო დასაბამი საუდაბნო-სამონაზვნო მოსაგრეობას, მან თავისი ცხოვრებით მოგვცა მაგალითი ამ სახის ლვთივსათნომყოფელობისა, შექმნა სწავლანი ქრისტიანულ სათნოებაზე, სულიერ ღვანლსა და მონაზვნურ ცხოვრებაზე; შვიდი ეპისტოლე, მიმართული სხვადასხვა მონასტრისა თუ მოსაგრისადმი, რომლებშიც გვასწავლის სულიერ ბრძოლასა და მისწრაფებას სრულყოფისაკენ; მონაზონთა ცხოვრების წესდება, მრავალრიცხოვანი გამონათქვამი საღვთო სწავლა-

მოძღვრებისა. გარდა ამისა, ერთი ვრცელი სიტყვა, მოყვანილი მისი ცხოვრების აღწერაში, რომელიც ეკუთვნის ეკლესის მეორე დიდ მამას – წმ. ათანასე ალექსანდრიელს, და რომელიც პირველ ძეგლს წარმოადგენს მართლმადიდებელი აგიოგრაფიისა (ანტონ დიდი 1991: 148–149).

თვალი რომ გავადევნოთ თუნდაც წმ. ანტონის „წესდებას განდეგილი ცხოვრებისათვის“, დავრწმუნდებით, თუ როგორ ახლოს დგას მასთან ასურელ მამათა „წამება–ცხოვრებანის“ ტექსტები და როგორი მსგავსებაა თემატიკის თვალსაზრისით, მაგალითად: ღოცვა–ვედრება, საღვთო წერილის კითხვა და ფიქრი ღმრთის დიდებულებზე, ურთიერთდამოკიდებულება, ღმერთის განდიდება, ხსოვნა სიკვდილისა და განკითხვის დღისა, მოთმინება, გულშემუსვრილობა და ცრემლები (ტირილი), ცოდვასთან ბრძოლის ღვაწლი... გარდა ამისა, ასურელ მამებსაც აქვთ თავიანთი ე.წ. ზნეობითი სწავლანი, ამითაც ენათსავებიან ისინი წმ. ანტონ დიდს. სხვათა შორის, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ ტექსტში ეკლესის მამათაგან საგანგებოდ და მხოლოდ წმ. ანტონია მოხსენიებული:

„ძმაო, ლუკიანე, რომელმან იგი უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრატლთავ და კლდისაგან მყარისა წყალი აღმოუცენა და მწყერ–მარწილი უწვევა შორის ბანაკისა მათისა და ელია ყორნისა მიერ გამოზარდა და წმიდასა ანტონის და სხუათაცა მამათა წმიდათა, რომელნი დამკდრებულ იყვნეს მთათა და უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი“ (ძეგლები 1964: 230).

ჩვენი ღრმა რწმენით, ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობის, სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში წარმმართველი იქნებოდა წმ. ანტონ დიდის სახელმძღვანელო ბერმონაზვნური ცხოვრებისა და მისი სწავლანი, როგორც საყრდენი მათი ღვაწლის სწორადწარმართვასა და სათნოებათა მოსაპოვებლად მოსაგრე ცხოვრებისათვის.

კეთილმსახურ ცხოვრებასთან ერთად, სათნო ნაყოფად ითვლება მადლიერება ღვთის მიმართ. ეს სათნოება განსაკუთრებულად მნიშვნელობს „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაც“ არაერთ ნიმუშს გვთავაზობს.

მთლიანობაში ჩვენ ცოცხალ მაგალითად გვრჩება ასკეტ მამათა ცხოვრების წესი, რომელიც ყოველი საქმის აღსრულების შემდეგ უფლისადმი აღვლენილი მადლობით მთავრდება. მადლობის თქმა, მადლიერების გამოხატვა გადაჯაჭვულია უფლის დიდებასთან. შესაბამისად, ტექსტის მიხედვით, მადლობის შენირვა ღვთისადმი ხან უსწრებს უფლის დიდების შესხმას, ხან მასზე წინ ითქმება. მაგ., შეშინებული ლუკიანე გაამხნევა, რწმენაში განამტკიცა წმ. დავითმა. აგიოგრაფი გვაუწყებს: „ხოლო იგი განმხიარულდა სიტყუათა ამათ ზედა ბერისათა და მადლობაზ შესწირა უფლისა“ (ძეგლები 1964: 233). ნეტარი დავითის ლოცვით განიკურნება ბუბაქრის შვილი: „და ვითარცა იხილა იგი მამამან მისმან მრთელი და ყოვლითურთ უნაკლო, გარდაყდა პუნქსა და მადლობა შენირა ღმრთისა“. ელია პატრიარქის ღვთაებრივი გამოცხადების შესახებ „ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა დავითს... მადლობა შესწირა უფლისა“, ერთობ უცნაურადაა აღწერილი ბერის გარდაცვალება: „ცნა მამამან დავით განსვლად მისი ხორცთაგან... უბრძანა მღდელთა შენირვაზ მსხვერპლისად და ეზიარა წმიდასა მსხუერპლსა ქრისტეს ღმრთისასა და აღიძყრნა ხელნი და მადლობაზ შესწირა ღმრთისა და ესრეთ შეჰვედრა სული თვის წმიდაზ უფალსა“ (იქვე: 239-240).

როგორც ვხედავთ, წმ. დავითი სიკვდილის წინ მადლობას სწირავს უფალს. რატომ? - იმიტომ ხომ არა, რომ უზიარებლად არ აღესრულა, რომ სიკვდილის წინ ეზიარა „წმიდასა მსხუერპლსა ქრისტეს ღმრთისასა“. (სხვათა შორის, საეკლესიო გარდამოცემით, ქრისტიანი ადამიანი განსაკუთრებულად წმ. ბარბარე დიდმოწამეს უნდა ევედროს, რომ სიკვდილის წინ ღირსი გახდეს წმ. ზიარებისა).

რისთვის შესწირა მადლობა უზენაესს წმ. დავითმა? - ამაზე პასუხი ადვილია, თუ გავიხსენებთ, როგორ ეგებებოდნენ სიკვდილს წმიდა მამები. ასე მაგალითად, მთელი არსებით მიიღტვოდა მოწამებრივი აღსასრულისაკენ წმ. ეგნატე ღმერთ-შემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი. წმ. პოლიკარპე სმირნელმა მოწამებრივი აღსასრულის წინ ილოცა და ღმერთს მადლობა

შესწირა იმისათვის, რომ ლირსი გახდა მოწამეთა დასს შეერთებოდა (ვასილიადისი 2003: 227–228). პავლე მოციქული, ამ ქვეყნიდან გასვლის წინ, ამბობდა: „მიხარის და გიხაროდესცა თქუენ ყოველთა თანა ეგრეთვე და თქუენცა გიხაროდენ და ჩემ თანა გიხაროდენ“ (ფილიპ. 2, 17–18).

ქართული აგიოგრაფიის გმირებიც სიხარულითა და სიმ-შვიდით ეგებებიან სიკვდილს: წმ. შუშანიკი „ჰმადლობდა ღმერ-თსა და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“ (ძეგლები 1964: 28);

„განმხიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა ღმერთსა“ (იქვე: 45);

წმ. აბომ „თქუა: გმადლობ და გკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ლირს მყავ მე მიმთხუევად ღუანწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა“ (იქვე: 71);

წმ. გობრონი საკუთარ სისხლს ჯვარის სახედ გამოისახავს შუბლზე და იტყვის: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან მე ლირს მყავ მე უღირსი ესე და ცოდვილი და უკანასკნელი ყოველთად ნაწილსა ამას მკუდრობისასა და მოწამეებისასა“ (იქვე: 182).

წმინდანებს დიდ სიკეთედ მიაჩნდათ ამ ქვეყნიდან გასვლა, მათთვის სასურველი და სანატრელი იყო სიკვდილი. მათ სიცოცხლეშიც ჰქონდათ განუწყვეტელი ხსოვნა სიკვდილისა და განკითხვის დღისა.

ადამიანი ხილულ სამყაროში ზმანებასავით დადის. წმ. ონანე ოქროპირის თანახმად, ადამიანი არის „სიცოცხლის მოკლევადი-ანი სესხი, სიკვდილის ვალი, რომელიც არ ითმენს გადავადებას“ (ვასილიადისი 2003: 201). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თა-ვისი ძმის, კესარიოსის, ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში გვაუწყებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ადამიანის საქმიანობა და ცხოვრებისეული მოვლენები: „უცნაურია ჩვენი ამქვეყნად მოსვლა-არაფრისაგან წარმოიქმნა და წარმოქმნილი დაიშალოს. ჩვენ ვართ, ვითარდა სიზმარი, მოუხელთებელი მოჩვენება, ჩიტის გაფრენა...“ (იქვე: 263). წმ. დავით წინასწარმეტყველის

მიხედვით: „კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი“ (ფს. 102, 15). ამიტომ გვირჩევენ, გვახსოვდეს სიკვდილი! წმ. ათანასე დიდი წერს: „მარადუამს გახსოვდეს ამ ქვეყნიდან განსვლა, ყოველ დღე მოიხსენე სიკვდილი, რომლისთვისაც უნდა ემზადებოდე“ (ვასილიადისი 2003: 209), წმ. იოანე კიბისალმწერელი გვასხავლის: „და სიკვდილზე ფიქრი შენთან ერთად იძინებდეს და შენთან ერთად ალდგებოდეს“ (იქვე: 209); ბრძენი ზირაქი გვირჩევს: „მოიხსენებდე უკანასკნელსა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო“ (ზირაქ. 7, 39). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნიკოლაოს ვასილიადისი დაასკვნის: „ის, ვინც უფლის მოწოდებას ყურად იღებს და იფხიზლებს, ვინც სიკვდილის ხსოვნას შეინარჩუნებს, საუკუნო სიკვდილს თავს დაალწევს და ხორციელი სიკვდილი მას ვეღარ შეაშინებს“ (ვასილიადისი 2003: 212).

ლირსიპახომიდიდი, მონასტრულიცხოვრებისდამფუძნებელი, თავის კატეხიზმოში წერდა: „ყოველ წამს გვახსოვდეს სიკვდილი და საშინელი ჯოვანეთი. სიკვდილის ხსოვნა გონებას აფხიზლებს, მას შეგნებულს ხდის, უკუაგდებს ამპარტავნებასა და პატივმოყვარულ აზრებს, სულში ყოველგვარი ქედმალლობისაგან განშორებულ სიმდაბლეს აღმოაცენებს“ (იქვე: 213). ლირსი ისაია განდეგილი ამბობს: „ვინც სიკვდილზე ყოველდღიურად ფიქრობს ... იგი ღვთის წინაშე არასოდეს შესცოდავს“ (იქვე: 214). აბბა ევაგრეც ასე გვმოძლვრავს: „ნუ დაივიწყებ შენს აღსასრულს და ცოდვა არ დაისადგურებს შენს სულში“ (იქვე: 214).

სიკვდილი გარდაუვალია და, როცა ეს წამი დადგება, წმინდანები სიხარულითა და მადლობით მიიღებენ უფლის ნების აღსრულებას, რადგან „მხოლოდ ერთია შეუძლებელი ადამიანისათვის – სიკვდილი აიცილოს თავიდან, უკვდავი იყოს ამქვეყნად. ღმერთთან ზიარების მიღწევა კი მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი გულისხმა–ყოფს, როგორ და რა გზით მიიღწევა ეს“ (ანტონ დიდი 1991: 242).

სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესია, იგი მარადისობაში შესასვლელი კარიბჭეა... აგიოგრაფიის გმირები, სიკვდილის შიშზე გამარჯვებულნი და ამაღლებულნი, სიხარულთ ეგებიან

მას და უფალს მადლობას სწირავენ, რადგან კარგად იციან, რომ ქმნილება უბრუნდება თავის შემოქმედს.

უაღრესად საინტერესოდ და მრავალმნიშვნელოვნად ქმნის აგიოგრაფი წმ. დავითის სახეს. ვეშაპის დამორჩილების ეპიზოდი საინტერესოა ერთი ასპექტითაც: ვეშაპი სთხოვს ბერს: „აღმომყევ თავადმდე ამის მთისა და თავს–მდებ მექმენ, რადთა არა მიაქციონე თუალნი შენი ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე წყალსა მას“ (ძეგლები 1964: 232).

ვეშაპის დამორჩილება დიდი სასწაულია, უფლის დიდი მადლია, კეთილადნარმართებული ცხოვრებისა და უზენაესთან შერთვის გამოხატულებაა, მაგრამ ამ ეპიზოდში კიდევ უფრო დიდებულია იმის ხაზგასმა, თუ ნეტარი დავითის ყოვლისმხედველი და ყოვლისშემძლე თვალი როგორ მფარველ ძალად ექცევა ბოროტ სულს. როცა კი წმიდა ბერი „გარე მიიხილავს“ და მისი მზერა დატოვებს ვეშაპს, მეხი დაეცემა და დაინვება. წმ. დავითი იმდენად გულმოწყალეა, რომ შეებრალება მასზე სასოებით მინდობილი ვეშაპი და ასეთი შეკითხვა აღმოხდება: „უფალო, მეუფეო დიდებისაო, რად მოჰკალ ვეშაპი ისი, რამეთუ სასოებით მონდობილ იყო იგი ჩემდა, ხოლო შენ სასტიკად წარსწყმიდე იგი?“ (ძეგლები 1964: 232).

ამ ეპიზოდში საინტერესო ისიც, რომ ნეტარი დავითი წინ მიუძღვდა ვეშაპს „და იტყოდა ფსალმუნსა: „რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისათა საფარველსა ღმრთისასა, ზეცას განისუენოს“. ეს 90-ე ფსალმუნია, მისი პირველი მუხლი, რომელიც დღეს ასე უღერს: „რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისათა, საფარველსა ღმრთისა ზეცათავასა განისუენოს“ (ფსალმუნის..1960: 232). ჩვენი აზრით, წმ. დავითის მიერ წარმოთქმულ მუხლში აზრი უფრო მარტივად გასაგებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რატომ ამბობდა ამ ფსალმუნს წმ. მამა. 90-ე ფსალმუნის მთავარი იდეა შეიძლება მოციქულის სიტყვებით გამოვხატოთ: „უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძვირისმყოფელ ჩუენდა?“ (რომ. 8, 31). ფსალმუნის შინაარსი დიალექტიკურია. „დასაწყის სტრიქონებში (1-13) ასახულია სხეულს განშორებული სულის განცდები,

რომელსაც ზეცისკენ მიმავალს ბოროტი სულების საშინელი თავდასხმების ატანა უწევს... ამას მოსდევს მოწმობა უფლის მხრიდან (14–16), რომ ის დაიცავს და აცხოვნებს თავის ერთგულ მონას, შეიწირავს მის მხურვალე ლოცვას“ (ვასილიადისი 2003: 275–276). ამ ჭეშმარიტად ღვთივსულიერ ფსალმუნს ბოროტი ძალების განმდევნელი ენოდება და, როდესაც წმ. დავით გარეჯელი ლოცულობს, სიმბოლურად იგი განდევნის ვეშაპს, ბოროტ ძალასა და ავ სულებზე ძლევამოსილად გვევლინება.

თავის ყოველ ქმედებასა და სიტყვაში წმ. დავითი მონუმენტური და მასშტაბურია. თხზულების დასაწყისში კეთილად მასწავლებელი მოძღვარი–მქადაგებელია, რომელმაც თვისი მონაფე, ლუკიანე, რწმენაში უნდა განამტკიცოს და განაძლიეროს, შემდეგ იგი სასწაულოთმოქმედ მამად გვევლინება, დაცემულთა აღმდგენელად და ნუგეშად: „უპარ წელი და აღადგინე და განაძლიერე და განამტკიცე“ (ძეგლები 1964: 232) – მოუნოდებს ანგელოზი. წმ. დავითი სულიერი მხნეობის მიმნიჭებელი, კაცთა განმამხიარულებელია: „ხოლო იგი განმხიარულდა სიტყუათა ამათ ზედა ბერისათა“ (იქვე: 233) – გვაუწყებს ლუკიანეს შესახებ აგიოგრაფი. ჭეშმარიტი სიხარული კი, როგორც წმ. ანტონი გვასწავლის, „ლმერთისგან გამოვალს და მხოლოდ იმ ადამიანს მიემადლება, რომელიც განუწყვეტლივ დაშვრება იმისთვის, რომ საკუთარი ნება უარყოს და ყოველივეში ღვთის ნება აღასრულოს“ (ანტონი დიდი 1991: 203–204).

წმ. დავით გარეჯელი არის გზაზე დამყენებელი, დიდი მლოცველი, მკურნალი სულთა და წორცთა, როგორც ეტყვის ბუბაქრი (ძეგლები 1964: 236), ამასთანავე, ჭეშმარიტი მწყემსი, მზრუნველი და ცრემლით მლოცველი ძმათათვის. ამ მხრივ ყურადსალებია მისისიტყვები, როცაიერუსალიმის სიწმინდეების მოლოცვას გადაწყვეტს, ლუკიანე მოისურვებს მასთან ერთად გამგზავრებას, ნეტარი ბერი ასე მიმართავს: „ნუ, ძმაო, ნუ იქმ... უკუეთუ ეგე ვყოთ და ორნივე წარვიდეთ, ძმანი ესა... განიბნივენ დაბათა და ქალაქთა შინა დაეცნენ და წარწყმდენ გულის–თქუმათა მიერ ცოდვილისათა და წარწყმედა სულთა

მათთავ ჩვენ მიერ იძიოს ღმერთმან“ (იქვე: 237).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ძეგლი „წმ. შუშანიკის წამება“ საფუძველს დაუდებს ეკლესიურობის, ლიტურგიული ცნობიერების ამ წესს. პიტიახშთან მისული სასულიერო პირები ამბობენ: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუნყმიდე“ (ძეგლები 1964: 14), წმ. დავით გარეჯელის პოზიცია: „წარწყმედა სულთა მათთავ ჩვენ მიერ იძიოს ღმერთმან“- პასუხია იმაზე, თუ როგორი შეგნებით, პასუხისმგებლობითა და დამოკიდებულებით უყურებს იგი წინამძღვრის მისიას, რომ ძმობის წევრების შესაძლო დაცემა მას მოეკითხება, თანაც ნეტარი მამა ამ პასუხში კიდევ ერთი საცდურის შესახებ მიგვანიშნებს, ეს არის წარწყმედა, ცოდვით დაცემა „გულის-თქუმათა მიერ“.


ცოდვასთან ბრძოლის ღვანწლი, უპირველესად, გულის ზრახვებთან და ფიქრებთან ჭიდილში გამოვლინდება. წმ. იოანე ღვთისმეტყველი მთელ ვნებებსა და გულისწადილთ ადამიანის ბუნებისას სამ რამეში ხედავს: „ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმა ხორცთავ და გულისთქუმა თვალთავ და სილალე ამის ცხოვრებისავ და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“ (I იოან. 2, 16). წმ. დავით გარეჯელის შიში, მონაფეხები ცოდვილი გულისთქმებით არ დაბრკოლდნენ და არ წარწყმდნენ, ფრთხილი და მზრუნველი წინამძღვრის ეჭვებია, რომელთა უკან დიდი გამოცდილება, მაღალი სულიერობა და საცდურისგან თავდაცვის მწვავე სურვილი დგას.

წმ. დავითი „ძმათა მათ განმორებულთათვის“, პირადი ღვანწლითა და ძალისხმევით, დიდი იმედი და ნუგეშია. თხზულების ავტორი გვაუნყებს: „ყოველთა ნუგეშინის-სცემდა, განამტკიცებდა, განაძლიერებდა და ახარებდა მათთვეს განმზადებულსა სასუფეველსა ცათასა“ (ძეგლები 1964: 239).

თხზულების დასასრულ, როცა მოვა ჟამი წმ. მამის აღ-სრულებისა, მოუხმობს საძმოს წევრებს, უკანასკნელ რჩევას მისცემს მათ და მოუწოდებს: „ნუ შეძრწუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუენთა ცხორებისათვს“ (იქვე:

239) ნეტარი ბერი – ნუგეშის მიმცემი, განმამტკიცებელი, განმაძლიერებელი და სასუფევლის მახარებელია.

ამასთანავე, „ჰაგიოგრაფი დავით გარეჯელის მაგალითზე გვიხატავს იმ იდეებს, რაც ეპოქალური მოვლენაა ე.ი. ინდივიდუალური მოვლენა კი არ არის, არამედ მეუდაბნოეობის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა“ (გაფრინდაშვილი 1981: 69). ამას თუ დავუმატებთ იმ სახეებს, რომლებსაც ვხვდებით თხზულებაში, კერძოდ:



ჩვენს თვალწინ გაცოცხლდება აბსტრაქტული მონუ-მენტალიზმით დაწერილი სახე წმინდანისა, რომლის ღვანლი ასე შეაქო ქართულმა ეკლესიამ: „საზრდელითა პირ-მეტყველითა იზრდებოდი, სიბრძნითა და ცხოვრებითა ანგელოზებრ ცხოვრობდი, სანატრელო გარეჯელო დავით, დასცენ მტერნი ჩუვენი, ვითარცა ვეშაპი იგი“ (ლოცვანი 2001: 290).

სალვო სახელთა მიხედვით „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ რაიმე განსაკუთრებულს არ გვთავაზობს. აქაც იმავე სახელებს ვხვდებით, რომლებიც სხვა ტექსტებშიც გვხვდებოდა, მაგალითად.

უფალი;	ჭელის-ამპურობელი;
ღმერთი;	სახიერი;
იესუ ქრისტე;	მეუფე;
მოწყალე;	სამებაო წმიდაო,
სიტკბოებით მზრდელი;	ერთ ღმრთებაო,
მომცემელი ყოველთა	ერთ არსებაო;
კეთილთასა;	მამა, ძე და სულინწმიდა.
კურთხეული;	

საკვირველი;
მეუფე დიდებისაა;
მზრდელი;
ნუგეშინისმცემელი;

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებისგან“ განსხვავებით, რომელშიც ხშირად ვხვდებით ქალწულ მარიამს, აქ მხოლოდ ერთხელ არის მოხსენებული: „ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა“. ქართველი აგიოგრაფი ახსენებს ბიბლიურ პერსონაჟებს: ელიას, რომელიც „ყორნისამიერ გამოზარდა“, წმ. დანიელ წინასწარმეტყველსა და სამ ყრმას, ცეცხლისაგან უვნებლად გადარჩენილთ, იაკობსა და წმიდა მამათაგან – მხოლოდ ანტონ დიდს.

„წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ დიალოგებზე აგებული ქმნილებაა და არ არის მდიდარი წმინდანის მიერ აღვლენილი ლოცვებით. ნეტარი ბერი წინ მიუძღვის ვეშაპს და „იტყყოდა ფსალმუნსა: „რომელი დამკვიდრებულ არს“... იგულისხმება 90-ე ფსალმუნი. ჩვენ მიერ განხილული მადლობისა და დიდების შეწირვაც ლოცვის სახეობაა, თუმცა ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ საგანგებოდ წარმოთქმული ლოცვების შესახებ. აგიოგრაფი გვამცნობს, რომ ნეტარი დავითი „მარტოდ მყუდროებით აღასრულებდა წმიდათა ლოცვათა“, მაგრამ კონკრეტულად რას, ჩვენთვის უცნობია. პირველი ლოცვითი ტექსტი, რომელიც თხზულებაშიგვხვდება, მოსდევსპარბაროზის ეპიზოდს. ბუბაქრს შემასავით გაუხმა ხელი. შეშინებული ავაზაკი ფერხთით დაუვარდა ბერს და შენდობა სთხოვა. წმ. დავითს შეეწყალა იგი და „ევედრებოდა უფალსა და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთობულონ, რომელიმოხულედ ცხორებად ნათესავისა კაცთასა, სახიერო და მოწყალეო, რომელმან განკურნე ჭელი იგი განწმელი, შენვე მეუფეო, რომელმან-ესე იკადრა აღებად ჭელი უღირსსა ზედა მონასა შენსა, მოვედინ ანცა მადლი და წყალობაზ შენი და განკურნე ჭელი ესე განწმელი ბარბაროზისაა, რათა გულისწმა - ყოს და გიცნას შენ და ადიდებდეს სახელსა შენსა“ (ძეგლები 1964: 235)

წმ. დავით გარეჯელის წარმოთქმული ეს ლოცვა თხოვნა-

ვედრებაა უზენაესის წინაშე აღვლენილი, რათა მან მოახდინოს სასწაული, განკურნოს გამხმარი ხელი ავაზაკისა, რომ მოიქცეს კიდევ ერთი დაკარგული ცხოვარი, რომ მიხვდეს, შეიცნოს შემოქმედი ცათა და ქვეყანისა და ამ სასწაულის ძალით, რწმენის გზაზე დამდგარი, ადიდებდეს ზეციერს. კონკრეტულ შემთხვევაში სასწაულმა ღმერთიც უნდა განადიდოს და დამპადებელიც უნდა შეაცნობინოს ბუბაქრს. როგორც წმ. დავითი ბრძანებს: მადლითა და წყალობითა და კაცომოყვარებითა უფლისათა განიკურნება „განმქმედი წელი“ ბარბაროზისა და ეს იქნება ახალი ცხოვრების დასაწყისი ურწმუნო და ღმერთს განდგომილი ბარბაროზისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნეტარი ბერი ძირითადი თხოვნა—ვედრების კონტექსტისათვის შესატყვისობაში მოსული საღვთო სახელით მიმართავს უფალს: „იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი მოხუედ ცხორებად ნათესავისა კაცთასა, სახიეროდა მოწყალეო“. მიმართვა: სახიერი და მოწყალე, ამასთანავე, ამქვეყნად კაცთა საცხოვნებლად მოსული, გულისხმობს, რომ მაცხოვარი მოწყალებითვე გად-მოხედავს და იხსნის დაღუპვისაგან ერთ წარწყმედილ სულს.

მეორე ლოცვა, შედარებით უფრო ვრცელიც წმ. დავით გარეჯელს უკავშირდება, კუთვნილებაა ეპიზოდისა, როცა ნეტარი ბერი იერუსალიმთან მადლის ქედზე მიწაზე დაემხობა და ცრემლით იტყვის: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, რომელი მოხუედ ქუეყანად ცხორებისათვე კაცთა ნათესავისა და ჩუენ ცოდვილთათვე ჯუარ-ცმუად და სიკუდილი თავს—იდევ სახიერებისა და მოწყალებისა შენისათვს, მეუფეო, კურთხეულ არს, უფალო, სახელი წმიდად დიდებისა შენისა... რომელმან მეცა უღირსი მონაა შენი ღირს მყავ ხილვად ადგილთა ამათ წმიდათა; ხოლო მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატკებნად ფერწითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერწინი შენი წმიდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვად ოდენ თუალითა“ (ძეგლები 1964: 237).

ლექსიკა თითქმის იდენტურია წინა ლოცვისა, საღვთო სახელები სიტყვასიტყვით ემთხვევა: უფალო ღმერთო იესუ ქრისტე და უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო; რომელი

მოხუედ ცხორებად ნათესავისა კაცთასა და რომელი მოხუედ ქვეყანად ცხორებისათვს კაცთა ნათესავისა; სახიერო და მოწყალეო, შენვე მეუფეო და სახიერებისა და მოწყალებისა შენისათვს მეუფეო.

დიდია ფსიქოლოგიური დატვირთვა და მაღალია განცდის რეგისტრი, რომელიც წმ. დავითს დაუფლებია. ამ ლოცვაში ერთდროულად იკითხება სიწმიდეებთან მოახლოებული ბერის სულიერი აღტკინება, ნეტარება იმის გამო, რომ ლირსი გახდა ამის ხილვისა. აქვეა მადლიერების გამოვლენა, დიდი კრძალვა, რიდი, პატივისცემა და თაყვანისცემა იმ ადგილებისა, რომლებზეც უფალს ფეხი დაუდგამს. საკუთარი ულირსობის განცდას ისე მოუცავს ბერი, რომ ამბობს: „მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატკებნად ფერწითა ჩემითა ადგილთა ამათ“. იმდენად გულწრფელი და უშუალოა თავის გადაწყვეტილებაში, რომ მკითხველს აღფრთოვანების განცდა ეუფლება და შეგნება იმისა, თუ რაშია თავმდაბლობის საიდუმლო!

წმ. დავით გარეჯელის მეხუთე ლოცვა (პირობითად) მადლობის შენირვა, დიდების შესხმა უფლისადმი. აქ შექებულია ქრისტე ღმერთი, წმ. სამება – ერთლმრთეება, ერთარსება. ამის შესახებ ჩვენ ცოტა ზემოთ საგანგებოდ ვისაუბრეთ.

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ არ არის დატვირთული ლოცვა-ვედრების ტექსტებით. ის, რაც აქ არის წარმოდგენილი, ძირითადად, მადლობის შენირვა და დიდების აღვლენაა ცათა და ქვეყნის შემოქმედისათვის.

„მოქალაქეობაზ და ცამებაზ აპიბოს ნეპრესებ ეპისკოპოსისაზ“

„ნმიდა აპიბოს ნეკრესელის წამების“ რედაქციათა შესახებ ამ წიგნის | თავში საგანგებოდ მიმოვიხილეთ მეცნიერებაში სხვადასხვა დროს გამოთქმული ურთიერთგამომრიცხავი მო- საზრებები. ამჟამად ერთი საკითხის ირგვლივ გავამახვილებთ ყურადღებას.

შ. ნუცუბიძეს წმ. აპიბოს ნეკრესელის ფილოსოფოსობის გამო მსჯელობისას, როცა, მის მსოფლმხედველობას მიმოხილავდა და არეოპაგიტიკულ წიგნთა ავტორის ნააზრევთან აკავშირებდა (ნუცუბიძე 1956: 234–279), ხელთ ჰქონდა ერთადერთი საბუთი – ვრცელ რედაქციაში არსებული ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული ფილოსოფიური ტექსტი. მთელი ეს ძიება ემყარება იმ შეხედულებას, რომელსაც ავითარებდა ი. ჯავახიშვილი და რომლის თანახმადაც „წმ. აპიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ ვრცელი რედაქცია (მასში დაცულია ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული ტექსტი) პირველადირედაქციაა, დაწერილი IХსაუკუნეშიარსენ კათალიკოსის მიერ და წყაროდ იყენებს VI თუ VII საუკუნის უძველეს თხზულებას. მაგრამ ეს თვალსაზრისი გაქარწყლდება, თუკი მართებული აღმოჩნდა კ. კეკელიძის შეხედულება, რომლის თანახმადაც ვრცელი რედაქცია მეტაფრასული ნანარმოებია (მაშასადამე, XI საუკუნეზე ადრე ვერ შეიქმნებოდა) და ცეცხლთაყვანისმცემლობის განმაქიქებელი ფილოსოფიური ტექსტი სწორედ მეტაფრასის მიერ არის ჩართული (ლექსიკონი-ცნობარი 1984: 36–38).

ასეთი ექსკურსის შემდეგ ჩვენს ინტერესს იწვევს იმის გარკვევა, ა და ბ რედაქციებიდან რომელი შეიძლება იყოს მეტაფრასული, როგორი ურთიერთმიმართება მყარდება მათ შორის, თანაც ეს ყველაფერი უნდა დადგინდეს სტილუ- რი ანალიზით, რომელიც ამ შემთხვევაში დაეფუძნება მეტაფრასტიკის თეორიულ მონაცემებს.

მეტაფრასტიკა აგიოგრაფიის ისტორიული განვითარების შედეგია, გარკვეულ იდეოლოგიურ და ესთეტიკურ პრინციპზე დაფუძნებული. მეტაფრასტიკის „პირველსახე“ იყო კიმენი, წმინდანთა მოსახსენებლად მარტივად დაწერილი, მასში სჭარბობს თხრობითი, ფაბულური ელემენტი და გადმოცემულია კონკრეტული ამბავი. მეტაფრასტიკა უკვე არის ამ ამბის „გარდაკაზმვა“, ანუ მხატვრული აზროვნება (სირაძე 1978: 154) ეფრემ მცირის განმარტებითაც, ტერმინ „მეტაფრასტი“ მნიშვნელოვანია „სიტყვთ განშუენება, შემკობა, რადგანაც მისი ტერმინი „გარდაკაზმული“ (კეკელიძე 1959: 149) მხოლოდ ესთეტიკური მოთხოვნების გაზრდის ნაყოფი შეიძლება იყოს, თუმცა ითვარებული კეტების „განვრცელებას“ (მახარაშვილი 2002: 64).

მეტაფრასტიკის წყაროებთან მიმართების საკითხები ქართულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გარკვეული აქვს კ. კეკელიძეს (კეკელიძე 1959: 149). აქვე უნდა გამოვკვეთოთ, რამდენიმე საკითხი, კერძოდ, გადამეტაფრასება ნიშნავს:

1. ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ გადამუშავებას, „სიტყვთ განშუენებას“ (ყურადღება ექცევა ფორმას, ენასა და სტილს);
2. თხზულების შინაარსში ჩარევას მცირე ინტერპოლაციებით. ეს უკანასკნელი შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზის გამო:
 - a) იდეოლოგიურ-დოგმატური – ე.ი. მწვალებლური ნაკვალევის ნაშლა, ანუ იმისგან გათავისუფლება, რაც არ არის დოგმატიკურ-კანონიკური;
 - b) შინაარსობრივ-ფაქტოლოგიური – შეუსაბამობათა და უზუსტობათა გასწორება, ფაქტობრივი მასალის შესატყვისობა(გამოკლებაანშემატება), თუმცა შენარჩუნებულია კიმენური ძეგლის ძირითადი ძარღვი (შდრ. ბააკაშვილი 1977: 8–10; სირაძე 1978: 158; მახარაშვილი 2002: 66).

რადგან მეტაფრასტიკამ ენისა და აზრის ერთდღროული გამშვენიერება მოახდინა, მან გამოიყენა ანტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა და ტრადიცია, რაც შეეხება მეტაფრასტიკის

სტილურ ნიშნებს, ის შეიძლება სამ ჯგუფად წარმოვადგინოთ:

1. „შეწყობილება სიტყვაზ“ – ფრაზის მუსიკალურ-რიტმული აგება;
2. „არა გავრცელება თქმულისა“ – თხრობის ლაკონიურობა, ლაპიდარობა, რასაც რუსთაველი ასე განმარტავს: (გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის);
3. კონკრეტულისა და აბსტრაქტულის შეხამება, სიტყვისა და აზრის სიმფონია (მახარაშვილი 2002: 68).

XI საუკუნის 20-იანი წლებიდან, სვიმეონ ლოლოთეტის გარდაცვალების შემდეგ, ჩნდება არსებითად საპირისპირო ტენდენცია. გადამეტაფრასება გულისხმობს:

1. შესავლის წამძღვანებას;
2. მიღრეკილებას სასწაულების აღწერისადმი;
3. პარალელების მოხმობას სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან;
4. ძველი თხზულების ფაქტობრივი მასალით შევსებას (მახარაშვილი 2002: 70).

ამ ჩამონათვალების მიხედვით გავარკვიოთ, არის თუ არა მეტაფრასული ა რედაქცია და როგორია მისი მიმართება ბრედაქციასთან?

ა	ბ
წმიდისა მღდელმოწამისა აბი-ბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისა 1964: 240).	მოქალაქობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა

ამ სათაურში გამჟღავნებულია ა რედაქციის უპირატესობა არა მარტო სტილური ნიშნით (წმიდა მღვდელმოწამე, ცეცხლის მსახურნი), არამედ შინაარსობრივ-ფაქტოლოგიური კუთხით: ვინ აწამა, სად აწამეს და ვის მიერ აღინერა ეს მარტვილობა.

თხზულების I თავი (პირობითად) მოცულობით ასეა განაწილებული: ა რედაქცია 12 სტრიქონით მეტია ბ რედაქციაზე,

გარდა ამისა, ა რედაქტიის ავტორი, არსენ დიდი, ბ რედაქტიის ძარღვს უცვლელად ტოვებს, თუმცა მხოლოდ | თავის მიხედვითაც კი შეიძლება მოგვეჩენოს გადამეტაფრასება, ანუ თხზულების მხატვრულ-ესთეტიკური გადამუშავება და შინაარსში შეღწევა თავისებური ინტერპოლაციებით, მაგალითად:

ა	ბ
<p>ხოლო ჯერ-არს, რათა მცი-რედ-შუგა შემოვიღოთ წსენებად წმიდისადაუბინოესამღდელთმო-ძლურისა და მოწამისად, რომელსა იყო სამართლივ მონიჭებულ იყო პატივი გამზადებულისა მის სასოებისად დიდებისა საყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სინმიდისათვს, უმეტესად ყოველთა მიერ წამე-ბულ ჭეშმარიტებისათვს, დამამ-ტკიცებული სისხლითა თვისითა, რომელმან-იგი შეწირა მსხვერ-პლად თავი თვისი მისა, რომელმან იგი თვისითა სისხლითა მიშნნა ჩუენ.</p>	<p>ჯერ არს ხსენებად წმიდისა მღდელთმოძლურისად და უბინოესა და ახუვანისა მოწამისად, რომელსა იგი სამართლად მონიჭებულიყო საყდარი დიდებისად დიდისა მისთვის სარწმუნოებისა მი-სისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშმარიტებისა-თვის, რომელმან შეწირა თვისი თვისი მსხუერპლად მისთვის, რომელი შეწირა მამისა, და სისხლითა თვ-სითა მომიყიდნა ჩუენ.</p>

პირველი თავის ასეთი დასაწყისი, ასეთი განსხვავებული ნიშნებით, წარმოაჩენს, რომ ა რედაქტიის მიხედვით თხრობა არის გავრცობილი და ნაწარმოების შესავლის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა, საგრძნობია შინაარსობრივი ინტერპო-ლაციები, რომლებიც გამოიხატება მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ნაკადის მოჭარბებით. მაგალითად:

ა რედაქტია	ბ რედაქტია
<p>მონიჭებულ-იყო პატივი გან-მზადებულისა მის სასოებისად დიდებისასაყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სინმიდისათვს.</p>	<p>მონიჭებულ იყო საყდარი დიდებისად დიდისა მისთვის სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშ-მარიტებისთვს.</p>

„პატივი განმზადებულისა მის სასოებისად“ საერთოდ უცხოა ბ რედაქციისათვის და ასევე შეცვლილა წინადადებათა სტრუქტურა, რომელიც თავისთავად უფრო ამაღლებულს ხდის შინაარსს. ამავე თავში ვხვდებით მეტაფრასტიკის განვითარების მეორე ეტაპისთვის (XI საუკუნის 20-იანი წლებიდან) დამახასიათებელ ერთ ნიშანს: პარალელების მოხმობას სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან. მაგ., საერთოდ უცნობია ბ რედაქციისთვის ასეთი ან მსგავსი ფრაზა: [წმ. აბიბოს ნეკრესელი] „კუალად მხნეთა მათ თანა მონამეთა ღუანლა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა“ (ძეგლები 1964: 240).

გარდაკაზმვის“, „განვრცელების“ ერთი საინტერესო ნიმუში გვხვდება ამავე თავში:

პ	ბ
ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვისა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰა-ერისა სულნელმყოფელი, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თვისი აღანთო ზედა მაღალსა მთა-სა, რადთა ყოველი სოფელი ჰე-დვიდეს მას ნათელსა დაუშრე-ტელსა, ორპირად მანათობელსა	ჩემი არს მოწამე, ესე და მღდელთმოძღუარიუბინოვ, ნაყოფი შუენიერი, მხიარუ-ლებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი, სან-თელი მაღლად მნთე-ბარე, მნათობი და გან-მანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთად

აშკარად შეინიშნება ა რედაქციის ავტორის სურვილი, თქვას უფრო მეტი, განავრცოს და გარდაკაზმოს, მოგვეცეს რაღაც ახსნა-განმარტების მსგავსი. „სპეტაკი ვარდი“, „ნათელი დაუშრეტელი“, ნათელი „ორპირად მანათობელი“ ის სახეებია, რომლებსაც აგიოგრაფი კონტექსტის შესაფერისად იყენებს და ამით კიდევ ერთხელ წარმოჩნდება მხატვრული აზროვნების ის თავისებურება, სტილური სპეციფიკა, რომლითაც, ერთი შეხედვით, იგი განსხვავდება ბ რედაქციის ავტორისაგან.

ა რედაქციის ავტორი ცდილობს, უშუალო დამოკიდებუ-

ლებაში იყოს მკითხველთან. ეს არის მისი დიალოგური მიმართება რეციპიენტთან; საქმიანი ინტონაცია, ახსნა—განმარტების კენ მიდრეკილება, მიმართვის ფორმათა გამოყენება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ეს ტექსტი დიალოგიზებული მონოლოგია. მაგალითად;

ხოლო ჯერ – არს, რათა მცირედ შუვა შემოვილოთ ხსენება;

ან

ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვა;

ან

ან მნებავს, საყუარულონ, რათა უწყოდით მიზეზი საქმისა ამის;

ან

ამას რაა გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა;

ან

არამედ მინდა, რათა გაუწყო თქუენ, ძმანო.

მსმენელთან თუ მკითხველთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით ა რედაქცია გვთავაზობს ისეთ ფორმებს, რომლებიც უფრო უშუალოსა და ახლობელს ხდის მოვლენას. ბრედაქციისაგან განსხვავებით აქ გვხვდება რამდენიმე ასეთი ნიმუში:

„და ვითარ მოიწივნეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთას“, „სიმწინთა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი“ „იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა“ – ჩვენი ქალაქი, ჩვენი მცხეთა, ჩვენი „სოფელი“ – ასეთი მიმართვით ავტორი და მკითხველი ერთიანდებიან, ერთი იდეითა და სულისკვეთებით განიმსჭვალებიან – გაუცხოების, გნებავთ, დისტანცირების მასშტაბი მცირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაარსობრივ-ფაქტოლოგიური ცვლილება გულისხმობს შეუსაბამობათა და უზუსტობათა გასწორებას ტექსტში, ფაქტობრივი მასალის გამოკლებას ან შეტანას თხზულებაში (შდრ.: ბააკაშვილი 1977: 186–187; მახარაშვილი 2002: 66). ამ მხრივაც ა რედაქციის ავტორი ორივე ვარიანტს გვთავაზობს. მატების რამდენიმე ნიმუში უკვე წარმოვადგინეთ, ახლა ვნახოთ ის მაგალითები, რომლებშიც ნათლად ჩანს კლების ტენდენცია:

ა	ბ
მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა, და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა...	მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელად ქართლისა და სხუანი მრავალნი საქმენი და საკურველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა

ა რედაქცია მოყვანილ ციტატაში თითქოსდა ამჟღავნებს იმ თვისებას, რომელსაც „არა გავრცელება თქმულისა“ ეწოდება, რადგან ამ მაგალითში თხრობა შემოკლებულია, ლაკონიურია.

გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც უფრო აშკარა და თვალშისაცემია თხრობის სიმოკლე, ლაკონიურობა, ერთგვარი თავშეკავებაც კი მრავალმეტყველებისგან. ეს არის ბ რედაქციის ფინალი, რომლის შემდეგ არედაქცია აგრძელებს დამოუკიდებელ თხრობას, თუმცა ემიჯნება ბ რედაქციის დასასრულს, რადგან ეს უკანასკნელი ვედრებით ითხოვს ქრისტე ღმერთისგან, „რათა წმიდითა ლოცვითა და მეოხებითა მათთა ღირს მყვნეს მიბაძვად სათნოებათა მათთა და დიდების-მეტყველებად სამებისა წმიდისა“ (ძეგლები 1964: 247–248).

ფაქტობრივი მასალის ტექსტში შეტანის ერთი საინტერესო მაგალითი გვხვდება || თავში:

ა	ბ
რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთისა და იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა, და ბილნ-სა მას კერპორმისახურებასა ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის; ბაბილონურსა მას ჩვეულებასა, სადამეოქონისა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა უამად-უამად, ვითარცა იწუოდეს თვისისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა.	რამეთუ უამსა მას, ოდეს სამეუფოდ ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა და-ეპყრა და ბილნსა მას მსახურებასა აღას-რულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მსწავლელისა მათისა ეშმაკისაგან

ეს მონაკვეთი იმითაც არის საინტერესო, რომ ა რედაქცია

გვამზადებს ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. „ცეცხლის“ ორჯერ ხსენება უკვე ერთგვარი აქცენტია აგიოგრაფის მხრიდან იმისათვის, რომ აშკარა გახდეს დამოკიდებულება, პოზიცია იმ დამთრგუნველი და ბნელი ძალის მიმართ, რომელსაც ღვთაებად „სტიქიონი“ გაუხდია.

დაისმის შეკითხვა: როგორია ლექსიკური სხვაობა, რა ხდება ტროპულ მეტყველებაში, როგორ განსხვავდება აგიოგრაფთა მხატვრული აზროვნება ერთმანეთისგან. ამის გარკვევა საბოლოოდ გასცემს პასუხს იმას, თუ რასთან გვაქვს საქმე.

ა	ბ
<p>წმიდისა და უბინოს მლდელთმოძლურისა და მოწამისა</p> <p>ჩემი არს მოწამე ესე და არა სხესა ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი</p> <p>არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორეული, ვითარცა მახლობელი.</p> <p>მოციქული იგი წმიდისა სკმეონ მესუეტისად, ხოლო სამგზის სანატრელსა მას, ჭორცთა მისთა, არარად შეეხო და ესრეთ შეინირა წმიდად აპიბოს</p> <p>ესევითარნი ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი სავ- სენი წელსაცხებელითა</p>	<p>წმიდისა მლდელთ-მოძლურისად და უბინოსა და ახუვანისა მოწამისად</p> <p>ჩემი არს მოწამე და მლდელთ- მოძლური უბინოდ, ნაყოფი შუენიერი</p> <p>არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთას</p> <p>არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი</p> <p>მოციქული ნეტარისა სკმიონ მესუეტისად</p> <p>ხოლო სამგზის სანატრელსა წმი- დისა მოღუანისა ჭორცთა არარად შეეხო</p> <p>და ესრეთ შეინირა ღმრთისა ნეტარი აპიბოს</p> <p>კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათხონი ნათელნი სოფ- ლისანი, ჭურნი რჩეულნი, სავ- სენი წელსაცხებელთა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სა- ხენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონაზონებისანი</p>

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი მასალის გარდა საინტერესოა რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურების წარმოჩენა, რომელიც ასე ნიშანდობლივია ა და ბ რედაქციებისთვის.

1. უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ბ რედაქციის ავტორი მსაზღვრელად იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელს „ჩვენ“, ა რედაქციის ავტორი ემიჯნება, თუმცა თავად გვთავაზობს ასეთი მსაზღვრელით წარმოდგენილ წინადადებას. მაგალითად:

ა	ბ
დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა	სამეუფოა ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა მრავალნი ადგილი განმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვეს ქუეყანისა
მოიწოდეს მახლობელად ჩუენისა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა	მოიწივნეს სამეუფოსა ქალაქსა მცხეთას
სიმწითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი. იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენისა ამას სოფელსა	

თუმცა გვხვდება ისეთი ადგილებიც, რომლებშიც ორივე რედაქცია ამ მხრივ ერთნაირ სურათს გვთავაზობს:

ა	ბ
დაპყრობაზ ქუეყანისა ამის ჩუენისად	დაპყრობაზ ქუეყანისა ამის ჩუენისად
დაიპყრეს ქუეყანაზ ესე ჩუენი	დაიპყრეს ქუეყანაზ ესე ჩუენი

ორივე რედაქციის მიხედვით, მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი, ძირითადად, დაცულია, გარდა რამდენიმე შემთხვევისა:

ა	ბ
ალიძრა შურითა საღმრთოეთა საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროვებითა	ალიძრა საღმრთოეთა შურითა შეაყენეს საპყრობილესა იწროებითა დიდითა

მთელი ამ კვლევა-ძიების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ა და ბ რედაქციების ურთიერთმიმართებათა შესწავლისას არ გამოვლინდა რაიმე ძირითადი, კომპლექსური ხასიათის განსხვავება. უმნიშვნელოა ლექსიკური ხასიათის ცვლილებები, კონცეპტუალურად ახალი და განმასხვავებელი არ იყითხება ავტორთა მხატვრულ აზროვნებაში, სინტაქსურ-სტილური საშუალებებიც თითქმის იდენტურია. მართალია, უპირატესად ა რედაქციის ავტორი ერევა შინაარსში მცირე ინტერპოლაციებით კლება-მატების მეთოდით, მას ახასიათებს ახსნა-განმარტებისა და მკითხველთან დაახლოების მეტი მცდელობა, თუმცა იმას ვერ ვიტყვით, რომ, ბ რედაქციასთან შედარებით, ტექსტი მხატვრულ-ესთეტიკურად გადამუშავებული და „სიტყვით განშევენებულია“. თხზულების შინაარსში არ შეინიშნება იდე-ოლოგიურ-დოგმატური ცვლილება, სტილური ნიშნებიდან, რომლებიც მეტაფრასტიკისთვისაა დამახასიათებელი, ფრაზის მუსიკალურ-რიტმული აგება, ანუ „შეწყობილებად სიტყვსავ“, არ არის თვალშისაცემი და რაიმე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ბ რედაქცასთან შედარებით არ იძებნება, არც გამოკვეთილად შესავლის წამდლვარებასთან გვაქვს საქმე და არც სასწაულების აღწერისადმი მიღრეკილებასთან, მინიშნების დონეზე პარალელი მოწამეთა ღვაწლთან.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ასეთი დასკვნები აშკარად ენინაალმდეგება ჩვენსავე საპირისპირო ვარაუდებს, შესაბამისი მაგალითებით წარმოდგენილთ, მაგრამ ისინი, ალბათ, მაინც ვერ შექმნიან იმის აუცილებლობას თუ გარდაუვალობას, ვამტკიცოთ, რომ მეტაფრასტიკის ნიმუშთან გვქონდეს საქმე. რა თქმა უნდა, ა რედაქცია ბ-სგან განსხვავდება, რადგან მათ სხვადასხვა ავტორი ჰყავთ და ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენ წარმოვადგინეთ, სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება და, ჩვენი აზრით, მეტაფრასული ქმნილების სტილურ ჩარჩოში მაინც ვერ თავსდება.

თუმცა რჩება ერთი თავსატეხი. მართალია, შენარჩუნებულია ბ რედაქციის თხრობის ძირითადი ძარღვი, მაგრამ რა ვუყოთ ერთ ვრცელ ჩანართს – ცეცხლთაყვანისმცემლობის

წინააღმდეგ მიმართულს? ეს ხომ არ არის ყველაზე ძლიერი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ა რედაქცია, მართლაც, მეტაფრასულია?

ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ა რედაქცია ბ რედაქციასთან შედარებით არ არის მეტაფრასული. ის, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული დიალოგი მხოლოდ ა რედაქციაში გვხვდება არავითარი არგუმენტი არ არის, რადგან ბ რედაქციას სწორედ ამ ნაწილში აკლია ერთი ფურცლის ოდენი (ძეგლები 1964: 243) და არავინ იცის, ამ ნაკლულ ნუსხაში ეწერა თუ არა ასეთი დიალოგი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ა რედაქცია კვალდაკვალ მისდევს ბ რედაქციას, მაშინ სავარაუდოა, რომ ბ რედაქციაში იყო ასეთი ნაწილი, თუნდაც იმიტომ, რომ თხრობა წყდება ასეთი ფრაზით: „მაშინ ევედრა ნეტარი იგი მტარვალთა მათ, რათა მივიდეს...“ ა რედაქციიდან ვარკვევთ, რომ წმ. აბიბოსს ჰქონდა სურვილი მოენახულებინა ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთი, კერძოდ კი წმ. შიო მღვიმელი. ამას ა რედაქციაში მოსდევს ვრცელი დიალოგი ნეტარ მამებს შორის. ამის შემდეგ, როდესაც ნეტარი აბიბოსი „მრავლისა სიტყვასა განმტკიცნა“ წმ. შიოსაგან, წარადგინეს მარზპანთან და სწორედ აქედან იწყება ცეცხლთაყვანისმცემლობის განქიქება. სრულიად დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბ რედაქცია ამ ნაწილშიც თანხვედრი იქნებოდა ა რედაქციისა.

შესაძლებელია თუ არა, თავისთავად ცალკე აღებული ა რედაქცია ჩაითვალოს მეტაფრასულ ქმნილებად?

კ. კეკელიძის ვარაუდით, თხზულება „გავრცელებულია პროლოგით, ეპილოგით, შუაში ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკით და ცალკეული სიტყვის შეცვლით.... მეტაფრასული ხასიათი ნაწარმოებისა, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ მის ბოლოში ჩვენ გვაქვს გარკვეული შეხვედრანი იოანე ზედაზნელის მოკლე და საბინინისეულ რედაქციიებთან, აგრეთვე შიო მღვიმელის „ცხოვრებასთან“. ეს შეხვედრანი მაჩვენებელია იმისა, რომ თხზულების ავტორს, თანახმად მეტაფრასტების ტრადიციისა, შეუტანია თავის

შრომაში, შიგნით თუ დამატების სახით საჭირო ადგილები მის დროს არსებულ თხზულებებიდან“ (კეკელიძე 1956: 49).

ილია აბულაძე სხვაგვარად ფიქრობდა. მისი აზრით, „არსაიდან არჩანს, რომ მეტაფრასული ხასიათი ამ ნაწარმოებისა ყველასათვის თვალნათლივი იყოს, პროლოგით არ შეიძლება ამ თხზულების მეტაფრასული ხასიათის დამტკიცება, რადგან არაერთი პროლოგიანი ცხოვრება - წამების წიგნი მოგვეპოვება... მაგრამ ამის გამო ისინი მეტაფრასულ ნაწარმოებად არ მიიჩნევიან“ (აბულაძე 1955: 29–30).

კ. კეკელიძე ასეთ შენიშვნას შენიშვნითვე უპასუხებს: „პროლოგიცაა და პროლოგიც: საჭიროა გავითვალისწინოთ ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებანი პროლოგისა და მისი მიმართება ნაწარმოებთან მთლიანად, რომ გავერკვეთ ამ პროლოგის ბუნებაში“ (კეკელიძე 1956: 49).

თუმცა ამ თავისებურებათა შესახებ მეცნიერს დამატებით არაფერი უთქვამს. სხვათა შორის, ამავე წერილში წავანყდით ასეთ ფრაზას: „უკანასკნელად უნდა მოსულიყო ქართლში აბიბოს ნეკრესელი. მის ცხოვრებაში, რომელსაც მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ უნდა განეცადოს მეტაფრასტის ხელში...“ (იქვე: 38) და იმ აზრსაც, რომ „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“ ყველაზე მეტად არქაულია (იქვე: 40).

1. კეკელიძის ვარაუდი, რომ „მარტკლობაზ აბიბოს ნეკრესელისაა“ მეტაფრასულს პროლოგის გავრცობით ჰგავს და ეს პროლოგი თავისი ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებებით, ნაწარმოებთან მიმართებით რაღაც განსაკუთრებული ბუნებისაა, – სინამდვილეს არ შეესაბამება. ამდენად ო. აბულაძის მოსაზრება უფრო ახლოს დგას სიმართლესთან;

2. თხზულების შუაში წარმოდგენილი პოლემიკა, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობას ეხება და რომელიც ამ ტექსტის მეტაფრასულობის ერთ-ერთ ნიშნად არის ალი-არებული, დაუსაბუთებელ არგუმენტად გვეჩენება, რადგან ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში არაერთი თხზულება

გვაქვს, რომლებშიც თეორიული ექსკურსები, ტიპიკალური ნაწილი, ცალკე უანრად ჩამოყალიბებული თავებიც კი გვხვდება. საქმარისია გავიხსენოთ „ნმ. აბოს წამება“, „ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ნმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“...

3. ნაწარმოების ბოლოს, ეპილოგში, შეტანილი ადგილები ამ დროს არსებული თხზულებებიდან ვერ მოგვცემს იმის თქმის არგუმენტირებულ საფუძველს, ვიმსჯელოთ თხზულების მეტაფრასულ ხასიათზე, რადგან

ა. ეს ყველაფერი ფინალშია ნათქვამი, როგორც ერთიანი მთლიანი „ჯაჭვ ოქროვსად მოდებული ურთიერთსა“, იმის საჩვენებლად, თუ რა ღვაწლი მიუძღვით წმ. ასურელ მამებს ამა სოფლის „განშუენებაში“;

ბ. ასურელ მამათა „ცხოვრება–წამებანი“ მაინც ერთი საკითხავია, ერთი იდეით, სულისკვეთებით, ერთი მთავარი სათქმელით შეერული. ქართული ეკლესია დღესაც ასე განსაზღვრავს მათს ღვაწლს 20 მაისი (ახ. სტ.) ხსენება ღირსთა იოანე ზედაზნელისა და ათონმეტთა მონაფეთა მისთა (ეკლესის კალენდარი 2005: 57). წმ. აბიბოსის ხსენება ახ. სტილით 12 დეკემბერსაც აღინიშნება, მის ტროპარში ვკითხულობთ: „ან განსცხრებოდე ქართველთა ეკლესიაო, რამეთუ აღყვავენ სახედ შროშანთა სისხლითა მღუდელ-მონამისა აბიბოსითა და შეუთხზენ ქებაა ღირსსა მას ქებისასა და გვირგვინოსანმყოფელსა მისსა ქრისტესა ადიდიებდი, რათა მეოხებითა მისითა მომადლოს სულთა ჩუენთა დიდი წყალობა“ (ჟამნი 1899: 299).

ახლა დაწვრილებით შევეხოთ ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართულ ტექსტს, რომელიც ა რედაქციაში გვხვდება და რომელიც ოცდათერთმეტ (31) არასრულ სტრიქონს მოიცავს. დიალოგის ფორმით მოცემული ეს ეპიზოდი მარზპანის ორი შეკითხვისა და აბიბოსის ორი პასუხისაგან შედგება. ლექსიკური თვალსაზრისით მარზპანის შეკითხვები ღარიბია და ლოგიკურ სილრმესაც მოკლებული. პირველი შეკითხვა ასეა ფორმულირებული:

„რახსათვს უვარ–ჰყავ უფლებად მეფეთ–მეფისად და მოჰკალ

ღმერთი ჩუენი?“

მეორე შეკითხვა თითქოს იმეორებს პირველს: „მე ვიკითხავ, რადა ასათ გრძელებული და მერთი ჩუენი და შენ გნებავს, რათა მცავ შენისა ღმრთისა წარგვევანნე?“, თანაც ინტონაციურად უფრო დაძაბული და მძიმეა. ამას გვაფიქრებინებს პირველი ფრაზა „მე ვიკითხავ“.

ამ დიალოგში მარზპანი აშკარად გაუწონასწორებელია, მენტორულია მისი ტონი, აგრესიული და ძალადობის მწვავე სურვილით შეფერილი.

სამაგიეროდ სრულიად სხვა სულიერ მდგომარეობას აჩვენებს ნეტარი აბიბოს ნეკრესელი, იგი ქადაგების, ჭეშმარიტების შეცნობის დიადი მიზნითაა შთაგონებული. მისი ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ინტონაცია, რომელმიც იყითხება სტილის თავისებურებაც, აბსოლუტურად განსხვავებულია მარზპანისაგან. წმ. აბიბოს პასუხი ასე ულერს: თქვენი ღმერთი, ანუ ცეცხლი, არის:

საცთური;

განქარვებადი;

ეშმაკი;

სხუათა ბუნებათაგანი;

თქუენდავე მონა;

კერპი.

„ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე“ – ე.ი. ვძლიერ თქვენს ღმერთს, მე დავიმორჩილე. ამის კვალობაზე შემოდის ჭეშმარიტი ღმერთის ატრიბუცია, რომ იგი არის:

ღმერთი მხოლოდ;

ყოველთა დამბადებელი.

ერთგვაგრი ცინიზმი გამოსჭვივის ნეტარის სიტყვებში, როცა უხსნის მარზპანს: „ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი“. თქვენ „უნდოსა მსახურებაში“ ხართ, ამიტომ მას მხოლოსა უნდა მსახურებდეთ. ამის არგუმენტად იგი წმ. ლუკას სახარებას იმოწმებს (4, 8). ასეთ ანტინომიურ პრინციპზეა აგებული ეს დიალოგი. უარყოფითი იწვევს საპირისპირო ასოციაციას.

მტკიცე, შეუვალი, ურყევია წმ. აბიბოსი თავის მსჯელობაში. ეს შეიძლება მივიღოთ, როგორც ნეგატიური თეოლოგიის ნიმუში. ლოგიკურად იგი ცეცხლის გაღმერთების აბსურდულ იდეას უმსხვრევს დიალოგში ჩართულ მხარეს, მარზპანს. მას აქვს თავისი არგუმენტები, რომლებიც იმაზეა აგებული, რომ ცეცხლი ერთ-ერთი სტიქიაა ლვთის მიერ შექმნილ სამყაროში და არავითარი უპირატესობა არ გააჩნია (ნუცუბიძე 1956: 265).

„განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიად, ცივი, ჭმელი და ცეცხლი“.

ნოტიად – ჰაერი;

ცივი – წყალი;

ჭმელი – მიწა;

და ცეცხლი.

